

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რევაზ ინანიშვილი – მწერალი და დრო

(ეძღვნება რევაზ ინანიშვილის გარდაცვალებიდან
მე-20 წლისთავს)

თბილისი 2012



UDC(უაკ) 821.353.109
o-53

სამეცნიერო კრებული გამოიცა
ქალაქ თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით.

რედაქტორი
ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია:
ივანე ამირხანაშვილი
მაკა ელბაქიძე
მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,
2012

ISBN 978-9941-0-4212-6

შინაარსი

მირაცხა ტყეგელაშვილი	
რევაზ ინანიშვილი	
შემოქმედებითი პორტრეტი.....	5
მაკა ჯოსაძე	
რევაზ ინანიშვილის „სამაგიდო ჩანაწერები“.....	14
ნონა კუარეიშვილი	
სიკეთისა და ბოროტების ანტინომია	
რევაზ ინანიშვილის პროზაში.....	28
ინგა მილორავა	
რევაზ ინანიშვილის პროზის	
მხატვრული დრო და სივრცე.....	39
მაია ჯალიაშვილი	
რევაზ ინანიშვილის თხრობის პოეტიკა.....	49
მაია ნაჟყეპია	
რევაზ ინანიშვილის სტილის	
ზოგიერთი საკითხი.....	60
ირმა რაჭიანი	
ჟანრის კლასიკოსი.....	75
ლევან პრეგაძე	
ორი ეტიუდი რევაზ ინანიშვილზე.....	85

ემზარ კვიტაიშვილი	
ზოგი რამ უფროს მეგობარზე.....	94
შარლოთა კვანტალიანი	
როგორ იქცა ერთი ჩვეულებრივი ალმანახი ძვირფას წიგნად.....	104

მირანდა ტყეშელაშვილი

რევაზ ინანიშვილი — შემოქმედებითი პორტრეტი

ქართული მცირე პროზის აღიარებული ოსტატი, რევაზ ინანიშვილი 1926 წლის 20 დეკემბერს დაიბადა გარე კახეთის ერთ ლამაზსა და ძველისძველ სოფელში — ხაშმი. „ჩემი სამშობლო სოფელი ხაშმია. ეს სახელი მაინცდამაინც საამაყოდ ვერ უდერს, საბა მას „ავჭაეროვანსა და უმაშნოს“ უწოდებს... მიუხედავად ამისა, ხაშმი მიკარგული სოფელი არასოდეს ყოფილა“, — ვკითხულობთ მწერლის მიერ ცხოვრების უკანასკნელ წლებში დაწერილ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „თოჯინის თვალით“, სადაც მისი ადრეული ბავშვობაა გაცოცხლებული. „დედაჩემი მშობიარობისთანავე ცუდად გამხდარა, ჩემთვის რამდენიმე დღეს კი უწოვებია ძუძუ და დაწყებულა ჩემი გაინაჩრობა, ხან ძალუაჩემი მაწოვებდა თურმე, ხან მეზობელი პატარძლები. მრავალთა ძუძუნანოვს, მრავალთა სიყვარული ჩამინერგა ღმერთმა“.

ხაშმელები იყვნენ მწერლის დედა და გამზრდელი ბებიაც, მამის დედა.

დედას, მამულაშვილთა შეძლებული ოჯახის ნანატრ ქალიშვილს, ქალაქში ჰქონდა განათლება მიღებული, თვით ახალ გიმნაზიაში (ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში). თუმცა პაპა, გიორგი მამულაშვილი ყოველთვის დალხენილი როდი ყოფილა, „ბავშვობაში იმდენი გაჭირვება ჰქონდა გადატანილი, ათ კაცს ეყოფოდა ხასიათის გასაძალებლად“-ო.

დედ-მამის სიყვარულის ამბავს რომანტიკულად აღწერს მწერალი, მამას სულ რამდენიმე სიტყვით ახასიათებს: „ერთი ძმისა და ორი დის პატრონს არაფერი გააჩნდა მკვირცხლი გონებისა და ძალიან ლამაზი ლიმილის მეტი... მერე ახალი ცხოვრება მოვიდა... მამამ იმას მიაღწია, რომ მთელი

სოფლის თავკაცი გახდა... გულლია იყო, პირდაპირი და მუდამ სახენათელი“...

ცალკე თავს უძღვნის ბებიას, ხაშმელსავე, ხატიაშვილის ქალს, საოცარი სათაურით „ბებია — ჩემი მზე“.

აქვე იგონებს ბებიის მონათხრობს: „წლის რომ გავმხდარ-ვარ, წინათ ჩვენში ასეთი რწმენა ჰქონიათ, — დავუსვივარ, შემოუყრიათ ირგვლივ სხვადასხვა ხელობის იარაღები: კოჭებიანი საანგარიშო, წალდი, სადგისი, ასტამი, კალამი, წალი, ხერხი და კიდევ სხვა რაღაცებები. რასაც პირველად მოჰკიდებდა ბავშვი ხელს, იმ ხელობის კაცი გამოვიდოდა. ბებია მეტყოდა ხოლმე, შენო, კალამს დასწვდი მაშინვეო. არა მჯერა, რომ ერთი წლის ბავშვმა კოჭებიანი საანგარიშოს გვერდით კალამს წატანოს ხელი, მაგრამ ეგრე იყო, დაუდასტურებია დედასაც“.

რეზო ინანიშვილისათვის უჩვეულოდ ვრცელ ამ მოთხრობაში ადრეული ბავშვობის ნათელი, უზრუნველი და ბედნიერი დღეებია აღნერილი. მთავრდება სამწუხარო ამბებით: 1937 წელს, ზაფხულში დააპატიმრეს მამა, დედის მამაც და ძმაც. ინანიშვილებს ვილაცებმა ღამით გაუკაფეს ვენახი. ჯერ კიდევ წინა წელს, პარტიიდან გარიცხულმა და სამსახურიდან მოხსნილმა მამამ თბილისში ერთ ქოხს შეაფარა თავი და ყველანი, დედა, და, პატარა ძმა, ბებიის გარდა, თბილისში წამოიყვანა. „რა დაიწყო თბილისში, რას შევუდექით ახალს, ეს ცალკე თემაა. თუ საშუალება მომეცა, ოდესმე ამაზეც დავწერ, მაგრამ თუ ვერ დავწერე, არც ეს შემაწუხებს ძალიან, რადგან უჩემოდაც ათასობით ადამიანს აქვს ნაამბობი, რა საშინელება იყო 1937 წელი, მერე ომი, მერე ომის დამთავრების პირველი წლები“.

მეგობრები იხსენებენ, რომ ამ თემაზე ლაპარაკი არ უყვარდა, არც ავტობიოგრაფიას მიპრუნებია, თუმცა, მამის დასჯით გამოწვეული, პატარა ბიჭის შემაძრნუნებელი ტკი-

ვილი სხვაგან, მხატვრულ ტექსტში აისახა — მოთხოვბაში „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“.

წელიწადზე მეტი იყო გასული მამის დაპატიმრებიდან, ჯერ ისევ თბილისში ჰყავდათ. ანამებენო, ხორცებს იჩქლეთ-და და იმდუღრებოდა ბებია. ერთხელ, შეღამებულზე მათ ოჯახში შეიპარა მამის ბავშვობის მეგობარი ძია ვანო, ხვალ დილით, გათენებისას, სასამართლოში მოიყვანენ, თუ ყველას დაგინახავთ, დარწმუნდება, რომ ცოცხლები ხართო. დილაადრიან, სასამართლოს შენობასთან ტუსალები მანქანებით რომ მიიყვანეს, ძია ვანომ ათი-თერთმეტი წლის ბიჭის შენობაში შესვლა უბრძანა, თუ ვინმე გკითხავს, ეტყვი აქაური დამლაგებლის შვილი ვარო. დიდ, განათებულ კიბეზე, კედელს აკრული ბიჭი უყურებდა როგორ მოჰყავდათ პატიმრები ჯარისკაცებს. იმ დასახიჩრებულ ადამიანებში, ფეხებს რომ ძლივს მოათრევდნენ, ალარც კი ეძებდა მამას. მაგრამ ერთმა, ყველაზე სახიჩარმა, კოჭლმა, პატარამ, მისკენ ყურება დაიწყო, გაუცინა და ხელიც აუზია ოდნავ ზემოთ. ბიჭი შეკრთა, რადგან იცნო. გარეთ გამოვარდნილს დედა და დატირილით ეკითხებოდნენ, — დაგინახაო? რამე თუ გითხრაო, მაგრამ კრიჭაშეკრულს ხმა ვერ ამოაღებინეს. მას, როგორც ერთგან, „სამაგიდო რვეულებში“ წერს, მანამდე „არა-სოდეს უნახავს მიმის ჭიანი კბილიც კი. წავიდა მთლად ახალგაზრდა, ჯანმრთელი და საყვარელი“. სადღაც, წავთლუხის მიდამოებში, გაუსამართლებლად დახვრიტეს პაპაც, გიორგი მამულაშვილი.

შემდეგ იყო ტროცკისტთა შვილების იარლიყი, ფეზეო და მუმაობა საავიაციო ქარხანაში. საავიაციო ტექნიკუმშიც სწავლობდა, მაგრამ არ დაუმთავრებია, როგორც ჩანს, მალე მიხვდა, მისი საქმე რომ არ იყო. ხატვის თანდაყოლილი, გამორჩეული ნიჭის გამო, ერთხანს სამხატვრო აკადემიაშიც აპირებდა სწავლის გაგრძელებას, თუმცა, საბოლოოდ, 1947 წელს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა.

1949 წელს, როდესაც მისი და დაქვრივდა და ჩვილი ბავშვით ხელში უსახსროდ დარჩა, ოჯახის ტვირთის აღება საკუთარ მხრებზე მოუხდა, უნივერსიტეტი მიატოვა და სამგორის არხის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. მისი სტუდენტობის მეგობარი თინა ცქიტიშვილი იგონებს, საერთოდ უწყინარსა და იუმორის გრძნობის მქონეს, როგორ სწყენია მისი ხუმრობა, — სამგორის არხზე მუშაობით, საბჭოთა მშენებლობაში თავის გამოჩენა და კარიერის გაკეთება ხომ არ გინდოდა.

უნივერსიტეტში მაშინდელმა ლეგენდარულმა რექტორმა ნიკო კეცხოველმა დააბრუნა, რომელსაც ყველა ნიჭიერ სტუდენტზე დიდი ამაგი ჰქონდა, მაგრამ რეზო ინანიშვილის მიმართ მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ძალიან ბევრი იხსენებს: ამბობენ, კეცხოველმა მოიკითხა, ის ნიჭიერი ბიჭი რატომ არ ჩანსო, კაცი გაგზავნა მის მოსაძებნად, აპოვნინა და უნივერსიტეტში მოაყვანინაო. კიდევ ერთი მეგობარი, თინა კობალაძე იგონებს: „მოგვიანებით, ბატონ ნიკოს რომ დავუახლოვდი და ეს ამბავი გავასენე, მითხრა: ძალიან ნიჭიერი მწერალია. ასეთი კაცის დახმარება ყველას ვალია, ეს ქვეყნისთვის არის საჭირო.“

თავად მწერალი, ნიკო კეცხოველს „უძმოს ძმად და უმამოს მამად“ მოიხსენიებდა.

რევაზ ინანიშვილის პირველი მოთხოვნა „სახსოვარი“ სტუდენტურ ალმანახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა 1950 წელს, 1951 წელს ამავე უურნალში დაიბეჭდა მოთხოვნები: „უცნაური“, „სამგორელები“ და „ბუდრუგანაში“. 1953 წელს გამოსცა მოთხოვნების კრებული, სახელწოდებით „პირველი მოთხოვნები“. ქართველი მცითხველი საოცარი ემოციით, ქებით შეხვდა რეზო ინანიშვილს. საზოგადოება შეძრა მწერლის უშუალობამ, მისმა ენამ და სტილმა. მოწონება იმ მწერლებმაც კი ვერ დამალეს, ვისთვისაც ნაწარმოების მხატვრულობა კი არა, იდეა იყო მთავარი.

მოგვიანებით, რეზო ინანიშვილის გამოჩენის ეფექტი ქართულ პროზაში, პირველია ანა კალანდაძის პირველად გამოჩენას შეადარეს. უფრო კონკრეტულად მიხეილ ქვლივიძეს გავიხსენებთ: „რეზოს პირველი წიგნის წაკითხვისთანავე მივხვდი, დიდ მწერალთან მაქვს საქმე. ისეთ მწერალთან, ვისი უშუალო წინამორბედები ჩვენი კლასიკოსები არიან: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილი. აკი მოხდა: რეზო ინანიშვილმა ლირსეულად გააგრძელა და ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული კლასიკური პროზის საუკუნოვანი ტრადიცია“.

ყველა, ვინც რევაზ ინანიშვილს იცნობდა, ერთხმად აღნიშნავს, რომ იშვიათია ხელოვანი, რომლის პიროვნული „მე“ ესოდენ შეესაბამებოდეს მისი შემოქმედების არსს. მისი მწერლური ოსტატობა თვალს არ სჭრის გარეგნული ეფექტებით, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ყოფით ამბებს, პასტორალურ-სოფლურ გარემოს თუ ქალაქური ცხოვრების სურათებს, მწერალი მშვიდი, ნაღვლიანი სიკეთის შუქით ანათებს და მათში დაფარულ პოეზიას გამოავლენს.

მისი შემოქმედებითი უკომპრომისობის არაერთ შემთხვევასაც იხსენებენ.

რეზო ესაძე:

„იმ დროს მინიატურებს ვწერდი, ძალიან სენტიმენტალურს და გულისამაჩუყებელს. მივიტანე ეს ჩემი მინიატურები „პირველ სხივში“ და მითხრეს, შენ თვითონ აირჩიე რეცენზინტად, ვინ გინდაო. რა თქმა უნდა რეზო-მეთქი, ჩემი ძმაკაცია. დარწმუნებული ვარ, ისეთ რეცენზიას დაწერს, ტაშით და ზარ-ზეიმით შევგრიალდები „პირველ სხივში“. მაგრამ მე რეზომ გამაუთოვა!... ერთი ნამცეცით არ დამზოგა, აღარაფერი დატოვა ჩემგან. დაამთავრა თუ არა, მომაშურა, გეწყინაო?, — მკითხა.

—შენს თვალებში ყველაფერი ერთიანდებოდა, თან მლანდლავდი, თან იღიმებოდი, ისე ძალიან მიყვარდი იმ დროს,

წუთით არ მიფიქრია განაწყენება-თქო, ვუპასუხე. მის თვალ-ნინ გავანადგურე ჩემი მინიატურები მთლიანად.

თეიმურაზ მაღლაფერიძის მოგონებაში ვკითხულობთ, თუ როგორ გაიტანა დამწყებ მწერალთა წრეზე ნამდვილ ამბავ-ზე დაწერილი პატარა მოთხრობა, რომელშიც სამი წლის ბიჭუნას უცაბედი სიკვდილი იყო აღნერილი. მავანნი გამოდიოდნენ და მაქებდნენ, მაგრამ ჩემთვის რეზოს მსჯავრი იყო მთავარი, მან კი ქვა ქვაზე არ დატოვა, მითხრა, „იქნებ, რაც მოთხრობაშია აღნერილი, მართლაც მოხდა, მაგრამ რაც ხდება, განა ყველაფერი გადმოცემის ღირსია? ღიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მოუტანს... როგორ შეიძლება მწერალმა სამი წლის ბავშვი სასიკვდილოდ გაიმეტო, რა მხატვრული აუცილებლობაა ამისო.“

ამ შემთხვევასთან კავშირში, შეუძლებელია, სხვა ამბავი არ გაგვახსენდეს. ინანიშვილს აქვს ერთი არაჩვეულებრივი საბავშვო მოთხრობა „ქარი რომ უბერავდა და თან თოვლის ფიფქები მოჰქონდა“, რომელიც ობოლ და-ძმაზე მოგვითხრობს. ავტობიოგრაფიაში წერს, რომ მოთხრობა პაპა გიორგის მიუძღვნა და ნამდვილ ამბავზეა აგებული, თუმცა მთლად დოკუმენტური არ არის, სინამდვილეში, პაპას პატარა და დაიღუპა, მაგრამ მოთხრობას ბედნიერი დასასარული აქვს, ასე მინდოდა დამემთავრებინა, რადგან ბავშვებისთვისაა დაწერილიო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1956 წელს დაამთავრა და რამდენიმე წელი მხოლოდ ღიტერატურული შრომით ცხოვრობდა, რაც საბჭოთა სინამდვილეში არცთუ ხშირი შემთხვევა იყო.

1960 წელს საბავშვო გამომცემლობა „ნაკადულში“ დაიწყო მუშაობა, 1966-ში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში გადავიდა. 1985-88 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საბავშვო ჟურნალ „დილის რედაქტორი.

რეზო ინანიშვილის სცენარების მიხედვით გადაღებულია არაერთი ქართული ფილმი. მათ შორის, „არდადეგები“, „ვი-ლაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „ფერმა მთაში“. იგი ასევე თანაავტორია სცენარებისა საქვეყნოდ ცნობილი ქართველი კინორეჟისორების — ოთარ იოსელიანისა და თენგიზ აბულაძის ფილმებისათვის — „პასტორალი“, „ნატვრის ხე“.

„მწერლის ათეულობით წიგნს შორისაა საბავშვო მოთხოვნების რამდენიმე კრებული. 1977 წელს, წიგნისთვის „შორი თეთრი მწვერვალი“ რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

წერდა ფანქრით, გასაოცრად ლამაზად და მწყობრად, თუ რამე არ მოსწონდა, საშლელით შლიდა და ასევე ლამაზად ასწორებდა. მწერლის შემოქმედებითი სახელოსნოს შესახებ გადასაღები დოკუმენტური ფილმის სცენარად განკუთვნილ ტექსტში თავადაც წერს: „პატარა მოთხრობა ლექსს ჰგავს... მოხდება, — თითქოს შემთხვევით გადაეყრები, გონებაში განათდება და გადაირბენს რაღაც... მერე დაწერ, დაწერ განსაკუთრებით შავად და არაფერია... ჩემი ერთადერთი თავისებურება ისაა, რომ უთუოდ ფანქრით ვათეთრებ, თანაც უთუოდ ძალიან კარგ ქაღალდზე, რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ დაწერეთ და წაშალეთ, ეს ქაღალდი ყველაფერს იტანს. მცირე ფორმის ნაწარმოებს კი ეს შლა და ხელახლა დაწერა ფრაზისა, არასოდეს სწყენს.“

ხატვაც ძალიან უყვარდა. გამუდმებით ხატავდა ყველგან, განსაკუთრებით სამსახურში, თათბირებზე, სხდომებზე. ხატავდა პეიზაჟებს, ხეებს, საკუთარი მოთხრობების გმირებს. უყვარდა მუსიკაც. გამორჩევით — სიმფონიათა ნელი ნაწილი, მუშაობის დროს მათ რაღაცნაირ აკომპანიმენტად განვიცდიო. მუსიკოსებისაგან ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, ნოველისტებისთვის — განსაკუთრებით შოპენისგან.

მწერლის სტილის, მისი საოცარი უნარის, სულ ერთწინადადებიან მინიატურაში პერსონაჟის მთელი ცხოვრება ჩაეტია, ნიმუშად ერთი პანანინა ჩანაწერი გავიხსენოთ „სამა-

გიდო რვეულებიდან“: „ნინა ძალის ნაამბობი: მარტო ჩემი მზითვის თეთრეული რომ დააწყვეს ამათი სტოლი, ამ საცოდავებისა, წაიქცა“.

რეზო ინანიშვილი 1991 წლის დეკემბრის ბოლოს გარდაიცვალა. იმ დროს საქართველოში სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული და ლიტერატურის მოყვარულთა გულუბრყვილო რწმენა, ასეთი დონის თავზარდამცემ მოვლენას, თუ სულ ვერ შეწყვეტდა, დროებით მაინც უნდა შეეჩერებია ძმათა შორის სისხლის-ლვრა, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ქვეყანაში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე, დიდი მწერლის, რევაზ ინანიშვილის, გარდაცვალება, ლამის ერთი ოჯახის ტრაგედიად დარჩა.

მზერლის საიუბილეო, 2006 წელს, ჯუმბერ თითმერიამ შეადგინა და გამოსცა რევაზ ინანიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი „დაგვიანებული რეკვიემი“, სადაც მეგობრების არაერთ, ძალიან საინტერესო მოგონებასთან ერთად, რეზო ინანიშვილის შემოქმედების შეფასებებიც არის მოცემული.

ვახუშტი კოტეტიშვილი: „უყვარდა ყველაფერი, რაზეც წერდა, ვიზეც წერდა და ვისთვისაც წერდა“.

ოთარ ჩხეიძე: „რევაზ ინანიშვილი უფრო ლირიკოსი გახლდათ თავისი მინიატურებით, მცირე ზომის მოთხოვნებითა და ჩანახატებით“.

ოტია იოსელიანი: „ჩვენში ქართველმა, უნიგნურიც რომ იყოს, რეზო ინანიშვილი უნდა იცოდეს, რადგან მის ნაწარმოებებში ამოკითხავს ქართული სიტყვის დიდოსტატობასაც, იმ ტკივილსაც და ღიმილსაც, რაც რეზომ იცოდა, მისმა შემოქმედებამ იცის და სხვამ არავინ“.

ოტია პაჭკორია: რევაზ ინანიშვილი ოსტატია. ოსტატია ხელოვნების და ხელობის თვალსაზრისით (შთაგონების სფეროშიც და წვრთნით შეძენილი ჩვევითაც). მის მთელ რიგ მოთხოვნებში ჩანს ქართული პროზის მარადი თვისება — მაღალი რწმენა, მინის ვნებადაუშრეტი ტრფიალი, სიტყვის განუხრელი ერთგულება“.

ალექსი ჭინჭარაული: „რეზოს მყვირალა თემები არ უყვარდა, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო ამბაკს ისე ააჟღერებდა, რომ ყველას ყურადღებას მიიპყრობდა“.

ლევან ბრეგაძე: „ბევრი დიდი მწერლისაგან განსხვავებით, რევაზ ინანიშვილისათვის ამბავი და ამბის განვითარება როდია მთავარი, არამედ რაღაც სხვა, იდუმალი და მოუხელ-თებელი. ასეთ შემოქმედზე ამბობენ, რასაც მისი ხელი შე-ეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევაო“.

თეიმურაზ მალლაფერიძე: „მის მოთხრობებში ყველაფე-რია: მკაფიო აზრი, კომპოზიციური სიმწყობრე, ქვეტექსტი, უზუსტესი დეტალი, სხარტი დიალოგი, სევდისა და სიხა-რულის უცნაური ნაზავი, უკიდურესობამდე დაწურული ფრაზა, ცინცხალი იუმორი... ფაქიზი, გამჭვირვალე, პოეზიის რანგში აყვანილი ლირიზმი, მძაფრი დრამატიზმი“.

აკაკი ბაქრაძემ ინანიშვილის მოთხრობებს „სულის პური“ უწოდა: „მისი სამყარო სუფთა, კრიალა, მზით გაბრწყინებული სამყაროა, დასახლებული კეთილი, მშრომელი, ურთიერ-თმოყვარული ადამიანებით“

დღეს, რევაზ ინანიშვილის გარდაცვალებიდან ოცი წლის-თავზე, პატივს მივაგებთ მის ხსოვნას, გავიხსენებთ და სხვებსაც შევახსენებთ იმ დიდ შემოქმედებით მემკვიდრეობას, რომელიც მწერალმა დაგვიტოვა, რადგან დღესაც აქ-ტუალურია დიდი მწერლის შიში, ერთ ჩანაწერში ორი ათე-ული წლის წინ გამოხატული: „ამ დღეებში გამაჩერა ერთმა განსწავლულმა კაცმა და ვითომდა მხოლოდ ხუმრობით მკი-თხა: — რა ქართული ორლობების ქება აგიტყდა, კაცო, ამ გაგანია კოსმოსის ათვისების ეპოქაშიო. მეც ვითომ ხუმრო-ბითვე მივუგე: — ეგ შიშიდან მოდის. მეშინია, შენ, რომელ-საც გგონია შენი მიზნებისათვის საჭირო რაღაც მაინცა და მაინც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა მოიძიება, ძირს დაუხედავად არ გადათელო შენს წინ არსებული სიცოცხლე-ები და მშვენიერებანი-თქო“.

მაპა ჯოხეაძე

რევაზ ინანიშვილის „სამაგიდო ჩანაწერები“

„ნუ უფრთხილდებით თავს, თუ თქმას მოელიან თქვენგან, თქვით თქვენი სათქმელი და ნუ იფიქრებთ იმაზე, მაინც-დამაინც გამორჩეულად ბრძნული თქვათ რაიმე. მათ მხოლოდ ხმა სჭირდებათ თქვენი...“

რეზო ინანიშვილის ეს ჭკვიანური სენტენცია, რომელსაც უკვე შეჰქარვია ამ მწერლისათვის უჩვეულო სკეფსისი, განსაკუთრებული სიღრმით გამოხატავს დროის დაწოლას, სამყაროს ბუნებრივი რიტმიდან ამოვარდნას, აზრის უაზრობად ქცევას, მოსმენის უნარის დაქვეითებას, ნამდვილი, ღრმა განცდების ნაცვლად იმპულსურობას. ყოველივე აქედან გამომდინარე კი — ხელოვანისა და ხელოვნების კრიზისს.

შუა საუკუნის წმინდა მამები კაცობრიობის მორწმუნე ნაწილზეც კი წინასწარმეტყველებდნენ: უკანასკნელ უამს ადამიანები საცდურთაგან ისე დაუძლურდებიან, ლოცვას ვინ ჩივის, პირჯვრის გადასაწერ ლონესაც კი ვეღარ აღმოაჩენენ საკუთარ თავში... მაშ, რაღა უნდა ითქვას არაეკლესიურ, რწმენისაგან სრულიად დაუცველ ადამიანებზე?!

გამკლავებისა და ძალ-ღონის მოსაკრებად ხელოვანმა საკუთარ მღვიმეებს, საკუთარ სულიერ სამყაროს უნდა მიაშუროს. დანარჩენებთან ერთად ხელოვანიც განუწყვეტლივ დგას არჩევანის წინაშე, — ამდენგვარ მძლავრ საცდურთა ტალღებში საკუთარი სინდისის, ე.ი. ღვთის ხმის ნებაყოფლობით ტყვედ დარჩეს. ეს ყველაზე სუფთა და სანდო ზონაა. თუ ამ ზონის აუმღვრევლად დაცვას მოახერხებს, მაშინ იგი ტარკოვსკისეულ, ყველაზე სანდო „სტალკერად“ (გზამკვლევად) რჩება.

ორი ცხოვრება — ხელოვნება და სინამდვილე — ეს პარალელი სამყაროსავით ძველია. ორი რეალობა — მხატვრული

და ემპირიული — იმთავითვე სხვადასხვა ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ არცერთ საუკუნეში შემოქმედებას ისეთი ზეწოლა არ განუცდია, როგორც ჩვენსაში. არც ერთი საუკუნე ისეთი მძლავრი, მასობრივი, ყოვლისშთან-მთქმელი ენერგეტიკით არ ჩართულა სულიერსა თუ მხატვრულ სამყაროში, როგორც ეს მეოცე საუკუნეში მოხდა. ამ თვალსაზრისით ხელოვანისა და მასზე შეყვარებული ადამიანის ბედი, მწერლისა და მკითხველის ბედი არც არასოდეს დამსგავსებია ისე ერთმანეთს, როგორც დღეს. სისასტიკის პროგრესი არა მხოლოდ ხელოვნებას ებრძვის, არამედ მის ჭეშმარიტ მცოდნესა და დამფასებელსაც, რადგან მწერალიც და მკითხველიც სწორედ ღვთაებრივი სინათლის მონატრებისა და სიყვარულის უნარის გამო ჰგვანან, პირველ ყოვლისა, ერთმანეთს. მწერლობა ხომ ორმხრივი სიყვარულია!

რევაზ ინანიშვილი, რომელიც, პირადად ჩემთვის, სამყაროსთან კეთილშობილური ურთიერთობისა და დიადი ინტიმის ეტალონია, ბუნებრივია, საშინლად განიცდიდა ამ ორმაგ დაწოლას, ხელოვნებისადმი მსახურების მისთვის დაკისრებულ მისიასა და წვრილმანი თუ მსხვილმანი საზრუნავებით დანაკუნებული და დასერილი ცხოვრების წინაშე ხარკის გაღებას, ადამიანურ მოვალეობათა აღსრულებას. მას პირადად ჩემთან საუბრის დროსაც არაერთგზის გამოუთქვამს ამ აუსრულებელი ოცნების, „მარადიული ნატვრის“ შესახებ, როცა მთელი თავისი არსებით, მთელი თავგანწირვითა და მოცალეობით მიეცემოდა მხოლოდ ხელოვნებას, მხოლოდ სიტყვასთან ჭიდილს, მხოლოდ სიტყვის ლოლიავს. ასეთი ემოციური ადამიანისათვის ეს უაღრესად ნიშანდობლივი და თითქმის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მომენტი გახლდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, არასოდეს ჰქონია ამის საშუალება, უფრო ზუსტად, არასოდეს მიუცია საკუთარი თავისათვის ამ „ეგოიზმის“, ამ ეგოისტური ფუფუნების უფლება. რეზო ინანიშვილი ამ თვალსაზრისითაც საოცრად მაგონებ-

და ვაჟა-ფშაველას, ბუმბერაზ შემოქმედს, რომელსაც არსობის პურისათვის, ვიცით, რა ჭაპანწყვეტა სჭირდებოდა და როგორ ჰქონდა, ალბათ, ამის გამოც შელახული ნერვული სისტემა. ხშირად უზარმაზარი ტკივილების საფასურად იქმნება ხოლმე ხალხში ე.წ. „ლეგენდები“. ერთ-ერთი ამ ლეგენდათაგანი, უშუალოდ ვაჟას ცხოვრებიდან, ერთგვარი მსუბუქი იუმორითა თუ ირონითაა შემონახული: ვაჟა რომ წერად დაჯდებოდა, თუნდაც ზესხმა ყოფილიყო, თუნდაც თოვლი, ცოლ-შვილს გარეთ გაყრიდა, იჯდა და მუშაობდაო. რა ობივატელური ირონია სდევს ამ სიმსუბუქეს თან, ამ, რაღა თქმა უნდა, გაზიადებას, რომელიც ისევე სჭირდება სეირს დანატრებულ კაცს, გენიოსების ცხოვრებას რომ ადევნებს შორიდან თვალს, როგორც თავად გენიოსს სჭირდება ელემენტარული პირობები სამუშაოდ...

სხვა ტიპის ადამიანი, სხვა ხასიათის შემოქმედი, ალბათ, ამ პრობლემაზე უფრო მკაცრად, უფრო აღშფოთებით ალაპარაკდებოდა, მაგრამ თავად რევაზ ინანიშვილი ამის შესახებ რაღაცნაირი ქრისტიანული მომთმენლობითა და შემგუებლობით, ერთგვარი მორჩილებითაც კი საუბრობდა. აი, ამის დამადასტურებელი მისი ჩანაწერიც:

„მე მაინც გაჭირვებული ცხოვრების ნაყოფი ვარ. ქალაქიდ ვიყავ თუ სოფლად, ან ვმსახურობდი, ან გლეხურ საქმეს ვაკეთებდი ყოველგვარი შელავათების გარეშე. რაც არ უნდა წიგნი მქონოდა წასაკითხი, ანდა დასაწერი, მე მათ ვტოვებდი, რათა დროზე მიმეხედა ჩემი სამსახურის გზისა თუ ვენახისათვის.

ვფიქრობ, აქედან მოდის ურღვევი ჩვევა, სწრაფად წავიკითხო ჩემი წასაკითხი, სწრაფად ჩავიწერო ჩემი ჩასაწერი. დღესაც მუდმივად მდევს რაღაც გაფრთხილება, დამაშინებელი გაფრთხილება, რომ მე უფლება არა მაქვს, მთლიანად მივეცე კითხვასა თუ წერას“.

რა შემაძრნუნებელია მთელს ამ ამონაწერში ეს ორი სიტყვა: „დამაშინებელი გაფრთხილება“. ისევე შიში, ისევ შიში! თავისუფლების ეს სასტიკი ჯალათი თავს დასდგომია ამ უკეთილშობილეს არსებას, უთბილეს ხელოვანს, რომლის წარმოსახვის მასშტაბებიც ისეთი გამაოგნებელი და ზუსტია, რომ გეგონება სისხამზე გარეთ გამოსულს, რიურაჟის ბურუში გახვეულს ამ ბურუსივით ზუსტად და თითქმის ხელუხლებლად შემოაქვს ჩვენში ყოფის სუსხი, წარმავლობის სევდა და ცხოვრების ხანმოკლე დღესასწაულები... აკი წერს კიდეც ერთგან, — ხელოვნება ესაა უმაღლესი რანგის სიზუსტე.

მაინც როგორ ახერხებს წონასწორობის შენარჩუნებას, ამ უცნაურ სიმშვიდეს, ფაქიზ სიმშვიდეს, რომლის მიღმაც დიდი ადამიანური ვნებები და საწუხარი იმაღება... როგორ და — სიყვარულით! მე ვერ ვიტყვი, იგი ორთოდოქსი მორწმუნე იყო-მეთქი იმ გაგებით, რა დატვირთვითაც ამ სიტყვას ხმარობენ დღეს. მაგრამ იგი სიყვარულით აღვსილი არსება გახლდათ, ღმერთი კი თავისთავად სხვა რა არის, თუ არა სიყვარული, — სიყვარულში იგი უფლის უერთგულესი მოწაფე იყო, მისი მიმბაძველი და მისი სათნომყოფელი. თავის დროზე თომას მანი, რომელიც დაბნეული იყო პირადად მის ქვეყანაში და საერთოდ ევროპაში მიმდინარე არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიური პროცესებით, საეკლესიო განხეთქილებებით, მწვალებლობებით, ერესებით და ა.შ. გულწრფელად აღიარებდა, გულწრფელად და ერთგვარი გულუბრყვილობითაც — პირადად მე, რელიგიაზე მეტად სიყვარულისა მწამსო. რევაზ ინანიშვილს ამ თვალსაზრისით ნაკლებად ჰქონდა დასაბნევი, მიუხედავად იმისა, რომ მას საბჭოურ პერიოდში მოუწია ცხოვრებამ და მოღვაწეობამ, მიუხედავად იმისა, რომ რელიგია მის დროს იკრძალებოდა და სასტიკად იდევნებოდა... უამიანობამ მის გენეტიკურ ქრისტიანობას, მისი მამა-პაპის მართლმადიდებელ სარწმუ-

ნოებას ვერაფერი დააკლო... პირიქით, უღმერთობამ და სიც-რუემ ღვთის რწმენაცა და სიყვარულის უნარიც კიდევ უფრო მეტად განუმტკიცა...

მან, როგორც მწერალმა და პიროვნებამ, შესანიშნავად იცოდა, რომ ორასი წლის განმავლობაში აკრძალული მართლმადიდებლობის ტვირთი თავისი მხრებით ზიდა ქართულმა კულტურამ, პირველ რიგში კი, მწერლობამ. იგი ამ კულტურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. ამიტომაა, რომ ეს ერთგულება წინაპართა სარწმუნოებისა, როგორდაც თავისთავად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აფიშირების გარეშე შეიგრძნობა რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. აქ დგას უჩვეულო მყუდროება, სიფაქიზე, სინაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, არ იცოდეს, რა ზათქი, რა დავიდარაბა, რა მარათონული სვლა და ზიბზიბია ატებილი მთელს სამყაროში ადამიანების მიერ. იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ნაკლებად ენდობიან ღვთივდადგინებულ კანონზომიერებებს, სამყაროს მოუწყენელ რიტმს — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი...

რევაზ ინანიშვილი თავისი სხივიანი, შუქიანი თვალებით მთელი გულისყურით, მთელი არსებით აკვირდება ქვეყნიერებას და ისეთ ღირებულებებს კრიფავს მარგალიტების სახით, რომლებიც ადამიანს ეხმარება, ცხოვრებისეულ ამაოებათა შემოტევებს გაუძლოს. ალბათ, უფრო ზუსტი ვიქენები, თუკი რევაზ ინანიშვილის მისამართით ვიტყვი, რომ მისთვის უმნიშვნელო, ამაო თითქმის არაფერი არსებობს სამყაროში. ყოველი დღის გათენების მადლიერია, ყოველი წამი ფაქიზად ეფონება მის გულს, ზურგზე ვეება ტვირთმოკიდებული ჭიანჭველისადმიც ისეთსავე ყურადღებასა და სითბოს იჩენს, როგორსაც ადამიანებისადმი.

მან, როგორც კაცმა, შეუდარებლად იცის დროის ფასი, ანუ მარადიული მეტაფორა: დრო მდინარეა! დროის სწრაფ-მავალი მდინარე გააფთრებულ ნიაღვრებად მიედინება თავ-

დაღმართში, უფსკრულისაკენ, აღარაფერს ტოვებს სუფთას, უბინოსა და გამჭვირვალეს... და რევაზ ინანიშვილს, როგორც მწერალს, ღრმად სწამს, რომ რამდენიც უნდა სცოდოს ადამიანმა, რა შეცდომებითაც უნდა აავსოს თავისი ცხოვრება, ცხოველური წარმომავლობისა თუ სხვა ამდაგვარი ღირსების შეურაცხმყოფელ რა თეორიებსაც უნდა დაუგდოს ყური, რომელმა სექტანტურმა თუ სატანურმა თეორიამაც უნდა დაამინოს და მტკრად და არარაოპად წარმოსახოს, ქვეშეცნეულად მაინც იტოვებს იმედს, რომ ღმერთი არ გასწირავს!

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება ამის ნათელი დადასტურებაა. მისი პეიზაჟი მარადმედინი, ყოველწამიერად ცვალებადია, მაგრამ თავისი რიტმული მონაცვლეობით მარადიული და ერთგული უფლისა, რომელიც ანესებს და ანესრიგებს პლანეტების განლაგებასა და მონაცვლეობას სამყაროში, დროის ციკლს, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებას, დაბადებისა და აღმოჩენების წარუვალ სიხარულს. რევაზ ინანიშვილის პროზა ძალიან ჰგავს სოფლის ტკბილ-მწარე კვამლს. ამიტომ ეს პროპორცია სიტკბოებისა და სიმწარისა, მთელს მის შემოქმედებას თან სდევს. აქ არსადაა მხოლოდ მაჟორი ან მხოლოდ მინორი, ეს არც მონაცვლეობაა მზისა და ჩრდილისა, დღისა და ღამისა, როგორდაც ყველაფერი ერთმანეთში გარდამავალი და ერთმანეთიდან გამომდინარეა... ეს უფრო მიღება, შეგუება, შერიგება და, ამავდროულად, აღიარებაა იმ ფაქტისა, რომ თვით ყველაზე „უცოდველ“ ადამიანსაც კი ცოდვა ადევს, თავისი უშუალო წინაპრებისა კი არა, არამედ პირველქმნილი...

ხელოვნების და უშუალოდ მწერლობის უპირველესი დანიშნულებაც სწორედ ეს არის — როგორმე მოალბოს კაცის გაქვავებული გული, როგორმე დაანახოს უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანის ტრაგიზმი, შეენიოს უმწეობას... ყოველივე ეს კი უფლისაკენ მიმავალ ვიწრო და სახიფათო ბილიკებზე სვლას გულისხმობს, რაც უხმაუროდ, ბუნებრივად,

როგორლაც თავისთავად, ყოველგვარი დიდაქტიკისა და ძალდატანების გარეშე უნდა ხდებოდეს. ამიტომ შეუძლებელია მცირეოდენი ეჭვის შეტანაც კი მის მიერ დასმულ დიაგნოზებში. მით უფრო, როცა ეს დიაგნოზი შემოქმედის ბუნებას ეხება:

„ბედნიერი მწერალი... ცოცხალი ბედნიერი მწერალი უკვე საცოდაობაა. იგი უკვე მოწყვეტილია მთავარს — ჭეშმარიტების ტანჯვით მაძიებელ სულს, იგი უკვე აღარ განიცდის სხვათა მოთქმა-გოდებას, აღარ განიცდის მათ მარტოობას“.

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზემოთქმულის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. და ეს ისევ და ისევ მისი თბილი გულის, ადამიანისადმი გაუნელებელი, უსაზღვრო ნდობისა და სიყვარულის ძალით. ამიტომ გვაოცებს მწერლის განცვიფრება, რომელიც მან ჩანაწერებში, თავის „უბის წიგნაკებში“ ჩატოვა:

„ქრისტემ უბრალო ადამიანური გული დაუდო საფუძვლად თავის მოძღვრებას და საოცარია, ეს მოძღვრება აღმოჩნდა ყველაზე მყარი აზრი დედამიწაზე“.

დედამიწაზე გავრცელებული ამ ყველაზე „მყარი აზრის“, ანუ „უბრალო ადამიანური გულის“ მატარებელია ყველა ჭეშმარიტი მწერალი. ამიტომ დიდებულია რევაზ ინანიშვილის მიერვე შენიშნული ფოლკნერის შემოქმედების არსი:

„დიდებულია ფოლკნერი: ...სიყვარული, პატიოსნება, სიბრალული, სიამაყე, თანაგრძნობა, თავგანწირვა, — აი, ის ძველთაძველი, უნივერსალური სიმართლენი გულისა, რომელთა გარეშე ყოველგვარი ნაწარმოები განწირულია და არარაობად იქცევა“.

თავგანწირვა, პატიოსნება, თანაგრძნობა, სიყვარული... ეს და ამგვარი ცნებები აბსოლუტურად თავდახსნილია განსჯისაგან, გონებისეული ანონვისაგან, ანგარიშიანობისაგან... ისინი უფრო პირველადი, თანდაყოლილი განცდებია და ამიტომ ისე უშუალოდ და მოულოდნელად იფეთქებენ

ხოლმე ექსტრემალურ სიტუაციებში, რომ თავად მათი ჩამდენი ადამიანი საკუთარი გულოვანებითა თუ ერთგულებით ზოგჯერ გაოცებული რჩება. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ადგილი გრიგოლ რობაქიძის შესანიშნავი რომანიდან „ჩაკლული სული“.

კოჯორის ტყეში საქეიფოდ ასულ თანამოაზრებს მოულოდნელად ნომენკლატურის მაღალჩინოსანი წარმომადგენლები ეწვევიან და ლხინიც ამოვარდება თავისი ჩვეული, ბუნებრივი და ხალისიანი რიტმიდან.

„...ლაპარაკობდნენ ბევრს და ზერელედ“...

ბევრი და ზერელე ლაპარაკი პირველი და უტყუარი სიმპტომია არაგულითადობისა, არაგულწრფელობისა. ეს არაგულწრფელობა, უნდობლობა და ეჭვი თანდათან ამუქებს, წამლავს რომანის როგორც გარეგან, ისე შინაგან გარემოს: შიშით ნაქსოვი ატმოსფერული ბადე, თანდათან იზრდება, მატულობს, ტყვიასავით ცივდება და მძიმდება.

რა განსაცვიფრებლად ზუსტად და უბრალოდ ხსნის ავტორი მთელ ამ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს:

„...ო, ეს სიფრთხილე! ეს შინაგანი შიში. ეს უმთავრესი სენი სიცოცხლის! ეს ლაჩრობაა, ცოდვაა სიცოცხლის წინაშე...“

და მართლაც ასეთი შიში სენია, ავადმყოფობაა, ცოდვაა სამყაროს წინაშე, რადგან გეშინოდეს, — ნიშნავს ნაკლებად ენდობოდე უფალს, ნაკლებად გწამდეს მისი ყოვლისშემძლეობისა და ამიტომაც ნაკლებად, ან თითქმის არასოდეს მიმართავდე მას დასახმარებლად.

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, ამ შიშისა და სიფრთხილისაგან განსხვავებით რაღაცნაირი სიმშვიდითაა გაჯერებული. უიშვიათესი სიმშვიდით, რადგან ნებისმიერ განსაცდელს იგი იობისეული მოთმინებითა და სიყვარულით იღებს უზენაესისაგან. თვით ამინდის მონაცვლეობასაც კი, თუ დავაკვირდებით მის პეიზაჟებში, აღმოვაჩენთ, რომ ზუს-

ტად ისეთივე სიყვარულითა და აღფრთოვანებით იწერება ამღვრეული მარტის დღეებზე, იანვრის ყინვაზე, გვიანი შემოდგომის თრთვილსა თუ მოულოდნელად მოსულ თოვლზე, როგორც გაზაფხულის პირველი კვირტის მოულოდნელ, ჩუმ გადასკდომაზე, როგორც კაშკაშა ბრდლვიალა მზეზე.

მისი „სამაგიდო რვეულის“ ჩანაწერები არ იკითხება მხოლოდ და მხოლოდ დიდი მწერლის ცხოვრებისეული წვრილ-მანების, სისუსტეებისა თუ საიდუმლოებათა ცოდნის წყურვილით, რითაც „გაუმაძლარი“ მკითხველი ასე ეძალება მსგავს ლიტერატურას. კარგა ხანია საუბარია იმის შესახებ, რომ ევროპასა და ამერიკაში გაცილებით უფრო დიდი ინტერესით კითხულობენ და მეტი ტირაჟებითაც გამოდის თავად მწერლებზე დაწერილი წიგნები, ან მათ მიერვე თავის დროზე გაკეთებული ჩანაწერები (ამ თვალსაზრისით, პირადად მე მაკლია ეს ცნობისმოყვარეობა, ყოველ შემთხვევაში რაღაც გარკვეული დოზით მაინც)...

უნდა აღინიშნოს, რომ რევაზ ინანიშვილის ეს ჩანაწერებიც არაჩვეულებრივი ნიმუშია მწერლის რელიგიურობისა. შესაძლოა, „სამაგიდო რვეულების“ მთელი გვერდები ისე ჩაათავო, რომ იქ სიტყვა „ლმერთი“ ან „უფალი“ არც შეგხვდეთ, მაგრამ ყველაფერი სწორედ ამითაა გაჯერებული. მისი ლიტერატურული პორტრეტი ამიტომაც იხატება ასე საინტერესოდ ამ „სამაგიდო რვეულებიდან“. ნიმუშად სულ პანია მაგალითს მოვიტან:

„ბავშვობაში ჭექა-ქუხილის მეშინოდა. ახლა არაფერი მიყვარს მასავით. რაც უფრო მაგრად იჭექებს, მით უფრო მაგრად მიმტკიცდება რწმენა, რომ დედამიწას ისევ აქვს შერჩენილი ძველებური ძალა“.

რეზო ინანიშვილისათვის მთელი სამყარო იდუმალების ბურუსშია გახვეული, მან შესანიშნავად იცის, რომ ადამიანის გონებას, ცივილიზაციის გრანდიოზული მიღწევების მიუხედავად, სრულად არ ძალუძს ჩაუღრმავდეს და ამოხ-

სნას ათასობით საიდუმლო. ეს საიდუმლოებანი ცნობიერების მიღმა დგას. ესაა სამყაროს იდუმალება და ამ ჭკვიან მწერალს მთელი არსებით სწამს, რომ საიდუმლოს გაფრთხილება უნდა, რომ უნდა დარჩეს სამყაროში უამრავი სიწმინდე, რომელთაც ტაბუ უნდა ედოს, რომ ყველა ტაბუახდილი იდუმალება მხოლოდ ილუზია გამარჯვებისა. პირიქით, ისე არაფერი ღუპავს ადამიანის სულს, როგორც სიწმინდეებისა თუ იდუმალებით მოცული მწვერვალების აღებისა და დაპყრობის ჟინი. ეს „ცუდი ცნობისმოყვარეობაა“, როგორც მის შესახებ ბრძენი ადამიანები წერენ.

რევაზ ინანიშვილს როგორლაც თავიდანვე, სიჭაბუკიდანვე თითქოს გაცნობიერებული აქვს ეს სიბრძნე. და ამიტომაც იცის ასე კარგად, რომ ღვთის მიერ ბოძებული დიდი ტალანტი ერთდროულად ჯილდოცაა და სასჯელიც. ამით იგი რაღაცით მინდიასაც მოგვაგონებს, ასეთ ბედნიერსა და ასეთ უბედურს ერთსა და იმავე დროს. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მსურს, მცირე ფრაგმენტი შემოგთავაზოთ მისი ჩანაწერებიდან:

„დიდ სიკეთესთან ერთად დიდი საშინელებაა ძლიერი წარმოსახვის უნარი. მე, ჩემდა სამწუხაროდ, შემიძლია აბსოლუტურად ზუსტად წარმოვიდგინო მატარებლების ერთმანეთს შესკვირობაც კი — მოძრაობები, ხმები, ფერები, სახეები, სუნი. უთუოდ იკითხავთ, მაშ, რატომ არ ავსახავ ასევე. გიპასუხებთ: არ შეიძლება, არ შეიძლება არც დადებითი, არც უარყოფითი ემოციების აღმძვრელი მოვლენების გარკვეული ზღვარის იქით ჩვენება. რატომ? ეს მხოლოდ ჩვენმა სხეულმა იცის“.

იმ მწერლის, იმ პიროვნების შესახებ, რომელიც ასე გრძნობს სამყაროს, რომელსაც ასეთი მოწინება და რიდი შერჩენია სამყაროსადმი, რომელმაც უამრავი რამ იცის როგორც პირადი გამოცდილებით, ისე ინტელექტუალურად,

ზუსტად იგივე სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ, რასაც თავის ჩანაწერებში გურამ რჩეულიშვილის მისამართით წერდა:

„გურამისათვის არ არსებობდა მცირე ეტალონები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ძალიან მოკლე ხნის ნაცნობობის პერიოდში არასოდეს უკამათია — ეს ამას სჯობს და ეს იმასო (სადღეისო, საურნალ-საგაზეთო ფარგლებში), მისთვის არსებობდნენ: ვაჟა-ფშაველა, დოსტოევსკი, ტოლსტოი. მათი შემოქმედების ფონზე აფასებდა ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს...“

ამავე ჩანაწერში რევაზ ინანიშვილი, თავისი თაობის მრავალი სხვა წარმომადგენლისაგან განსხვავებით, მთელი გულწრფელობით იხიბლება გურამის სიმამაცით და არც იმის თქმის ერიდება, თუ საკუთრივ მისი და მასზე უფროსი თაობის წარმომადგენლებში რატომ იწვევდა გურამი ერთგვარ დისკომფორტს.

„გუშინ, 20 იანვარს, — წერს რევაზ ინანიშვილი, — გაიმართა გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი საღამო. ასი თუ ასოცი კაცის ტევადობის დარბაზში ადგილების თითქმის მესამედი ცარიელი იყო. პრეზიდიუმში ვისხედით: კობა იმედაშვილი, ნუგზარ წერეთელი, ერლომ ახვლედიანი და მე. კობა იმედაშვილის შესავალი სიტყვის მერე წავიკითხე ქვემოთ მოტანილი ტექსტი:

„გურამ რჩეულიშვილი მამაცი იყო, იმდენად გამოჩინებულად მამაცი, რომ 37 წლის, ექოსთვის მუდმივი შიშით დაყურადებული, ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის ბევრ მწერალს უსიამოვნოდ აღიზიანებდა.

ერთხელ ერთ სტამბაში ასეთი რამ ითქვა: თუ ვინმე ჩვენს შორის გენიოსობის ნიშნითაა დაბადებული, გურამ რჩეულიშვილიაო. ერთი ყაყანი ატყდა. იმ დღიდან რამდენიმე საბრალო, რომელთათვისაც არ არსებობს (თავიანთი თავიდან გამომდინარე) ქვეყნად არავითარი გამორჩეული ნიჭი, ყოველი შეხვედრისას მომტევებელი ღიმილით მიტყაპუნებ-

და მხარზე ხელს და ქირქილით მეუბნებოდა, — მაშ, გურამ რჩეულიშვილი გენიოსი გყავთო?! როცა დაიღუპა, პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველთაგანნი მაინც ისინი აღმოჩნდნენ მისი კაცობისა და ნიჭის დიდი თაყვანისმცემლები.

რას ვგულისხმობ, როცა გურამის სიმამაცეზე ვლაპარაკობ? პირდაპირი, მამრული სიმამაცის გვერდით, აზროვნების სიმამაცეს. ოცდაოთხი წლის ახალგაზრდამ დაწერა წიგნი „ჩემი ლიტერატურული შეხედულებანი“ (სრული სახით არ გამოქვეყნებულა), იმავე ხანებში აქვს დაწყებული დიდი რომანი „შაშას რევოლუცია“. დაწერა დღიური თუ ტრაქტატი დედამიწაზე მოქმედ უდიდეს იდეოლოგიურ ძალებზე, პიესა — „იულონი“ — ასევე გლობალური — იდეით, მასშტაბებით.

გურამს, ისე, როგორც თითქმის არავის ჩვენს შორის, შეეძლო გულთან ახლოს მიეტანა სოციალურ-პოლიტიკური ვითარებანი მთელი დედამიწის მომცველობით. იგი აღფრთოვანებული იყო ჩვენი ქვეყნის ჭაბუკური ენერგიით...

მარტო ეს ჩანაწერიც, ეს გამოსვლაც ნათელჲყოფს იმას, თუ როგორი უშურველი გახარება შეეძლო რევაზ ინანიშვილს. როგორი დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი იყო. როგორი ბუნებრივი — მთასავით, მზესავით, წყაროსავით.

რევაზ ინანიშვილი ბუნების ნატეხივით იყო, თვითნაბადი, თავისთავადი და ეს იმის მიუხედავად, რომ მის შემოქმედებაში თვით ურბანიზმის ამსახველი პანია პასაუებიც კი დიდი სითბოთი და ოსტატობითაა აღნერილი, ხოლო ვრცელი მოთხრობა: „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, საერთოდ, ქალაქელი კაცის დაწერილია; იგი უაღრესად მტკივნეულად და ღრმა სევდით განიცდიდა ე.ნ. ქალაქურ გარემოს, ამ გარემოთი წლების განმავლობაში მოგვრილ წევებს. ამის უშუალო და არაჩვეულებრივი დასტურია ის სიტყვები, რომელთაც ქვემოთ მოვიტან:

„პირველყოფილი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე „თავისიანებში“ ცხოვრობდა, თავისიანები იყვნენ: საღამო

ხანზე აკიფლებული ტურა, ცაში ირაოდ დატრიალებული ძერა, თავისთვის მგოლებელი ჭოტი, ბალახებში ჩანაბული ხვლიკი. მუხა, რცხილა, წყალი, კლდე, მთვარე, ვარსკვლავები. ჩვენ, დიდ ქალაქებში მცხოვრებთ ერთ საათში ათას უცხოსთან გვიხდება შეხვედრა. უცხონი არიან ადამიანები: მეტროში, ტროლეიბუსში, მაღაზიებში, სამსახურის კიბეებზე: უცხონი არიან ავტომანქანები, თვითმფრინავები, პრესის ფურცლებით შემოსული ამბები, — ყველა ესენი ხომ ერთ კაპილარს მაინც გაატოკებენ ისე როგორც ეს ერთ უცხოსთან შეხვედრის დროს ხდება ხოლმე საერთოდ. წუთები, საათები, დღეები, თვეები, წლები და... ხელთ გრჩება საბოლოოდ მოშლილი ნერვული სისტემა“.

რევაზ ინანიშვილი წინასწარმეტყველივით გრძნობდა რა-ლაც ავის მომასწავებელ ნიშნებს საკუთარ სამშობლოში (ისე როგორც საერთოდ სამყაროში). იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი თავისი არსებით პაციფისტია. ამიტომ იყო მისი დიაგნოზები ამ მხრივაც უტყუარი და ზედმიწევნით ზუსტი. ამიტომ შფოთავდა იგი, როცა აღნიშნავდა:

„მსოფლიო ხელთ იგდეს ფრენჩიანებმა და ტყავისქურთუკიანებმა. დაწყებული სამხრეთ პოლუსიდან, დამთავრებული ჩრდილო პოლუსით, ბრაგაბრუგით და მუქარით დადიან ეს ხაკისტანსაცმლიანები და ბათინკებიანები, ჩექებიანები და სამხრეებიანები, თითოეული ყელამდე აღსავსე შურისძიების სურვილით, და შურს იძიებენ თავიანთი ნამცეცა ჭკუის ნაყოფზე. ამას ეწირება მილიონობით ადამიანი, ზღვად მიდის დედათა ცრემლი. წაჰვლიჯეთ იარაღები, ადამიანებო, ამ შურისმაძიებლებს და მიეცით თოხი და ბარი, ყველაზე კეთილშობილი იარაღები, რაც კი ადამიანებს შეუქმნიათ ოდითგან დღემდე. ჩემს განთავისუფლებას... თოფით თუ ცდილობ, დამიდექი გვერდზე და ჩემთან ერთად აბრუნე მძიმე ბელტები, მეც გამახარებ, კაცს, და ღმერთსაც. ვინ სპობს სიძველეებს გულმოდგინედ? უმთავრესად ის, ვისაც თავისი წარ-

სულის გახსენება არ სურს. ვინ დაანგრია ჩვენი ძველი ტაძრები, სიმაგრეები, ხიდებიც კი? სწორედ იმათ, ვისაც წარსული ჭუჭყიანი ჰქონდათ... ძალლივით მიღრინავს გული“.

აი, ასეთი იყო მისი დამოკიდებულება სამყაროსთან, სიცოცხლესთან, ღმერთთან. აი, ამიტომ იყო დიდი მწერალი ეს უცნაურად ჩუმი, მორიდებული და, ერთი შეხედვით, მყუდრო კაცი, რომლის გულში მთელი სამყარო ეტეოდა. თანაც ისე, რომ ერთი წამით არ წუნუნებდა ამის გამო. სამყარო ხომ სავსეა არა მხოლოდ სიკეთით, სამყაროში ხომ ამდენი უბედურება და სიავე დაატრიალა ადამიანის ხელმა. იგი კი, ეს უცნაური და დიდი მწერალი, მადლიერი იყო ყოველი დღის, ყოველი წამის და ამ უკეთილშობილეს ადამიანს არასოდეს დაუშვია ის აზრი ფიქრად, რომ ამ ცოდო-ბრალში თავისი წილიც არ ერია. არადა, დაბეჯითებით შემიძლია ჩემი რწმენა გამოვთქვა, თუ ვცდები, მხოლოდ უფლის წინაშე ვიხდი ბოდიშს, ქართულ მწერლობაში მე იგი როგორც შემოქმედი და როგორც ადამიანი, წმინდანად მეგულებოდა.

60-იანი კულტურული მემკვიდრეობის

სიკეთისა და ბოროტების ანტინომია რევაზ ინანიშვილის პროზაში

რეზო ინანიშვილი საბჭოთა პერიოდში (1951-1991) მოღვაწეობდა, თუმცა თავისი მუდმივი არაკონტექსტურობის გამო, ოფიციონის მიერ დეკლარირებული ნორმების მიხედვით, საბჭოთა მწერალი იგი, ბუნებრივია, არასოდეს ყოფილა. ერთი შეხედვით, არც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გააქტიურებული, ე.წ. „არაფორმალებისა და ფორმალების“ ბრძოლაში ჩართული დისიდენტურად განწყობილი მწერალი ეთქმოდა. ახლა, ამ გადასახედიდან, კარგად ჩანს, რომ მისი უმთავრესი მხატვრული ამოცანა „დაბურულ ტყეებსა და ჩაბინდულ ხევებში ჩამდგარი პირველყოფილი სიჩუმიდან გამომზირალი ყოფიერების საიდუმლოსთან“ მიახლოება იყო, რაც ცხოვრებისა და ფიქრის განსხვავებულ რიტმს მოითხოვდა და ისიც დიდი ძალისხმევით ცდილობდა ამ რიტმის შენარჩუნებას.

საბჭოთა კრიტიკა, რომელიც 60-70-იან წლებში საგრძნობლად სახეცვლილი იყო და სულ უფრო ხშირად „ავსტრიელი მსროლელის“ პრინციპითაც მოქმედებდა, თავდაცვისა (თუ უფრო მეტად, თავდასხმის) ძველი ინსტინქტით, საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეული რეაქცია მოეხდინა სოცრეალიზმის მაგისტრალური გზიდან სხვადასხვა ხასიათის გადახვევებზე, ვთქვათ, ინანიშვილისეულ „წვრილთემიანობაზე, უკონფლიქტობასა და არაფრისმოქმედ ჰუმანიზმზე“, თუმცა თავისთვის საშიშ მწერალს მასში ნამდვილად ვერ ხედავდა. ამ გარემოების მიზეზი იგივეა, რაც დღესაც ხელს გვიშლის ვიყოთ ნამდვილი წიგნების მკითხველი-ინტერპრეტატორები და რაც თავად მწერალსაც კარგად ჰქონდა შემჩნეული:

„...ჩვენ ნაკლებად გვჯერა სილამაზის ძალისა. ეს იმიტომ,

რომ ვერ ვასწრებთ, ჩავწვდეთ ნამდვილ სილამაზეს, ძალიან დაკავებულები ვართ რაღაც უფრო მნიშვნელოვანით...“ (ინანიშვილი 2001: 14). არა მარტო მხატვრული, არამედ ზნე-ობრივი კრიტერიუმების რღვევა რეზო ინანიშვილს აიძულებდა მეტი სიფრთხილით მოკიდებოდა თამაშის იმ წესებს, რომელიც ირგვლივ მეფობდა და წარმატების აუცილებელ პირობადაც ითვლებოდა. აი, მისი ერთი ჩანაწერი სათაურით „ქვიანი“, რომელშიც ბევრისთვის სასურველი ტრანსფორმაციების „მექანიზმია“ გახსნილი: „მე რომ ჩემს სათქმელს ხმამაღლა გამოვთქვამ მეგობრებსა და ნაცნობებს შორის, ის სულ დუმს და ღრმად მიმალული ირონია გამოუკრთის თვალებში. დუმილი ოქროაო რჩეული — და მართლაც, ოქროთი უხდიან მეგობრები და ნაცნობები ამ უნარისთვის — უჭკვიანესად თვლიან. ეს ერთი წყარო შემოსავლისა. მეორე — ყველაფერს, რაც კი თავში გაუჭაჭანდება, წერს, ასიათასობით მკითხველს აწვდის სქელ-სქელი ტომების სახით. და ისინიც ოქროთი უხდიან — რა ბინა, რა ძვირფასეულობა, რა ჩაცმადახურვა, — ერეკლე მეფეს სად დაელანდებოდა საწყალს!“ (ინანიშვილი 2001: 18) პირადად მას „დრო ნამდვილად არ ჰქონდა“, ამ გზაზე ევლო, ორჭოფობას ან გულარხეინობას მისცემოდა, მაგრამ სხვები? კიდევ ერთ ციტატას დავიმოწმებდი „სამაგიდო რვეულებიდან“: „შენს ირგვლივ დიდი ფუსფუსია, დიდი მცდელობა! აშენებენ, თხრიან, აკეთებენ, ფიქრობენ, მსჯელობენ, კამათობენ — მოკლედ ემზადებიან საშიში მომავლის შესახვედრად და შენ უნდა გაუძლო ყოველივეს, არ უნდა დაირღვეს შენი სულიერი წონასწორობა...“ (ინანიშვილი 2001: 27) ფაქტობრივად, ეს ცდუნებასთან შერკინებული და მასთან გამკლავებული კაცის სიტყვებია. ჩვენს თანამედროვეებზე უკეთ კი ცოტა ვინმემ თუ იცის, რამდენად ილუზორულია ამავე ცდუნებასთან დაპირისპირებით მიღწეული გამარჯვება. თუმცა ჩვენს გუშინდელობაში ამ თვალსაზრისით საქმე კიდევ უფრო რთულად იყო, ვიდრე

ახლაა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ დაგვავიწყდა კიდეც, საიდან მოვედით: საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს არ შევეხები (გარდა ამისა, მეტ-ნაკლებად წესიერი ადამიანები ყველგან იყვნენ), მაგრამ ხომ გვახსოვს პრეზიდიუმებისაკენ დაძრულ მწერალთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, მათ მიერ მანიფესტირებული ფსევდოიდები და ფსევდოლირებულებანი, ყოვლისმომცველი პათეტიკა, პრინციპების დათმობის სანაცვლოდ მიღებული პრივილეგიები, მწერალი-საქმოსნები, ან როგორც ოტია პაჭკორია აღნიშნავდა, მწერალი-კენტავრები — „მომხიბვლელი ღიმილითა და მომაკვდინებელი ფლოქვებით“ და ყოველივე ამის მასტიმულირებელი ძალა — ვლ. კორმერის მიერ თავის დროზე ზუსტად დეფინიცირებული, ჩვენთვის კი ლამის დღემდე დაუძლეველ მანკიერებად ქცეული „ორმაგი ცნობიერება“ (კორმერი 1997: 44) — მთელი თავისი ტრაგიზმით. „...შემაძრნუნებელია ჩემი წრის ადამიანის ცხოვრება. რამდენი საათიცაა დღეში, იმდენ საათს ლაპარაკობენ, უარი თქვან თუ არა პატიოსნებაზე. თუ უარს იტყვიან, მაშინ გამდიდრდებიან კიდეც, როგორც მრავალნი სხვანი. საპრალო ჩემო მეგობრებო..“ — ესეც რეზო ინანიშვილია, ტრადიციული შეფასებებით უწყინარი, თავის პასტორალურ იდილიას შეკედლებული, სოფლის სურათებში საყვარლად ჩაყუჟული „უპრობლემო“ მწერალი, ზოგისთვის კი „მოცლილი კაციც“, დაახლოებით ისეთი, როგორიც ის ორმოცდათი წლის მამაკაცია, ამდენ „საქმიან“ ხალხში, მატარებლის ვაგონში მოსიყვარულე წყვილის დანახვისას, სრულიად „უადგილო“, „მჩატე“ ფიქრები რომ შეიპყრობს..

თანამედროვე ლიტერატორის უპირატესობა მხოლოდ იმაშია, რომ მას ნამდვილისა და ყალბის ფაქტობრივი შედარების საშუალება მიეცა. ბევრ სხვა დოკუმენტურ მასალას-თან ერთად იგი ისეთსაც ეცნობა, რომელთა შესახებ ადრე ახლობელთა ვიწრო წრემ თუ იცოდა. მაგალითად, სტუდენტურ 70-80-იან წლებში მეც ცოტა რამ ვიცოდი იმის შესახებ,

რომ რეზო ინანიშვილი რეპრესირებული მამის, ანუ „ხალხის მფრის“ შვილი იყო, რომ უმძაფრესი „პატარა ბიჭი გოლგო-თაზე“ არა მხოლოდ მაღალი ოსტატობით შესრულებული მცირე ფორმის ვირტუოზულად ფლობის ნიმუშია, არამედ ავტობიოგრაფიული მოთხოვნა-გაფრთხილება, რომელიც ქაღალდზე აუცილებლად უნდა გადმოსულიყო; არც ის, რომ ერთხელ ქუჩაში დავით გაჩერილაძემ საგანგებოდ გააჩერა იმხანად უკვე ცნობილი ნიჭიერი პროზაიკოსი, რათა მას სცოდნოდა შემაძრნუნებელი ისტორია მათ შესახვედრად მომავალი პატარა, შეშინებული კაცისა, რომელსაც 30-იან წლებში, დაკითხვის დროს თვალწინ თორმეტი წლის ბიჭი მოუკლეს და სხვ.

აღნიშნული ფაქტების კონსტანტირება იმისთვის დამჭირდა, რომ უკეთ გამოკვეთილიყო კონტექსტი, რომელშიც რეზო ინანიშვილის პროზაში გამოვლენილი სიკეთისა და ბოროტების ანტონიმიურობის შინა-არსია მოქცეული. ცხადია, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება აქ ჩვეული ოპოზიციონერობით არ არის წარმოდგენილი. იგი არც თვითმიზნურია და არც „უკონფლიქტობის“ სოცრეალისტურ თეორიასან აქვს რაიმე კავშირი. როგორც თანამედროვე კრიტიკული რეფლექსის წარმომადგენლები უწოდებენ, „ვეფხისტყაოსნის ცივილიზაციის“ დროს შექმნილი ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობაც ამ საკითხს უტრიალებს და „ვეფხისტყაოსნისებურად“ ხსნის კიდეც მას. გავიხსენოთ თუნდაც სულხან- საბას შეგონება: „ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა — დაულევნელი საუკუნომდის..“ ისიც ვიცით, რომ ამ კანონზომიერების ფესვები ლიტერატურულზე უფრო ღრმაა და არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური, არამედ მეტწილად რელიგიური ფესვები აქვს. რეზო ინანიშვილის მიერ აღნიშნული პრობლემატიკის მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრება კლასიკოსთა ამ სულიერ გამოცდილებას ითვალისწინებს,

თუმცა იგი საკუთრივ მის — „ყოფიერების საიდუმლოს ამოხ-სნის“ — იდეასთანაა გაერთიანებული და ამის გამო მარტივი ან სწორხაზოვანი დეფინიციის პრინციპს არ ექვემდებარება. საფუძველთა საფუძვლად მაინც სამყაროს რთული სტრუქ-ტურის ვაჟასეული ერთიანობის განცდა ჩანს, რომელიც ბო-როტისა და კეთილის, როგორც ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა ამბივალენტურობის, მათი ურთიერთდამოკიდებუ-ლების კანონზომიერებას ეფუძნება. შეიძლება ითქვას, რომ ბოროტება ინანიშვილის პროზაში უფრო სიკეთის ნაკლებო-ბაა, ვიდრე თვითქმარი სუბსტანცია, ამიტომ მისი სრულყო-ფა მხოლოდ იმავე სიკეთის მომატებით თუ შეიძლება. გარდა ამისა, საბჭოთა სინამდვილემ ამ ცნენების სრული დეინტეგ-რირება მოახდინა და სიკეთისა და ბოროტების კატეგორიებს და მას პირობითი ხასიათი შესძინა. სწორედ ამიტომ მწერ-ლის მიერ ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ, ზოგჯერ გადამეტე-ბული სიფრთხილითაც და ფარული სიჯიუტითაც კი ნაძებ-ნია და ნაკვლევი ამ ვითარებაში რაღაც უხილავი ძალით და-თრგუნულ-დეფორმირებული ქართველთა ვიტალური ენერ-გია, ცხოვრებასთან მიმართების მათი შელახული თუ შე-ულახავი პრინციპები. ყოველ შემთხვევაში, სახეზეა ამგვარი მიზნის მიღწევის დიდი მცდელობა და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც, ვიმეორებთ, თითქმის ყველაფერი ნამდვილი სუ-როგატულით იყო ჩანაცვლებული. არა რეალობის ილუზო-რული აღქმა, არა მეზღაპრეობა (ერთმა ნაცნობმა შემომ-ჩივლაო, რა ორლობე აგიტყდა ამ გაგანია კოსმოსის ხანაში) ან უპასუხისმგებლობა იმის მიმართ, რაც ხდებოდა, არამედ „ადამიანში დადებითი ბალანსის“ (ინანიშვილი 2001:15) ძი-ების კონცეპტუალური პოზიცია, რომელიც, ერთი მხრივ, „რეპრესიული ცნობიერების“ გამთლიანებას, ხოლო, მეორე მხრივ, ტოტალიტარიზმით ტრავმირებული ენის უფლებებში აღდგენისკენაა მიმართული (გადაიკითხეთ „ვენახი“ ან „კე-თილი მიწა“ და ხელშესახებად შეიგრძნობთ რამდენად რთუ-

ლი და ფილიგრანული იყო ეს სამუშაო): „...არ შეიძლება არც დადებითი, არც უარყოფითი ემოციების აღმძვრელი მოვლენების გარკვეული ზღვრის იქით ჩვენება. რატომ? ეს მხოლოდ ჩვენმა სხეულმა იცის“ — დამაფიქრებელი და წინასწარმეტყველური სიტყვებია, რადგან ჩვენ დღეს თითქმის სწორედ ამ ზღვრის უგულებელმყოფელი და კურატორის ენაზე მოსაუბრე ხელოვანის თუ ხელოვნების ამარა დავრჩით, რასაც ყველა ნიშნის მიხედვით, ბედნიერება არავის-თვის არ მოუტანია.

აკაკი ბაქრაძე თავის სტატიაში „სულის პური“ (ბაქრაძე 1977: 72), რომელიც რეზო ინანიშვილს ეძღვნება, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბოროტი კაცები მის პროზაში უსახელონი არიან, რასაც არა შემთხვევით მოვლენად, არამედ მწერლის კონცეპტუალურ პოზიციად მიიჩნევს. ბოროტი კაცი რეზო ინანიშვილის პიროვნება არ არის, ხოლო ბოროტებას დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიაო (სტოიციზმის იდეოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ბოროტება, სიკვდილისაგან განსხვავებით, დიადიც არ შეიძლება იყოს). მართლაც, მოთხოვებში „კაცი“, „ყვავები“, „ნისქვილში რომ წავედი“, „ყორანთ კეტამზე“, „შავი ალაყაფი“, „დაგვიანებული რექვიემი“, „ლამაზი ქალი“ და სხვ. – ბოროტების ჩამდენი პერსონაჟები უპიროვნონი არიან. არც მათი ავკაცობა თუ ავქალობაა სიღრმისეულად წაკვლევი. მეტიც, სიკეთესთან შეხვედრა მათ გაუვნებელყოფას თუ არა, გაარაფრობას მაინც იწვევს. მოკლედ, ამ ბოროტებას ის დემონიზმი აკლია, რომლის მრავალსახეობისა და უძლეველობის მოდელირებამ ასე გაიტაცა თანამედროვე კულტურა და კულტურის მოღვაწენი. ვანოს, ამავე სახელწოდების მოთხოვნის გმირს, შხამს აწვეთებენ, ამუნათებენ: ღარიბი იმიტომ ხარ, ლაჩარი ხარო; უფრო სწორად ცხოვრებისეულ თამაშებში სწორად ორიენტირებული არა ხარ, იმის არ გეშინია, ვისიც უნდა გეშინოდეს — ადამიანისაო. ერთი კი შეაკრთობენ, თუმცა საბოლო

ოდ მაინც ვერაფერში ვერ არწმუნებენ, სიკეთის ნათელს ვერ უბნელებენ (ბაქრაძე 1977: 75).

თვითონ ავტორი უთუოდ გრძნობდა თავისი მსოფლმხედველობრივი პოზიციის „უხერხულობას“ გაგანია კოსმოსის ათვისების თუ სოციალიზმ-კომუნიზმის გმირული მშენებლობის ხანაში, მაგრამ მის დათმობას არ აპირებდა. უთუოდ ამიტომ უწოდა მან ყველაფრისადმი პატიების, მიმტევებლობის გრძნობას, იმავდროულად შემოქმედებით იმპულსად რომ ექცა („..წერისაკენ მიბიძგებს გარკვეული პატიების გრძნობა ყველაფრისადმი“), „ჩემი საწყალი სიყვარული“. „საწყალი“, ანუ ის, რაც უადგილოა თუ უფხოა და იქნებ განწირულიც, მაგრამ, იმავდროულად, არსებითი და ამიტომ ძნელად დასათმობი. ამ სახელწოდების მოთხოვნებით იწყება: სოფელში მწერალთან სტუმრად ჩამოსული მეგობარი დაუფარავად ეუბნება: „სიყვარული ადამიანების მოგონილია ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როგორც ვთქვათ, თმის ვარცხნილობა ანდა კოსტიუმის მოდა, და რაც უფრო მაღლე განთავისუფლდებიან მისგან და დარჩებიან ისეთნი, როგორებიც ბუნებამ შექმნა — მხოლოდ არსებობისათვის მცდელნი, ყველგან და ყველაფერში გათვლაზე დამყარებულნი — მით უკეთესი იქნება მათთვისო“. იქნებ ძალზე შორეული ანალოგიაა, მაგრამ ამ სიტყვებმა მგზნებარე მარქსისტის ნოე ჟორდანიას ერთი „მომაკვდინებელი“ არგუმენტი გამახსენა, რითაც ის თავის სახელოვან ოპონენტებს თავს ესხმოდა: ქართველი ხალხისთვის პატრიოტიზმი არც თანდაყოლილი და არც ორგანული გრძნობა არ არის და არც არასოდეს ყოფილა. ეს ყველაფერი მის დასაბნევად თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ მოიგონაო და მისთ.

ის, რომ რეზო ინანიშვილის მიერ სრულიად განსაკუთრებული სასიცოცხლო სივრცე ითხვება, რომელსაც ქართული ტიტერატურისმცოდნებაში ჩვენი სოფლის სურათებსა და ამ სურათებით აღძრულ რომანტიკას უკავშირებენ, თითქოს

ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად წარმოგვიდგება. ისიც ითქვა, რომ ეს „ალტერნატიული სივრცეა“ (ი. მილორავა), „... სოფ-ლური ყოფის გულუბრყვილო იდეალიზაციის, ან თანადრო-ულობისაგან გაქცევის, ან „წარსულისათვის უბრალოდ თა-ვის შეფარების“ ცდა. თუმცა მხოლოდ წითელი იმპერიის დაშ-ლისა და, რაც მთავარია, „ქართველში გარდატეხილი საბ-ჭოურობის“ ანალიზის შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ მიგ-ნებათა შემდგომი გაშლა და არგუმენტირება. ამ მხრივ გან-საკუთრებულად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა კრიტიკოს ნუგზარ მუზაშვილის წერილი „რის მოლოდინში იღევა სა-ქართველოში კაცის სიცოცხლე?“ (მუზაშვილი 2010: 146). კრიტიკოსის აზრით, გარკვეული სულიერი კონსტიტუციის მქონე ადამიანები ჩვენი გუშინდელი სოფლის მკვიდრთა, „თავშალგახუნებულ და ნაბდისქუდიანთა“ ცხოვრების წესის ნოსტალგიამ შეიძყრო, რადგან მათ, როგორც ჩანს, მართლა არ შეეძლოთ საბჭოთა ადამიანის მიერ დამკვიდრებული ტოტალური ფარისევლობისათვის გულწრფელობა არ ემჯო-ბინებინათ, სიყალბისათვის სიმართლე არ დაეპირისპირები-ნათ, ქურდობისათვის — შრომა, თაღლითობისათვის — პა-ტიოსნება, სიძულვილისათვის — სიყვარული.. უნდა ითქვას, რომ ნუგზარ მუზაშვილის წერილისადმი ინტერსს სწორედ აქამდეც სრულიად ცხადი, თუმცა ზერელედ, ხშირად კი ინ-ფანტილურად (ვიტყოდი, ენის მოჩლექითაც) შეფასებული მოვლენების საკმაოდ მოულოდნელი, თამამი და ზუსტი არ-გუმენტები იწვევს: ვინაიდან ბატონყმობის გაუქმება რუსე-თისა და მასთან მიბმული ქვეყნებისათვის „შინაგანი ლოგი-კით ნაკარნახევი ცხოვრების წესზე“ ნაძალადევი უარის თქმა იყო (რეფორმების სიმწვავემ საბოლოოდ აკი რევოლუ-ციაც გამოიწვია), კომუნიზმი თავისი ჩაკეტილი კულტურით, „რკინის ფარდითა“ და დასავლური ცივილიზაციის უმთავ-რეს პრინციპებზე უარის თქმით, „ფეოდალიზმის კონსერვა-ციის საუკეთესო საშუალებად“ (მუზაშვილი 2010: 151) იქცა.

ინდივიდუალიზმის, აქტიური თვითორგანიზაციის და ფუნქციური ადამიანის ნაცვლად(რასაც ქადაგებდა მე-19-20 საუკუნეთა მიჯნის ქართული მოწინავე საზოგადოებრიობა) გაბატონდა მასობრივ შურისძიებაზე დაფუძნებული კოლექტიური ცნობიერება. დააკვირდით, გვეუბნება წერილის ავტორი, ოთარ ჩხეიძეც, გიორგი ლეონიძეც, რევაზ ინანიშვილიცა და ნუგზარ შატაიძეც ქართული სოფლის ნოსტალგიურ სურათებს იმიტომ ქმნიან, რომ სწორედ ამ სოფლების მაცოცხლებელ-მაცხოვნებელმა „მზეზე თავშალგახუნებულ-მა და ნაბდისქუდიანმა“ ადამიანებმა შეძლეს მამაპაპათაგან, ე. ი. საუკუნეთა სიღრმიდან, უფრო კონკრეტულად კი ფეოდალიზმიდან გამოყოლილი, რეალობასთან შედარებით უფრო მართალი, უფრო ბუნებრივი ცხოვრების წესის შენარჩუნება, ერთი საოცარი უპირატესობით — საბჭოთა რეჟიმმა, თავისი მოჩვენებითი უძლეველობით, ვერ შეძლო მათი თავის თარგზე გადაკეთება, მათგან ისეთი ჰიბრიდის გამოყვანა, როგორიც „საბჭოთა ადამიანი“ იყო. გამოდის, რომ სიტყვის აქ დასახელებულ დიდოსტატებთან ერთად, რ. ინანიშვილი, რომელიც მიმტევებლური ბუნების, ანუ, როგორც ნუგზარ მუზაშვილი ამბობს, გარკვეული სულიერი კონსტიტუციის ადამიანი იყო, საეჭვოკომუნისტურ წარმონაქმნის გაერიდა, სიკეთის ნამდვილი შემნახველ-დამფასებლები იპოვა და უკეთესის არქონის გამო, გ. დოჩანაშვილის ცნობილი შედარება რომ გამოვიყენოთ, ამ „სარომანე“, ამ შემთხვევაში კი უფრო „სამოთხრობო“ ხალხის სახით, ძველ სიწმინდეებს შეეკედლა. მით უფრო, რომ იქ, არაერთ სხვა მნიშვნელობებთან ერთად, სწორად იყო გააზრებული სიკეთისა და ბოროტების დიდი თანაარსებობის სიბრძნე, სიკეთის უძლეველობა და ბოროტების ხანმოკლეობა. ამიტომაც ასეთ აქცენტს სვამს წერილის ავტორი: ეს იყო არჩევნის, ფაქტობრივად, უქონლობის პირობებში გაკეთებული ერთადერთი სწორი არჩევანი.

ნუგზარ მუზიკილის წერილი, თავისი უჩვეულო რეტრო-სპექტივით, არც თუ ისე შორეული გადაძახილით ნიკოლო მინიშვილის „ფიქრებთან“, ინტერპრეტაციათა ახალ ველს წარმოშობს, ათავისუფლებს აზრს, როგორც ტიციანი იტყოდა, „ბატონი შაბლონის“ ზემოქმედებისგან და ქმნის ახალ კონტექსტს, რომელშიც ახლა სხვასაც ან სხვებსაც შეუძლიათ მოძრაობა. ეს გადაადგილება არც ისე მარტივია და როგორც ახლა იტყვიან, კომფორტულიც, რადგან გვაიძულებს კიდევ უფრო ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს რაობაში, შევიგრძნოთ ჩვენი შემდგომი თვითგამორკვევის აუცილებლობა. საგულისხმოა, რომ თვით ავტორის ინტონაციაც ყოველი მორიგი არგუმენტის წარდგენის შემდეგ სულ უფრო სევდიანი და უიმედო ხდება. ეს უთუოდ იმიტომ, რომ არსებითი გარღვევის ნაცვლად ჩვენში საკმაოდ შენელდა ცნობიერების დეკომუნიზაციის პროცესი, რამაც „თავისუფლებისაგან გაქცევის“ (ფრომი 1990: 8) ანომალური მისწრაფება გააძლიერა.

რეზო ინანიშვილის „სამაგიდო რვეულებში“ კარგად ჩანს, რომ ის ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ბევრს ფიქრობდა, ადამიანებისთვის ერთგვარ გამოსავალს ეძებდა, მომავლის განჭვრეტას ცდილობდა და საკუთარი ავტონომიურობის ზემოთ ნახსენებ თავშესაფარს სიკეთის სრულ გამარჯვებასა და მის საყოველთაობაზე ლიტონი საუბრით კი არ ამაგრებდა, არამედ სულ უბრალო რამეს – მომხდარ-მოსახდენის გონივრულ გააზრებას, სულგრძელობასა და მიმტევებლობას შეგვასენებდა. 80-იანი წლების დასასრულს დაწერილი მისი მოთხოვნები, მაგ. „ლარა“, „ნისქვილში რომ წავედი“, „გიგლია“ და სხვ. თვისობრივად ახალი ეტაპის დასაწყისია მწერლის ცხოვრებაში. თვითონაც აღნიშნავდა: „სხვები რთულდებიან — მე ვმარტივდებიო“. პარალელურად უნდა გაგრძელებულიყო საზოგადოებრივი თვითგანსჯის, თვითგანწმენდის, თუ გნებავთ, როგორც მაშინ უნოდებდნენ, გადაფასების პროცესებიც. მაგრამ მოვლენები ისე

სწრაფად დატრიალდა, როგორც წყლით სავსე ვედროს მოულოდნელი სიმძიმის გამო ხელიდან გამსხლტარი და უთავბოლოდ დატრიალებული ჭის ოწინარი. თავად მწერალი კი, რომელსაც სამოქალაქო ომში ჩაბმისაკენ ამაოდ უხმობდა მაშინდელი უპირველესი შემოქმედებითი კავშირის თავკაცი, იმ ავადმოსაგონარ დღეებში გაეცალა წუთისოფელს.

მართალია, ამასაც ამბობდა: „..მე გამოვიყურები მოძველებულად თანამედროვეთა ფონზე, მე, ალბათ, ღიმილსაც ვგვრი ზოგ-ზოგებს ჩემი შემწყნარებლური პოზიციით მოყვასისადმი, ჩემი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი იდეალებითო“ და ამ პოზიციის ერთ საინტერესო ახსნაზე უკვე მოგახსენეთ, მაგრამ ის უბრალო ფაქტი, რომ „ბლუკები“ დღესაც გვრის აღტაცებას ათასგვარი სატკივარით გულშეჭირვებულ მკითხველს, „ნამდვილ ქართველ ქალსა“ და „ხელისგულებით ნალეს ქოხში“ კი „ამბის იდუმალი მელოდია“ (ო. პაჭკორია) ისმის — თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. როგორ იყო ნათქვამი? მოთმინება ჩვენ არ გვყოფნის, თორემ კარგ წიგნებს იგი ნამდვილად გააჩნიათო. რეზოინანიშვილს თვალში არ მოსდიოდა მწერალი და მწერლობა, „საკუთარ თავს რომ აყვედრიდნენ წუთისოფელს“. თვითონ კი ცხადად პქონდა გარკვეული, სიკეთისა და ბოროტების განჩხრეკამ რა დასკვნამდეც მიიყვანა: „..სად არის ღმერთი? ჩემში. ესაა — მე როცა ვიტანჯები სხვათა სიკეთისათვის. ცუდად გამიგებენ? კიდევ უფრო ამამაღლებენ...“

დამოწმებანი:

ინანიშვილი 2001: ინანიშვილი რ. სამაგიდო რვეულებიდან. თბ.: 2001.

ბაქრაძე 1977: ბაქრაძე ა. სულის პური. კრიტიკული გულანი. თბ.: 1977.

კორმერი 1997: Кормер В. Двойное сознание интелигенции и псевдокультура. М.:1997.

მუზაშვილი 2010: მუზაშვილი ნ. ისტორიიდან გაქცევა. თბ.: 2010.

ფრომი 1990: Фром Э. Бегство от свободы. М.: 1990.

რევაზ ინანიშვილის პროზის მხატვრული დრო და სივრცე

XX ს-ის ქართულ სალიტერატურო სივრცეში რევაზ ინანიშვილს შინაგანად მთლიანი, სავსე, ნათელი მხატვრული სამყარო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და ზეგავლენას ახდენს მის შემდგომ გსანვითარბაზე. დროთა განმავლობაში მას ერთგვარი განშტოებებიც გაუჩნდა და ერთ მთლიან ნაკადად, ცალკე გამოკვეთილ ნიშად ჩამოყალიბდა, რაც უკვე საშუალებას გვაძლევს დამოუკიდებელი სისტემის, ნამდვილი ოსტატის მიერ შექმნილი სკოლის არსებობაზეც კი ვიფიქროთ. ეს მყარი სისტემა, განსაკუთრებული ხიბლისა და ღირებულების მქონე მხატვრული დრო და სივრცე თავისი მსოფლმხედველობით, შინაგანი სისუფთავით, კამკამა, გამჭვირვალე ფერებითა და სილრმითაა მიმზიდველი. მასში ყველაზე დრამატული, ტრაგიკული მოვლენებიც კი ადამიანური თანაგრძნობის, სიკეთის და სულების შინაგანი ერთიანობის გამო უცნაურ სიმშივიდეს და სხვა, უფრო ღრმა და ამავე დროს ლირიკულ, ფარული ნუგეშის შემცველ ხასიათს იძენს და სულიად განსხვავებული სახითა და ხმით აირეკლება მკითხველის ცნობიერებაში.

მხატვრული დრო და სივრცე ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი მხატვრული სამყაროს არსებობა და შემდეგ გაანალიზება. თუმცა, ნათელია, რომ დროისა და სივრცის მნიშვნელობა სხვადასხვა მნერლის შემოქმედებასა და სხვადასხვა ტექსტში განსხვავებულია. თუ ერთგან მხატვრულ დროსა და სივრცეს შეიძლება სრულიად შეგნებულად მიენიჭოს კონცეფტუალური მნიშვნელობა, მეორეგან მისი არსებობა და ფუნქციონირება იქნებ არც იყოს იოლად შე-

სამჩნევი, რადგან არც ამოტივტივდება მისი ნიშნები ტექსტის ზედაპირზე. მიუხედავად ამისა, ის მაინც ახდენს დიდ გავლენას როგორც ტექსტის სტრუქტურაზე, ხასიათის განვითარებაზე, სტილზე, უანრულ კუთვნილებაზეც კი, ასევე შემდგომში მკითხველის მიერ ნაწარმოების, ამ ერთიანი, შეკრული სტრუქტურის აღქმაზე.

რევაზ ინანიშვილის მხატვულ სამყაროში დროსა და სივრცეს, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება და გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, გამომდინარე მწერლის სტილის, მსოფლალქმის და სამყაროსადმი სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულებისგან, შეიძლება ვუწოდოთ მას ლირიკულ-პირობითი დრო და სივრცე (ანალოგია ეპიკურ-პირობით დროსა და სივრცესთან), რადგან აშკარაა, რომ მწერლის ლირიზმი ვლინდება ტექსტის თითქმის ყველა დონეზე. მისი მხატვრული ქსოვილის ყველა შრე გარემომცველისადმი ლირიკული, ნატიფი, სათუთი და რბილი დამოკიდებულების შედეგადაა შექმნილი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩენოს, რომ მისი ტექსტები არ არის მრავალშრიანი, ეს მაინც უცაბედი, ზედაპირული შთაბეჭდილებაა, რადგან უფრო დაკვირვებით განჩხრეკისას აშკარად ჩანს, რომ ნებისმიერი ტექსტი, ყველაზე მცირე მინიატურაც კი, რამდენიმე, ერთმანეთთან უფაქიზესი ძაფებით დაკავშირებულ სიბრტყეს შეიცავს, რომელთა საფუძველში დევს სამყაროს აგებულებაზე ფილოსოფიური მსჯელობა, ოღონდ უკიდურესად შეფარული და სახეობრივ ქსოვილში შებურული, ემოციათა ნისლში განზავებული. შემდეგი შრე — სიცოცხლის არსის შეგრძნება, ასევე ლირიკული ნახევარტონებით მოწოდებული. ამას მოსდევს კონკრეტული ამბავი ან სურათი, რომელსაც მწერლის, როგორც ფერმწერის ფუნჯიქმნის და ბოლოს, ღრმა, ფსიქოლოგიურად უზადოდ დამუშავებული ხასიათების სისტემა, რომელიც ასევე გამჭვირვა-

ლე ლირიზმითაა შეფერილი. თუნდაც როგორც მინიატურა-ში „მარადიული პეიზაჟი“ დედის სახე, გამოკვთილი საოც-რად ფერდოვანი, ღრმა შინაარსისა და მარადისობაზე მინიშ-ნების შემცველი პეიზაჟის ფონზე. ან მინიატურა „ბალი“, რომელიც რამდენიმე სტრიქონით გადმოსცემს სიცოცხლის, დროთა ცვლილების, შეუქცევადი წრებრუნვის არსს:

„ბალი ლამაზია გაზაფხულზე, ხეხილი რომ ყვავის. უფრო ლამაზია შემოდგომაზე, ფოთლები რომ ცვივა.

გაზაფხულზე ბალი ხმაურობს, ხმაურობს. შემოდგომაზე მქრქალი ღიმილით დუმს“ (ინანიშვილი 1986: 133).

მინიატურაში „მეჭირნახულენი“ ვხედავთ ყველა შრეს, და-წყებული არსთა არსის საფუძვლიდან, დამთავრებული ორი-ოდე შტრიხით მყარად მოხაზული სახეებით, ხასიათებით და მკითხველზე უძლიერესი ემოციური ზემოქმედების უნარის მქონე გრძნობიერი ველით:

„დათესეს ჩემი ნაკვეთის გვერდით ბებრებმა, გიორგიმ და მარიამმა, კარტოფილი, ლობიო და სიმინდი. თესავდნენ ნე-ლა, შეწყობილად. გიორგი ორმოებს აკეთებდა თოხით, მარიამი თესლს უყრიდა. მოვიდა ყველაფერი ლამაზად, კარ-ტოფილიც, ლობიოც, სიმინდიც. გათოხნეს, გაამარმარეს. სხედან ახლა ბილიკზე ერთმანეთის გვერდით და არიან ასე, უყურებენ თავიანთ ნაშრომს ჩუმად“ (ინანიშვილი 1986: 135). ესაა მთელი სიცოცხლის აზრი და მშვენიერება მოცემული და არეკლილი ერთ პატარა მინაკვეთში, როგორც წვეთში ზღვა.

ხატვის ასეთი მანერის გამო, მიუხედავად მრავალშრიანო-ბისა, მწერლის მიერ შექმნილი მხატრული დრო და სივრცე არასოდესაა ეპიკური, არამედ ყოველთვის, ნებისმიერი სი-უჟეტური სვლის შემთხვევაში, მაინც ლირიკულად რჩება, რაც ქმნის კიდეც მის თვითმყოფადობას. თუმცა ეს განსა-კუთრებულობა მხოლოდ ლირიკულობით ვერ შეიქმნებოდა, რომ არა ერთგვარი პირობითობა, ეფემერულობა, რომელიც,

ჩემი აზრით, ახასიათებს ამ ტექსტებს. მართალია ის სამყარო, რომელიც აისახება მათში ძალიან მჭიდროდ უკავშირდება ემპირიულ დროსა და სივრცეს, მაგრამ არასოდესაა მისი ანაბეჭდი, ზუსტი ასლი, არამედ შეიცავს პირობითობის, საკუთარ წარმოსახვაში, ფანტაზიის დახმარებით ტრანსფორმირების და განზოგადების ელემენტებს: ეს დრო და სივრცე, რომელიც გაშლილია ჩვენ წინაშე, მისი შემავსებელი მოვლენები, სახეები, ქმედებები, განცდები, მიუხედავად იმისა, რომ ჰგავს რეალურის უკიდურესად დახვეწილ, მაგრამ ზუსტ მხატვულ ანაბეჭდს, მაინც უფრო მეტად არის ის, რაც მწერალს სურს რომ იყოს სამყარო და არა ის, რაც სინამდვილეში არის...

მწერალს კი სურს, რომ სამყარო იყოს სიკეთის, თანაგრძნობის, თანადგომის, მშვენიერების, სიყვარულის საუფლო, სიკეთის ეჭვშეუტანლად ასებობის დადასტურება და ბნელი, ბოროტი, მძიმე მოვლენა თუ სახე, მისი კონცეფციით, მხოლოდ ჩრდილია, რომელიც უკეთ გამოკვეთს ნათელს. იგი შუქ-ჩრდილებით ხატავს იმ პირობით მხატვრულ რეალობას, რომლის დროსაც და სივრცესაც ლირიკულ-პირობითთან ერთად უყოყმანოდ შეგვიძლია ვუნოდოთ ე.ნ. „კეთილი დრო და სივრცე“.

ნოველაში „სადგური“ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნავთლულის სადგურზე ხვდება მოხუც ბებიას. ამ სადგურის პატარა, მოზღუდულ სივრცეში მკითხველის თვალწინ იშლება ადამიანური ურთიერთობების ნათელი სურათი. თანაც აქ არ არის მარტო ანმყოს პლასტი, არც მხოლოდ წარმავალი ამწუთიერის ხატია. მას მტკიცე კავშირი აქვს მარადისობასთან. რაც ჩანს კიდეც ლევანის სიტყვებში: „— რა თავისებური სილამაზისაა აქაურობა! თითქოს მარადიული იყოს ეს სიმშივდე — ეს თანაბარ სიგანეზე წალებული ლიანდაგები, წითელი შუქები, ორთქლი, პროჟექტორები და მათი ანძები, შიშინი, მარტო მიმავალი კაცი ლიანდაგებს შორის“ (ინანიშვილი 1986:

41). სადგური სახეა გზის, სვლის, ამ შემეთხვევაში კი აღიქმება როგორც საკრალური სივრცე, რომელიც თავის წიაღში იღებს მატარებელს — ადამიანის ცხოვრებას. ამ მატარებლით კი მოდის ბებია და აწმყო — სიყვარულით სავსე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეხვდება მას — წარსულს და ადამიანურობის, სიკეთის სახელით დიდი ზეიმიც შედგება, რადგან სიყვარული, ზრუნვა, სითბო გააქრობს მოხუცი ქალის თვალებში ჩამდგარ მარტოსულობის შიშს და ტკივილს. და ეს ზეიმი დახატულია ისე, თითქოს არაფერიც არ მომხდარა, თუმცა შეგრძნება სრულია — ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ხდება ამ სადგურში. მანამდე კი ტექსტში შემოდის კიდევ ერთი, რევაზ ინანიშვილის მხატვრული სამყაროსთვის ასევე ნიშანდობლივი ხსოვნის ქრონოტოპი. ლევანი იხსენებს მატარებელთან დაკავშირებულ უმძიმეს, ტრაგიკულ ეპიზოდს თავისი ბავშვობიდან, მაგრამ ეს მუქი, ბნელი ლაქა ამ ნოველის სიკეთით და სიყვარულით გამობარ სივრცეში აღიქმება სწორედაც როგორც ჩრდილი, რომელიც უკეთ გამოკვეთს იმ სულის სინათლეს, რომელიც განმსჭვალავს ტექსტს და მნერლის სათქმელს — სიყვარული, ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები მზესავით ანათებს და ათბობს სამყაროს. აყუჩებს ყველა ტკივილს.

მნერლის ეს კრედო მყარია. მთელი მისი შემოქმედება ადასტურებს ამას. იგი უმეტესად წერს იმ მოვლენებზე, რომლებიც მის თანადროულ სამყაროში, მის ირგვლივ განთენილ დროსა და სივრცეში ვითარდება, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეთი მყარი რწმენა სიკეთის უზენაესობისა, შეიძლება შეგნებულ რწმენაზე მეტად, სიკეთის უპირატესობის თანდაყოლილი შეგრძნების სიტყვაში ხელშსახებად ხორცშესხმის მძაფრი სურვილი გაპირობებულია მნერლის ლირიკულ-პრობით დროსა და სივრცეში მითოპოეტური — ყველაფრის საფუძველთა საფუძველი — შრის არსებობითაც. ნოველაში „ლორის დაკვლა“ რეალური გადადის ირეალურში. ადამიანი, რო-

მელიც დაესწრო ღორის დაკვლის შემზარავ რიტუალს, აღნერილს მწერლის გასაოცარი ოსტატობით, მხოლოდ მის-თვის დამახასიათებელი დეტალების შემჩნევისა და გამოსახვის უნარით, უცებ ქალრმერთ დალის ხვდება. ამ შემთხვევაში არის გარკვეული მინიშნებაც, რაღაც მისტიურიც და აუხსნელიც:

„ხანდახან ვეკითხები ჩემს თავს — რაღა მე, რაღა იმ საძაგლობისას, ღორის დაკვლის დროს ამომარჩია ამდენ ხალხში? პასუხს ვერ ვაძლევ, ფიქრი მაქვს ერთი ამბის. — ერთხელ, შუალამისას, თოვლში, ჩვენი ქუჩის დასაწყისში, ტუის ბუჩქებში ვნახე ატირებული პატარა გაყინული ყრუ-მუნჯი გოგო, გავახვივ პალტოში, მოვიყვანე სახლში, დედამ მოუფერა, გაათბო, გააბანა, დააძინა თბილ, სუფთა ლოგინში. დილით კი ვეღარ ვნახეთ, ამდგარიყო და წასულიყო, მისი ვეღარა გავიგეთ რა, მილიციის დახმარებითაც კი. მაგრამ თან მაშინვე ვკითხულობ, — როდის იყო ეს ამბავი, უუ, ან რა შუაში უნდა იყოს ყოველივე ეს და ნაბანავარი, ღამე, თოვლი, ტყე. ჰო, ტყეები, თოვლი, ველები და ღამე ბავშვობიდან მიყვარდა და ახლაც მიყვარს...!“ (ინანიშვილი 1986: 55).

აშკარად ჩანს, რომ მწერალმა კარგად იცის, რომ ღორის დაკვლის სურათის ზედაპირზე განფენილი ამბის მიღმა მრავალი შრეა, იოლად თუ რთულად ალსაქმელი და რომელიც თვით მითოპოეტურ, დალის დროსა და სივრცესაც იტევს და, რაც მთავარია, ყველაფერს, რაც ამ სამყაროში ხდება, აქვს მიზეზშედეგობრივი ბუნება, ხოლო ყველაფრის გამაპირობებელი ისევდაისევ სიკეთეა. ამ ტექსტში, შესაძლოა, მთლიანად მეტაფიზიკურ, მითოპოეტურ პლანშიც კი გადადის ცენტრი და მისი მეშვეობით ხდება ნაწარმოების როგორც აზრობივი, ისე ემოციური პლანის გამოკვეთა. ეს მითოპოეტური შრეები დროდადრო იელვებენ ხოლმე ლირიკულ-პირობით დრო-სივრცეში, ხან ოჩოპინტრეს, ხან ბუნების მარადიული სულის, ხან სხვა, თვალით თითქმის შეუმჩნეველი უმ-

ცირესი ნიუანსების სახით, თუმცა არასოდეს უკარგავენ ტექსტს რეალურობის ელფერს, თუნდაც მასში აღწერილი სინამდვილე ძალიანაც პირობითი იყოს. ამ რეალურობის განცდას ინარჩუნებს ის, რომ მწერლის მხატვრული, სიტყვიერი საბურველის მიღმა, ცენტრში მუდამ დგას ადამიანი, მისი რეალური სამყარო, მისი ნამდვილი შეგრძნებები. მისი ფსიქიკა კი იტევს იმასაც, რაც გარშემოა და იმასაც, რაც მხოლოდ მის შიგნით შეიძლება დაიბადოს, იმასაც, რასაც ის ხედავს და იმასაც, რასაც სურს, რომ ხედავდეს.

რევაზ ინანიშვილის სივრცე მკაცრად ანთროპოცენტრულია. მაშინაც კი, თუ ის მხოლოდ ბუნების სურათებს, ერთი შეხედვით უკაცურ პეიზაჟებს აღწერს. მისი დახატული მინდვრები, ხნულები, ვენახები, ბალები, მთები... — ყველაფერი ადამიანის გულშია არეკლილი და მხოლოდ შემდეგ, ინდივიდის თავისებურების, მისი წარმოსახვის მიხედვითაა გარდაქმნილი და გარეთ გამოტანილი. მხოლოდ ადამიანის დამოკიდებულება, ადამიანის მიერ გააზრება აძლევს მათ იმ მნიშვნელობას, რომელიც მარადიულობასაც მოიცავს და არსებობის ფარული აზრის წვდომასაც. სამყარო ადამიანის ფიქრშია ტკივილით და სიყვარულით ახალ სიცოცხლედ, ახალ სახედ გარდასახული, ჰიბრიდად — ადამიანი და ბუნება განუყოფლად ერთად — ქცეული და შემდეგ გადმოღვრილი ფურცელზე.

სივრცის თვისობრიობა და მისი სრულად გაგება და ათვისება გრძნობების გამოხატვის ასპარეზად აქცევს მას. ნოველაში „ბებია და შვილიშვილი“ ვხედავთ ერთი შეხედვით მარტივ სურთს — კაცი ბარავს და ასე, ბარვა-ბარვით, ნელნელა უახლოვდება ცოლს. ის ითვისებს და ითავისებს სივრცეს, გადალახავს მას, აქცევს საკუთრად — დაბარულად, ასე სძლევს მის უცხოობას, მის დამაბრკოლებელ ბუნებას, რათა მიაღწიოს იმას, რაც აზრს აძლევს მის არსებობას ამ სივრცეში — სიყვარულს. ადამიანის ქმედების, მოძრაობის,

სწრაფვის და სიცოცხლის საზრისი ამ ნოველაში სწორედ სივრცის ფიზიკურ-გრძნობიერი ათვისების გრაფიკულად მარტივი, მაგრამ ღრმა შინაარსის მქონე სურათითაა გადმოცემული.

ასევე საგულისხმოა მწერლის მიერ დროისა და სივრცის გააზრება ნოველაში „წრე“. აქაც ჩანს, რომ მისი სამყარო მართლა ანთროპოცენტრულია და ბუნების, მიწის სურნელი, ქმედებები, ის სურათი, რომელსაც რამდენიმე საათის განმავლობაში, მცირე, მაგრამ თვითშემეცნებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე დროულ ლოკალში აკვირდება პერსონაჟი, მნიშვნელობას იძენს მისი გრძნობიერების გამახვილების კვალდაკვალ. ის სივრცე, რომლის მფლობელებიც ქალი და გოგონა არიან, სიკეთის, სიქველის, მშვენიერების, ადამიანურობის საკრალურ სივრცედ გარდაიქმნება კაცის თვალში და სულში, ხოლო მისი კუთვნილი ქალაქის სივრცე კი, რომელშიც არ არის ჰარმონია, „ასაფეთქებელი წრის“ მრავლისმეტყველ დეფინიციას იღებს, რადგან კაცი უკვე ბოლომდე აცნობიერებს, რომ იქ დაკარგულია ადამინური სითბო, იქ მარტოობაა და თანაც წრე შეკრული, გამოუვალი და ჩაკეტილია და თუ არ ააფეთქე, ისე ვეღარ დააღწევ თავს..

რევაზ ინანშვილის ლირიკულ-პირობით დროსა და სივრცეში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულს. როგორც ყველაფერი ამ მხატვრულ სამყაროში, ისიც არ არის ეპიკური, თუნდაც ეს წარსული ემპირიულ ისტორიულ დროს უკავშირდებოდეს და პერიოკულ ან ბატალურ ამბებსაც მოიცავდეს. წარსული მასთან მაინც ლირიკულია. „ძონძებში გახვეულ ჯვრებში“ ვხედავთ წარსულის პატარა ნაფლეთს, პატარა ამბავს, სურათს, რომელშიც, შესაძლოა, უფრო მეტი თავგანწირვა ჩანს, ვიდრე ბევრ გამართულად მიღიტარისტულ წარატივში. ეს განსაკუთებული ხედვაა, რომელიც ისტორიული დროის ნაკადიდან გრძნობიერ პატარა ხატს, სურათს ამოიტა-

ცებს და წარსულის მნიშვნელოვან, მრავლისმომცველ პარა-
დიგმად აქცევს.

ზოგადად წარსული, ხსოვნის ქრონოტოპი დიდ როლს
ასრულებს მწერლის მხატვრულ სამყაროში. მისთვის წარსუ-
ლი არასოდესაა ჩავლილი, დასრულებული. ისინი, ვინც ამ
წარულში არსებობდნენ, უყვარდათ, განიცდიდნენ, სტკი-
ოდათ, ეწამებოდნენ, კვდებოდნენ, კვლავ განაგრძობდენ არ-
სებობას, რადგან თხრობისას მწერალი თითქმის მუდმივად
იცავს წესს: წარსულზე ყოველთვის ყვება ის, ვისაც ის ზუს-
ტად ახსოვს, ვისთვისაც ძვირფასია, არ ივიწყებს და არაფ-
რის გულისთვის არ დაივიწყებს („ყვავის დათესილი კაკალი“,
„ანდერძი“, „ქართველი ქალის სიყვარული“, „სიკვდილი
ბაბალე ბადიაურის“ და ა.შ.).

რევაზ ინანიშვილი მცირე ფორმის ოსტატია და, ბუნებ-
რივია, რომ მის ნაწარმოებებში ხშირად მოზღუდულია სა-
მოქმედო სივრცეც და დროც. მაგრამ, ვფიქრობ, მას აქვს
ერთი განსაკუთრებული ნიშანიც: ამ მოზრუდულ დროსა და
სივრცეში ხდება არა მარტო იმ მოცემული ადგილისა და
წუთისათვის მნიშვნელოვანი ამბავი, არამედ მწერალი ხსნის
და მკითხველის წინაშე სრულად წარმოაჩენს პიროვნებას,
ფსიქოტიპს, ხასიათს, მთელი სიცოცხლის საზრისს. „ვიღა-
ცას ავტობუსზე აგვიანდება“ ამ თვალსაზრისით განსაკუთ-
რებით საგულისხმოა, რადგან მოზღუდულ დროსა და სივ-
რცეში გაიხსნა ელენეს სული, მისი გრძნობები, მისი წარსუ-
ლიც, აწმუოც და მომავალიც და ადამიანი მთელი სისავსით
წარმოსდგა მკითხველის წინაშე, როგორც არა მხოლოდ
უნაკლოდ შესრულებული მხატვრული სახე, არამედ ნამდვი-
ლი, რეალური, სიცოცხლით სავსე არსება.

მოთხრობაში „წისქვილში რომ წავედი“ ვხედავთ როგორ
იქცევა ერთ ღამეში პატარა ბიჭი ნამდვილ ,ღირსეულ კაცად.
აქ გამოჩენდა მწერლის განსაკუთრებული თვისება — მის მი-
ერ აგებულ, დახატულ სივრცეში, სადაც უამრავი დეტალია,

არც ერთი ხაზი, არც ერთი ფიგურა ან მოძრაობა არ არის უფუნქციო, არ რჩება აზრობივი დატვირთვის გარეშე. ყველაფერი ერთად კი მის უმთავრეს სათქმელს — ადამიანის ადამიანურობამდე მისვლის გზის ჩვენებას ემსახურება. მოზღუდულ სივრცესა და დროში მთელი სიცოცხლის ტოლფასი ამბის გამლა და საკუთარი მხატვრულ-ფილოსოფიური კონცეფციის მათი მეშევეობით გამოკვეთა ნიშანდობლივა მწერლისათვის.

რა თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ, რომელი მხრიდანაც არ უნდა მივუდგეთ რევაზ ინანიშვილის სამყაროს, მაინც ყველასგან განსხვავებულია, ახალი, გაუკვალავი გზებით დასერილი, გულისთვის ძალიან ახლობელი სათქმელის შემცველი. სწორედ ამან განაპირობა ალბათ ის, რომ იგი ერთ-ერთი იმ არც თუ ისე მრავალრიცხოვან მწერალთაგანია, რომლებმაც თავისდაუნებურად ერთგვარი ლიტრატურული დინება შექმნეს, აშკარა მიმდევრები გაიჩინეს. მისი ლირიკული, პოეტური „სიტყვის ქვეყანა“ სუფთაა, ხელშესახები, ცოცხალი. ამავე დროს მოწყობილია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული, რაფინირებული სიკეთის კანონების მიხედვით, რომლებიც იმითაა სწორედ ყველასგან განსხვავებული, რომ არც თავს გეხვევა და გაბეზრებს დიდაქტიკური ელფერის მქონე სახეებით, ხასიათებით და სიტუაციებით და თან მხატვრულად უკიდურესად დამაჯერებელია. თუნდაც „ჩემი წყალჭალის ხმები“ არის თვით-კმარი ილუსტრაცია რევაზ ინანიშვილისეული ალტერნატიული მხატვრული დრო-სივრცისა, „კეთილი დრო-სივრცისა“, რომელშიც ყველაფერი ბუნებრივია, სადა და ადამიანური სითბოთი სავსე.

დამოცვებანი:

ინანიშვილი 1986: ინანიშვილი რ. ალერსი შიშიანობის დროს. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986.

რეგაზ ინანიშვილის თხრობის პოეტიკა

თხრობის სტილი ყოველ დიდ შემოქმედს თავისებური აქვს. რაც უფრო ინდივიდუალურია მწერალი, მით უფრო გამორჩეულია მისი თხრობის მანერა, ქართულ ლიტერატურაში, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს რეზო ინანიშვილის თხრობის სურნელი, დასამახსოვრებელი, დაუვინყარი. პროზის მისეული რიტმი მიმზიდველია, ამიტომაც მნიშვნელოვანია მისი თხრობის პოეტიკის კვლევა და იმ ასპექტთა წარმოჩენა, რომელიც მისი თხრობის საოცარ მუხტსა და ენერგიას განაპირობებენ. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, პოეტური სული, რომელიც მსჭვალავს მის მოთხრობებს.

მწერლისთვის უთვალავფერიანი სამყარო იდუმალი ხმებითა და სახეებით არის სავსე, რომელთა მიყურადებისა და დანახვის გარეშე გაღარიბდებოდა სიცოცხლე. ამიტომაც მწერალი მოთხრობებში უხვად ხატავს ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს, ბებიის მონაყოლი ჯადოსნური ზღაპრებივით მიმზიდველს და ამდიდრებს თანამედროვე ადამიანის იდუმალებისაგან დაცლილ ყოფას: „რა ლამაზ სამყაროს მიქმნიდა თავისი შეგონებებით: რა ლამაზები იყვნენ ქონიანი კატები, ცხრაბენვა, კბილებდაკრეჭილი თავგლეჯელები, ქაჯები, ეშმაკები, ალები, ბოლოქანქალასავით მოსიარულე, თვით ყინულის ლოლუასავით გაცივებული ქალებიც კი... რა ლამაზი იყო ოცდათორმეტი თეთრი ბურჯი, მათ შორის მომწყვდეული ჩვენი უსაშინლესი მტრით“ („ბებიის შეგონებანი“). მისთვის ყოველივე არსებული მნიშვნელოვანია, ამიტომაც ხედავს და ხატავს სხვათათვის შეუმჩნეველს, თანაც, დიდი სიყვარულით. ის სიცოცხლისთვის მლოცველია. მის ნაამბობში, ცხოვრების სიავკარგებები ფიქრთა ჩვეულებრივ მდინარებაში, უთუოდ გაკრთება ხოლმე მოულოდნელი და

უცნაური, რაც მკითხველს ტკბილ-მწარე სევდას აღუძრავს. მის თხრობაში იშლება საზღვარი შინაგან და გარეგან სამყაროებს შორის. მას უყვარს ადამიანი და ამიტომაც გვიამბობს ადამიანური გულის საოცარ თავგადასავლებს. სიკეთე არის მისი სადა, უორნამენტო თხრობის მთავარი ძარღვი. მის მოთხრობებში, მართლაც, ბოროტება კი არ წარმოჩნდება, არა-მედ მხოლოდ სიკეთის მოკლება და რუსთველისეული რწმენა: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“. სიყვარულით, სინათლითა და რწმენით სავსე მისი მოთხრობები ყოველდღიური, ყოველწამიერი ცხოვრების ფურცლებია, წარმავალსა და მარადიულს თანაბრად რომ ირეკლავენ, ამი-ტომ მისი თხრობა ექსპრესიულია და შთამბეჭდავი.

მწერალი გაოცებული თვალებით შეჰყურებს სამყაროს და ამ ბავშვური გულწრფელობით მკითხველსაც ნუსხავს. მის-თვისაც, დოსტოევსკივით, მნიშვნელოვანია რწმენა, რომ სი-ლამაზე იხსნის სამყაროს. სილამაზე მისთვისაც ღვთის ანა-ბეჭდია, მისი რწმენა, ამიტომაც დაეძებს მას და ამ სილამა-ზეს ამჩნევს ყველგან, უპირველესად, უბრალო ადამიანთა სულში და მათი ცხოვრების დახატვით ზნეობრივ იდეალებს წარმოაჩენს, როგორც ყოფიერების აუტანელი ჭაობიდან თავდალწევის გზებს: „კეთილი სილამაზე ძალიან ცოტალა დარჩა ქვეყანაზე და ოქროს მარცვლის პოვნასავით განვიც-დით ყოველი პანაწინა ნიმუშის აღმოჩენას“ („მოხუცი მწერა-ლი“). იგი წუხდა იმაზე, რომ „ჩვენ უკვე ნაკლებად გვჯერა სილამაზის ძალისა. ეს იმიტომ, რომ ვერ ვასწრებო ჩავ-წვდეთ ნამდვილ სილამაზეს, ძალიან „დაკავებულები ვართ“ რაღაც უფრო მნიშვნელოვანით“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

„მე მაინც დავწერ. არ ვიცი, ვისთვის, დიდებისთვის თუ პატარებისთვის, მაგრამ მაინც დავწერ...“, — ასეთი სიჯი-უტით წარმოაჩენს წერის წყურვილს რეზო ინანიშვილი. მა-ინც ვის შესახებ სურს წერა? როგორც ნიკო ლორთქიფანიძე

წერს „თავსაფრიანი დედაკაცის“ ეპიგრაფში: „ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი და იოანე. მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე“. რეზო ინანიშვილის შემოქმედებაც სავსეა ასეთი თავსაფრიანი დედაკაცებით. ის წერს, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველ ადამიანებზე, შეუმჩნეველზე იმიტომ, რომ ადამიანთა გაცვეთილი და დაბლაგვებული მზერა მხოლოდ ბრჭყვიალასა და თვალშისაცემს ამჩნევს, რეზო ინანიშვილი კი არა მხოლოდ ამჩნევს, არამედ წერს „ქალაქის განაპირა ხრიოკებში ტანჯვით მცხოვრებ ხეებზე. ადამიანთა მიერ ჩარგულ და მუდმივი ტანჯვისთვის განწირულ ხეებზე. ზედ შემომსხდარ ჩიტებზე. ნაადრევად დაცვენილ. მათ დახრუკულ ფოთლებზე. წყრომით დამავალ დიდ ჭიანჭველებზე“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“). სწორედ ამგვარი ფიქრი გამოარჩევს რეზო ინანიშვილს სხვათაგან და აახლოვებს ვაჟა-ფშაველასთან. იქნებ ამიტომაც ერთ მშვენიერ დღეს დაჯდა და გადაწერა მთელი ორი გვერდი ვაჟას მოთხოვნისა „ამოდის, ნათდება“: „მაინტერესებდა, როგორ დაინერებოდა, როგორ მიიღებდა ჩემი სხეული ვაჟასეულ ფიქრებს და ფრაზებს. დიდი სიტკბო ვიგრძენი, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდი, რომ მე მაინც ცოტა სხვანაირად დავწერდი, უფრო ნერვიულად, ალბათ“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“). ეს ნერვიული მანერა წერისა დამახასიათებელია მისთვის, თუმცა, ხშირად ერთ მოთხოვნაში ერთმანეთს ენაცვლება მშვიდი და ნერვიული სტილი წერისა. მის თხოვნაში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ერთგვარი, კინომონტაჟის სტილი, იმგვარი, თვითონვე რომ შენიშნავდა ჰემინგუეის ნაწერებში: „ჰემინგუეი — ჭვრეტითი, მაგრამ მტკიცე დისციპლინირებული! აღარავითარი — ძველი მთხოვნელობისა. სულ იგრძნობა, რომ ქვეყნად უკვე არსებობს კინო“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულები-

დან“). მის თხრობაშიც, ასევე, შეიგრძნობა, რომ უკვე არსებობს კინო. რეზო ინანიშვილი ხომ კინოსცენარებსაც წერდა.

მის თხრობაში ერთმანეთს ენაცვლება მდორე და ექსპრესიული რიტმი, ერთგვარი დაღმავალი და აღმავალი ხაზები. ერთგან თვითონვე აღნიშნავდა ამის შესახებ: „თქვენ გაშფოთებთ დაღმავალი ხაზები ჩემს მოთხრობებში. მე, პირიქით, კმაყოფილი ვარ. არ არსებობს წრეზე უკეთესი სისრულე, წრე კი ორივეს შეიცავს, როგორც აღმავალ, ასევე დაღმავალ ხაზებსაც“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

მისი თხრობის პოეტიკას განსაზღვრავენ პოეტური ნეოლოგიზმები, რომლებითაც ასე მდიდარია მისი პროზა.

რეზო ინანიშვილი სწორედ ვაჟასნაირად მთლიანობაში აღიქვამს სამყაროს. ადამიანი მისთვის ბუნების განუყოფელი ნაწილია და ამიტომაც ხატავს ხეებისა და ბალახების, ჩიტებისა და ცხოველების სატკივარს ისეთივე სიმძაფრითა და გატაცებით, როგორც ადამიანებისას: „მოხუცს მშვიდი მოფერება უნდოდა. ბალახებსაც უნდოდათ მოფერება, წახრილიყვნენ ალერსიანი ხელის მოლოდინში. მოხუციც დიდი სიამოვნებით შეუშვერდა ალერსიან ხელს, მაგრამ ასეთი ხელი არ ეგულებოდა ამ ქვეყნად“ („წვიმა“). აქ ბალახებისა და მოხუცის სევდა თანაბარი ტკივილითაა წარმოჩენილი. მწერლისთვის ორივე მნიშვნელოვანია, ორივეს სიცოცხლე ღვთის შექმნილია, ორივეს და, მათი სახით, სიმბოლურად, მთელსამყაროს ღვთის თვალი დასტრიალებს. მწერალი კი, როგორც შემოქმედი, როგორც უპირველესი განმახორციელებელი ღვთის ნებისა, მარადის გაგრძელდეს ქმნადობის პროცესი, ვალდებულია თვალყური ადევნოს, სიტყვით უმფარველოს და უპატრონოს ყოველივეს, განურჩევლად იმისა, სულიერია თუ უსულო, რადგან მხატვრულ სამყაროში ხომ, მატერიალურისაგან განსხვავებით, ყოველივე სულიერდება.

მისი თხრობის პოეტიკას განსაზღვრავს ის, რომ, „სამყაროს პოეტური აღქმა წყაროა ტკივილებისა. სხვაზე რომ არა-

ფერი ითქვას, მშვენიერება ხომ თვითონ შეიცავს ტკივილს, მაგრამ იგივე აღქმა წყაროა სიმტკიცისაც“ („ჩანაწერები სა-მაგიდო რვეულებიდან“). ეს შველოდა მწერალს, რომ, რო-გორც თვითონ აღნიშნავს, არ გაბოროტდა: „მამადავითის თავზე ხეების კენწეროზე წამოდებულ ნისლს შეუძლია ბევ-რი რამ მაპატიებინოს ბევრისთვის“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

რეზო ინანიშვილის თხრობის პოეტიკას განსაზღვრავს სულის ტკივილი. „რატომ მტკივა სული?“ — კითხულობს მი-სი ერთი პერსონაჟი, მწერლის ალტერ-ეგო და თვითონვე ასე პასუხობს: „მეჩვენება, რომ ქვეყნად სიყვარული კლებუ-ლობს“ („ქარი ნოემბრის ტყეში“). ამიტომაც ცდილობდა თა-ვისი მოთხრობებით შეევსო ეს ნაკლებობა სიყვარულისა. მართლაც, საოცარი სიყვარული ანათებს მის ნაწარმოებებ-ში. სიყვარული აღგვამალლებსო. ადამიანის სწორედ ამ გამა-კეთილშობილებელ, გამამშვენიერებელ გრძნობაზეა რეზო ინანიშვილის მოთხრობა „ჩემი საწყალი სიყვარული“. მწერ-ლობა, საზოგადოდ, ადამიანის გულში სიყვარულის, სიბრა-ლულის, თანაგრძნობის გაღვივებას ემსახურება. მწერალი, რა საძულველ საგანსა და მოვლენაზეც უნდა წერდეს, რა ნაკლო-ვანებასაც უნდა ამხელდეს, მაინც მკითხველის მხარესაა. რო-გორც ილია წერს „კაცია-ადამიანში?!“: „მე თუ შენ მიყვარ-ხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს...“. ეს იმედი კი გულისხმობდა მკითხველის „გამოსწორებას“.

რეზო ინანიშვილს უყვარს მკითხველი და თავისი ყოველი მოთხრობით ცდილობს დაარწმუნოს, რომ ჭეშმარიტი ბედ-ნიერება სიყვარულს მოაქვს: ღვთის, მშობლების, მეგობრე-ბის, მიჯნურის, სამშობლოს სიყვარულს.

ყურადღებას იქცევს სათაურში ეპითეტი საწყალი. რატომ უნდა იყოს სიყვარული საწყალი? მოთხრობის ბოლოს კი მკითხველი ხვდება, სიყვარული სიკეთეა, სინათლეა. იგი შა-რავანდედივით გამოაბრწყინებს ადამიანის სულს. საწყალი

კი მხოლოდ იმათ თვალშია, რომელნიც უარყოფენ თუ გა-
ურბიან მას, თუმცა ამით პატარავდებიან, სუსტდებიან.

მოთხოვაში ორი თვალსაზრისი დაუპირისპირა მწერალ-
მა ერთმანეთს. მთხოვაში სოფელში ესტუმრა ქალაქელი
მეგობარი, რომელიც უმტკიცებდა, რომ სიყვარულისგან გა-
თავისუფლება იხსნიდა ადამიანს. მთხოვაში საწინააღმდე-
გოს ამტკიცებს. მის ხასიათს კარგად წარმოაჩენს გალაკტი-
ონის ცნობილი ლექსის „უსიყვარულოდ“ სტრიქონთა ღილი-
ნი: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...“. ჩანს
იგი პოეტური, რომანტიკული სულის ადამიანია, ამიტომაც
მისი ფიქრი სიყვარულზე განმტკიცებულია პოეზიით. ჩანს,
რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „სიყვარულო ძალა
შენსაც“ კარგად იცის. მეგობართან საუბრისას წამიერად
დაეჭვებული თვითონაც გაიფიქრებს: „იქნებ კაცობრიობა
მართლაც უნდა გათავისუფლდეს ამ ტკბილ-მწარე ბანგისა-
გან, რომელსაც ხშირად მეფე მონის ყმად უქცევია, ბრძენი
კი გაგიჟებულივით ურბენინებია ტყე-ველად“. თუმცა, ამ
ეჭვს მალე მოიშორებს, რადგან გრძნობს, ამგვარი ფიქრი
ცუდ გუნებაზე აყენებს. იგი ხედავს, რომ სიყვარულის უარ-
ყოფა ადამიანს აკნინებს, თრგუნავს, აბნელებს, ამიტომაც
არის ქალაქისკენ მიმავალი ის ვაგონი უნუგემოდ ჩაშავებუ-
ლი, თვითონ კი სიყვარულით სავსეა და ამიტომაც ელამა-
ზება ირგვლივ ყველაფერი. უსიყვარულოდ კი მთელი სამყა-
რო თითქოს ცარიელდება და იხურება ყველა კარი სიცო-
ცხლის საიდუმლოებისა.

მწერალი წარმოაჩენს, რა სათუთი და ნაზია მთხოვაში
დამოკიდებულება ბუნების მიმართ, რა სიხარული მოაქვს
„სილურჯემდე მისულ ფოთლების სიმწვანეს“ თუ „ნარინ-
ჯისფერ გამჭვირვალე ფოთლებს“. იმიტომ იძენს გარემო
ფერებს, რომ მას აღტაცებული, სიყვარულით სავსე მზერით
შესცქერის პერსონაჟი. იგი ამიტომაც თანაუგრძნობს მე-
ლას, გულსაკლავად რომ ხავის და წკმუტუნებს. მთხოვაში

გრძნობს, რომ ირგვლივ ყოველივე სიყვარულს მოუცავს, სიყვარულს, რომლის დაკარგვა ბუნების შვილებსაც ისევე ამწუხრებს, როგორც ადამიანს. ამ ფონზე იხატება პერსონაჟი, სოფელს, მშობლიურ ფესვებს „ანგარიშით“ მოწყვეტილი. ანგარიში გულისხმობს სიყვარულის ჩაკვლის ფასად რაღაც სხვის მოპოვებას; ეს იქნება წარმატება, სიმდიდრე, ძალაუფლება თუ სხვა რამ. მთხრობელი კი გრძნობს, რომ მას მშობლიური სოფლის სიყვარული აძლიერებს, ამიტომაც ფიქრობს, რომ აქედან არსად გაიქცევა და დარჩება „საწყალ მელებთან, ჩემს საწყალ ძეძვებთან“.

მწერალი შთამბეჭდავად ხატავს, როგორი სიყვარულით ეხუტება პერსონაჟი მიწას, რადგან ბიბლიური სამსონივით მისგან იღებს ძალას და გრძნობს, როგორ იულინთება „ნმინდა, კეთილი, სხეულის ყოველი ნაკვთის დამამშვიდებელი, დამასვენებელი, იდუმალი, უსახელო შუქით“. ეს უსახელო შუქი სამყაროს შემოქმედი უფალია, რომელიც უჩინრად იქ არის, სადაც სიყვარულია. ეს სიყვარული კი დიდი ტანჯვიდან იბადება: „აი, ბეთჰოვენი; ჩემი ტანჯვისგან ვქმნი სხვათა სიყვარულს“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

ის ყოველგვარი ტანჯვის თანამგრძნობელი იყო, თანაბარი თანალმობით აღწერდა ადამიანისა თუ ბუნების ტკივილს. ბებერ მუხას მონადირეებმა გასართობად ტყვიები დაუშინეს და ვერ ამჩნევდნენ, რომ „სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით“. მერე ეს ნაჭრილობები ქარმა მიწით ამოავსო და „მუხის ნაჭრილობევში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ურიამულით ყვაოდა“. ეს საოცარი ურიამული სიცოცხლის ძლევამოსილებაზე მეტყველებს. გიორგი ლეონიძის დედის ჩანვეთებულ ცრემლზე ამოსული იებიც გვახსენდება. გოგონამ მუხას ხელები შემოხვია და მიეხუტა. მონადირემ კი „უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა“ („მუხა“). ეს დუმილი გამოხატავს ლვთის წინაშე

ლოცვას და ვედრებას, რომ შეუნდოს ადამიანებს სულიერი სიბრძავე და უსულგულობა.

რეზო ინანიშვილი მწერლის დანიშნულებას ადამიანთა შემწეობაში ხედავდა, ასე რომ, კარგად ჰქონდა წარმოდგენილი რატომ, ვისთვის და რისთვის ნერდა: „მწერალი უნდა წააგავდეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგვარი ჭირ-ვარამისა, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულებს, ათბობდეს შეციებულთ, აწყნარებდეს, მიწისკენ ეწეოდეს აღზევებულთ, აპარპაშებულთ“ („სამაგიდო რვეულებიდან“). მიხეილ ჯავახიშვილისთვისაც მთავარი ეს იყო: „მწერლისთვის სიბრალული და თანაგრძნობა იგივეა, რასაც თითები წარმოადგენს ოსტატ მეჩონგურესთვის“ („როგორ ვმუშაობ“). სწორედ ამასვე აღნიშნავდა უილიამ ფოლკნერი თავის სიტყვაში, ნობელის პრემიის მიღებისას რომ წარმოსთქვა: „მწერლის ვალია შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, სიმამაცეს, თავგანწირვას“.

მისი აღწერილი ტანჯვა ნამდვილია. ის არასოდესაა ყალბი და პათეტიკური, მისი მრნამსი იყო: „ის ნამდვილი მწერალი იყო, ნამდვილი მწერალი, და როცა ყინულოვან წყალზე უნდა დაეწერა რამე, თვითონ მიდიოდა, თვითონ დგებოდა იმ ყინულოვან წყალში და თვითონ იჭრიდა ყინულებზე ფეხებს“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

ერთმა კრიტიკოსმა თანამედროვე მწერალთა დაინტერესებას მოხუცების, ბავშვებისა და გიჟების ცხოვრებით, სპეკულაცია უწოდა, რეზო ინანიშვილი ამ აზრს ასე გამოეხმაურა: „თუ მწერლობა მიატოვებს ბავშვებს, მოხუცებსა და უმწეოებს, იგი მოსწყდება მიწას, ვითარცა ანთეოსი, და დაკარგავს თავის კეთილშობილურ ძალას“ („ჩანაწერები სამა-

გიდო რვეულებიდან“). ამიტომაც წერდა ასეთი გატაცებით ბავშვებსა და მოხუცებზე.

რეზო ინანიშვილი თავს „პროზაიკოს პოეტად“ მიიჩნევდა. მისი აზრით, ასეთნი „ყოველდღიურად იტანჯებიან ერთი რამის შეგრძნებით: წუთებად და წამებად ათვლილ ჩვენს საუკუნეში ისინი ვერ მუშაობენ სტაბილურად, გეგმიანად. დადიან, დაყიალობენ და მხოლოდ მაშინ მიუსხდებიან სამუშაო მაგიდას, როცა მზა ლექსი, ანდა ნოველა ჩაწერასლა მოითხოვს“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

მისი თხრობის პოეტიკას განსაზღვრავს მუდმივი ფიქრი წარუვალსა და მარადიულზე: „რას ვეძებ თქვენს ნაწერებში? რამდენად მაღალია მათში პოეტური სული, რომელიც ისე თრთის, თითქოსდა, სადაცაა გაიხსნება ცა და გამოჩნდება... არაამქვეყნიური შუქი, რომლის არსებობას ყველა გრძნობს, მაგრამ კაცთა მოდგმიდან ჯერ არ დაუნახავს არავის“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

მას შეეძლო არაფრისგან ამბავი შეექმნა, თანაც ფერადოვანი და შთამბეჭდავი, იმიტომ, რომ მუდმივად ბავშური ცნობისწადილი ედგა თვალებში. საიდუმლოს დაეძებდა ყოველივეში, ისევე როგორც მისი პერსონაჟი გოგონა, ღამე რომ შეუყვარდა: „გოგონას კიდევ ისიც შეეძლო, რომ თვალები დაეხუჭა და უფრო მეტი რამ დაენახა, ვიდრე თვალხილული ხედავდა“...თვალებს დახუჭავდა — უუ! — მაშინ ათას უცნაურ რამეს დაინახავდა. დაინახავდა უკიდეგანო ლურჯ ოკეანეს, რომელსაც ქათქათაიალქნებიანი გემი მიაპობდა სიმღერით (იალქნები მღეროდნენ); დაინახავდა მზის სხივებით სავსე უღრან ტყეს, რომელშიც ათასნაირი ფერის ჩიტები დაფრინავდნენ და ყველა თავის ხმაზე ეძახდა ერთმანეთს; დაინახავდა მაღალ, შუბის წვერებივით ალესილ მთებს, რომელთა მწვერვალებიდან მწვერვალებზე ყელმოღერებული ჯიხვები გადაქროდნენ შხივილით... გოგონა არაფერს ამბობდა; დიდი, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები ცრემლებით ჰქონდა

სავსე და არაფერს ამბობდა. იცოდა, რომ თუნდაც ეთქვა, რისთვისაც წავიდა ტყეში და რაც ნახა იქ, მაინც არ დაუჯერებდნენ. ის ხომ, მართლაც, ცოტა სხვანაირად ხედავდა სხვებთან შედარებით! შენ სულ ასე უცნაურად გეჩვენება ყველაფერიო, — და არ დაუჯერებდნენ.

ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, როცა შენ რაიმე გჯერა და სხვები არ გიჯერებენ“.

რეზო ინანიშვილი გაჯერებთ სასწაულების არსებობაში, მას შეუძლია მკითხველი მიინდოს და ბოლომდე მიიყოლოს, რადგან მისი ფიქრი მუდმივად ადამიანის სულს დასტრიალებს: „კვლავ ვნახე ჩემი სანუკვარი სიზმარი — მაღალი, ნათელი, წაბლისფრად და თეთრად გაბრწყინებული თოვლიანი მწვერვალები. საიდან ქმნის ამ მწვერვალებს ჩემი სული! ისინი ხან ჩრდილოეთით დგანან (ხაშმიდან), ხან — აღმოსავლეთით და ხანაც სამხრეთით, მშვიდი, საოცრად ამაღლებულნი, ბედნიერნი. ხანდახან კიდევაც მივდივარ მათკენ, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვაღწევ მწვერვალამდე, მხოლოდ ერთხელ ავედი თოვლებამდე, ყინულებამდე. მერე რამდენიმე დღე სულ მესმოდა ნათელი ყინულების მსხვრევის ხმა“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

მას ხიბლავს გამორჩეული, სხვა „დამლის ღვთის შვილები“, რომლებიც, ხშირად ენირებიან მაღალ იდეალებს, მაგალითად, თავადი ვიტგენშტეინი მოთხრობაში „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“ და აშფოთებს თანამედროვეთა უსულგულო, გულგრილი დამოკიდებულება ყოველივე ამაღლებულის მიმართ. ამიტომაც წერდა: „აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპყრობს ფიქრი, — სადღაც ვიღაცას სცივა, სადღაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას, — უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“).

მისი თხრობა საოცრად მგრძნობიარეა. ის აღტაცებული შესცექერის სიცოცხლეს და აღწერს მის ჩასუნთქვა-ამოსუნ-თქვას, ამიტომაც აღელვებს მკითხველს მისი ნაწერები, უბ-რალო, ადამიანური განცდები. მას ახარებდა, რომ „დედამი-ნა კვლავ ცოცხლობდა თავისი მრავალფეროვანი ურიამუ-ლით“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“). მასაც, თავი-სი პერსონაჟივით, როგორც სანუკვარი მუსიკა, ისე შეიძლე-ბა მოესმინა „ნაყოფთა ცვენის კანტიკუნტი ხმები“ და მერე აღეწერა ეს ყოველივე მშვიდი, საოცრად სევდიანი რიტმით“. „შენ ოღონდ ყური მიუგდე და დააკვირდი! ჭრიჭინებენ ჭრიჭინები, მირბი-მორბიან მსხვილ-მსხვილი ჭიანჭველები, დაფარფატებენ ფრთახატულა პეპლები, ბზუიან ფუტკრე-ბი... რაღაც ზეიმია, რაღაც ზეაღმტაცი თავისუფლება, სიმ-სუბუქე. ასე გგონია — დაიქნევ ხელებს და აფრინდები“ („წვიმასა და მზეში“).

ის თავისი მოთხოვნის „სად ცხოვრობს მოხუცი მეზღაპ-რე“ მეზღაპრეს ჰეგავს: „საღამოს... გამოდიან კურდლლები, მელიები, ციყვები, მაჩვები და ტურები. შეჰკრავენ ცეცხლის ირგვლივ წრეს. სხედან მორჩილად და სათითაოდ ჰყვებიან თავ-თავიანთ ამბებს. მოხუცს კიდევ — გადაშლილი აქვს სქელი, ვეებერთელა რვეული, დამჭკნარ ტუჩებთან მალ-მალ მიაქვს წვერბოკოლა ფანქარი და მერე იმ ვეებერთელა რვე-ულში წეერს, წეერს მათ ნაამბობს, ანუ როგორც ჩვენ ვუწო-დებთ — ზღაპრებს“ („სად ცხოვრობს მეზღაპრე“). ამიტომაც არის, რომ ეს მოთხოვნები შორეული, თეთრი ლამაზი მწვერ-ვალებივით გიზიდავენ და გაოცნებებენ.

მისი მოთხოვნების კითხვისას მკითხველს არ ტოვებს განცდა, რომ „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე.1,5).

მაია ნაჟყვებია

რევაზ ინანიშვილის სტილის ზოგიერთი საკითხი

დიდი მწერლები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ სტილს, მასზე მუშაობას. ვლადიმერ ნაბოკოვი წერდა: „ყველაფერი რაც კი გამაჩნია — ეს არის ჩემი სტილი“. სტილი ისევე ინდივიდუალურია, როგორც პიროვნების ხელწერა; სტილის ყველაზე მოკლე და ზუსტ განსაზღვრებად კვლავ უ.-ლ. ბიუფონის ცნობილი ფრაზა რჩება: „სტილი — ეს თავად ადამიანია“.

სტილი მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის მთლიანობაა, რომელშიც მხატვრულ ენასთან ერთად შედის ლიტერატურული ნაწარმოების კომპონენტები: თემა, იდეა, სიუჟეტი, კომპოზიცია, რიტმი, ხასიათები, ფსიქოლოგიზმი, აღნერა; დამკვიდრდა ლიტერატურული სტილის გაგება, როგორც ესთეტიკური მთლიანობისა, რომელიც ლიტერატურული ნაწარმოების ყველა ძირითად ელემენტს მოიცავს. სტილის მხატვრული კანონზომიერება ესთეტიკური მოვლენაა, ამ მხრივ სტილი სპეციფიკური და დამოუკიდებელია, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა პირობითია, რადგან სტილი არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ ასევე იდეოლოგიური კატეგორიაცა. იქ, სადაც არ არის მხატვრული კანონზომიერება, იქ არც სტილია ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

* * *

რამდენადაც სტილი მხატვრული ფორმის არა ელემენტი, არამედ თვისებაა, იგი ლოკალიზებული კი არ არის, არამედ ფორმის მთელ სტრუქტურაშია განვენილი და მის ყოველ სეგმენტში იჩენს თავს. სტილის მახასიათებელი თავისებურებანია: მარტივი ან რთული სიუჟეტი, ნაწარმოების მოცუ-

ლობა, აღწერილობა (საგნობრივი ასახვა: პორტრეტი, გარემო, ბუნება, ინტერიერი და ა. შ.). ფსიქოლოგიზმი, დინამიკა//სტატიკა, მხატვრული პირობითობის რაობა (ცხოვრებისეული//ფანტასტიკა), მხატვრული მეტყველება: ლექსი//პროზა; ნომინატურობა// რიტორიკულობა, მონოლოგიზმი//ნაირმეტყველება, კონტრასტი, სტილური დომინანტი, სტილური პრინციპი, სტილური ტენდენცია.

ავტორის ყურადღების მიმართვას გარეგნული დინამიკისკენ სიუჟეტურობას ვუწოდებთ, რაც ჩვეულებრივ პერიპეტიიბის დიდ რაოდენობაში და დაძაბულ მოქმედებაში ვლინდება, გმირების ხასიათი და ავტორის პოზიცია სიუჟეტის მეშვეობით იკვეთება.

შეიძლება, რომ ავტორის ყურადღება კონცენტრირებული იყოს პერსონაჟის შინაგან სამყაროზე ანდა ლირიკული გმირის გრძნობებზე, განცდებზე, სურვილებზე. სტილის ასეთ თავისებურებას ფსიქოლოგიზმს ვუწოდებთ.

აღწერილობა, სიუჟეტურობა და ფსიქოლოგიზმი ნაწარმოების არსებითი სტილური თვისებაა. შეიძლება ეს ნიშნები ერთმანეთს ერწყმოდეს.

ნომინატურობა და რიტორიკულობა მოიცავს ენობრივ გამომსახველობას და გამომხატველობას, ტროპებისა და ფიგურების გამოყენებას, ლექსიების ხასიათს; ნომინატურობა მარტივ სინტაქსს გულისხმობს. რიტორიკულობა საპირისპირო ტენდენციაა: საგნების აღწერილობითი ან არაპირდაპირი აღნიშვნა, სიტყვიერ-მეტყველებითი სახის შექმნა.

დაბოლოს, სტილის არსებით მხარეს წარმოადგენს ნაწარმოების მოცულობა, ზომა, რაც უშუალოდ აისახება ნაწარმოების მთელ სტილზე (ესინი 1999: 350-363). ი. ტინიანოვი წერდა: „დიდი ფორმის გათვალისწინება ისეთი არაა, როგორიც მცირესი; ყოველ დეტალს, ყოველ სტილისტურ ხერხს, კონსტრუქციის ზომის მიხედვით, სხვადასხვა ფუნქცია ენიჭება“ (ტინიანოვი 1977: 256).

* * *

რევაზ ინანიშვილს სრულიად ნათლად აქვს ჩამოყალიბებული თავისი შეხედულებები მხატვრული შემოქმედების შესახებ; ეს შეხედულებები გაბნეულია მის მოთხოვნებში, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა მისი „ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“. მას შემუშავებული აქვს საკუთარი ესთეტიკური პრინციპები, რომლებიც განხორციელებულია მის ნაწარმოებებში. მის სტილზე დაფიქრებისას ეს შეხედულებები, როგორც თეორიული ხასიათის მსჯელობები, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. რამდენიმე მაგალითს მოვიხმობ: „მე ვთარგმნი კიდევ ერთ პატარა მინიატურას. ესაა აკუტაგავას „დაჭერობანა“. დავუკვირდეთ, როგორ არის მორგებული ყველაფერი ერთმანეთს“ (ინანიშვილი 1987: 226); ანდა: „რა მემართება! უფრო და უფრო აუტანელ მოვლენად მეჩვენება გულმშვიდი მთხოვნელობა, — რომ დაიწყებ და თხრობ და თხრობ სიტყვების, სახეების დაგემოვნებით, უსაშველოდ გრძლად“ (ინანიშვილი 1987: 228); მის აღტაცებას იწვევს ბერთოვენის სიტყვები: „ჩემი ტანჯვისგან ვქმნი სხვათა სიხარულს...“ (ინანიშვილი 1987: 229); ასევე: „სამყაროს პოეტური აღქმა წყაროა ტკივილებისა. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, მშვენიერება ხომ თვითონ შეიცავს ტკივილს. მაგრამ იგივეა წყარო სიმტკიცისა“ (ინანიშვილი 1987: 229); „რას ვეძებ თქვენს ნაწერებში? რამდენად მაღალია მათში პოეტური სული, ნამდვილი პოეტური სული“ (ინანიშვილი 1987: 238). „დავჯექი და გადავწერე მთელი ორი გვერდი ვაჟა-ფშაველას მოთხოვნისა „ამოდის, ნათდება“. ... დიდი სიტკბოება ვიგრძენი. მაგრამ იმაშიც დავრნმუნდი, რომ მე მაინც ცოტა სხვანაირად დავწერდი. უფრო ნერვიულად, ალბათ“ (ინანიშვილი 1987: 230); „საიდან გაჩნდა ეს აუტანელი „ფიჭვის ხე“, „რცხილის ხე?“ (ინანიშვილი 1987: 220); „რა მკვირცხლად, რა მოხდენილად მეტყველებს საბა“ (ინანიშვილი 1987: 252); „ამის დამწერი ალბათ კეკლუცობს

„ლრმა ქართულის“ ცოდნით. „გახლდათ“ სწორედ იმ „ლრმა ქართულიდანაა“ (ინანიშვილი 1987: 258); როგორ არ უნდა შეგიპყროს სევდამ! როგორ არ უნდა მოჰკიდო ხელი ასე მეტყველთ და არ აჩვენო: ეს ხეა, ეს სახლი, ეს მესერი, ეს წყალი, ეს ბალახი“ (ინანიშვილი 1987: 244); „საძაგლობაა, ფაბრიკის იერი რომ დაჲკრავს ლიტერატურულ ნაწარმოებს... მაგრამ კიდევ უფრო აუტანელია, როდესაც არ იგრძნობა ელემენტარული ლიტერატურული დისციპლინაც კი“ (ინანიშვილი 1987: 217). მისი ჩანაწერებიდან ცხადად ჩანს — მწერლის იდეალი კეთილშობილი სისადავეა.

დავიწყოთ რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებთა მოცულობით: იგი პატარა მოთხოვობების, მინიატურის, ნოველის დიდოსტატია, რის შესახებაც თავად ამბობს: „თავგზას მიბნევს დიდი მასშტაბის ნანგრევები, რომელთა საფუძველზე შემდგომში უნდა აღმოცენდეს ახალი დიდი ნაგებობანი. აქედან მომდინარეობს, ეტყობა, ის მორიდებულობაც, რომანს რომ არ ვეჭიდები არასდროს“ (ინანიშვილი 1987: 233); რაც შეეხება მხატვრულ მეტყველებას, როგორც სტილის ნიშანს, ჩვეულებრივ ერთმანეთისგან მკვეთრადაა გამიჯნული ლექსი და პროზა. რ. ინანიშვილი თავის თავს „პროზაიკოს პოეტს“ უწოდებს: პოეტები, მათ შორის ჩემნაირი პროზაიკოსი პოეტებიც (...) მხოლოდ მაშინ მიუსხდებიან სამუშაო მაგიდას, როცა მზა ლექსი ანდა ნოველლა ჩაწერას მოითხოვს“ (ინანიშვილი 1987: 256). რაც შეეხება აღწერილობას და ფსიქოლოგიზმს: „ადამიანის სახეები ხომ... თითოეული მათგანი, რომანი თუ არა, მოთხოვობა მაინც არის, თანაც — დაწერილი ხელთუქმნელი ხერხებით“ (ინანიშვილი 1987: 220); ამ ჩანაწერში ასევე ჩანს მწერლის დამოკიდებულება ფსიქოლოგიზმისადმი.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ხშირად მის მთავარ სტილურ პრინციპს კონტრასტი წარმოედგენს, ხოლო სტილურ დომინანტს —

ფსიქოლოგიზმი და აღწერილობა (სტატიკა), სიუჟეტურობას, ბუნებრივია, შესაბამისად მოკრძალებული ადგილი უკავია. საგნობრივი ასახვის თვალსაზრისით საყურადღებოა მის მიერ გმირის გარეგნობის, პეიზაჟის, ხედის, ნივთების აღწერის თავისებურებანი; სიუჟეტი უმეტესწილად თითქოს მარტივია, მაგრამ ამ სიმარტივის მიღმა ხშირად იჩენს თავს დაძაბულობა, რომელიც ფსიქოლოგიზმის მიზნებს ემსახურება.

წინამდებარე წერილში ძირითადად რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში მისი უაღრესად თვითმყოფადი სტილის ორგანიზების საკითხებს განვიხილავთ.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს მოთხობა „პლიაჟის კლეოპატრა“ (ინანიშვილი 1987: 8-12), რომელშიც დიდი ადგილი უკავია ფსიქოლოგიზმს და აღწერილობას, სიუჟეტი კი ასეთია: ოქტომბრის მიწურულს, ზღვაზე, დასასვენებელ სახლში, სადაც უმთავრესად შუა ხნის ხალხია დარჩენილი, ყურადღებას იპყრობს აღმოსავლური გარეგნობის ახალგაზრდა ქალი, მოსკოველი ხნიერი სწავლულის ცოლი, რომელსაც ხუთი წლის ბიჭუნა ჰყავს და ზღვაში ცურვისას თან მიჰყავს ტივტივამდე; მოთხობის კულმინაცია ძლიერ აღელვებულ ზღვაში ბავშვთან ერთად შეცურვა და ტივტივამდე მისვლაა, რამაც კინალამ ბავშვის სიცოცხლე შეინირა და ნაპირზე მყოფთა უდიდესი აღშფოთება გამიწვია; დედა-შვილი გადარჩა.

კომპოზიციის თვალსაზრისით მოთხობა მარტივი კომპოზიციის კატეგორიას განეკუთვნება; მოვლენები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ვითარდება; თხრობითი ტიპი მთელი ნაწარმოების მანძილზე ერთი და იგივეა; ქრონოტოპის მხრივ დაცულია დროისა და ადგილის ერთიანობა. ამასთან, აღსანიშნავია სიუჟეტის დრამატიზმი — მოთხობის კულმინაციას მისი დასასრული წარმოადგენს: ბოლო ეპიზოდი იმდენად დაძაბულია, რომ მოთხობის ჩათავებამდე მკითხველს წინასწარ უჩნდება ტრაგიკული ფინალის

განცდა — დედის უცნაური ახირებულობის გამო ვაი თუ დედა-შვილი ვერ გადარჩეს, რითაც სიუჟეტურად ეს პატარა მოთხრობა შეიძლება ნოველის ჟანრს მიეკუთვნოს.

მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი გარკვეულ პრინციპთა თანახმად თითქოს მარტივია, სინამდვილეში იგი ურთულესია, რაც უნატიფესი ნიუანსებითაა გადმოცემული: სიუჟეტის ყველა ელემენტი ფსიქოლოგიზმის მიზნებს ემსახურება, მისი სტილური ნიშნები ფსიქოლოგიზმი და აღწერილობაა.

მოთხრობის მთავარი სტილური პრინციპი — კონტრასტია, ცხადი და მკვეთრი დაპირისპირება, რომელიც ნაწარმოების ყოველ სეგმენტში ვლინდება. კონტრასტი მოთხრობის სათაურშივეა დეკლარირებული: საბჭოთა სახელმწიფოს „პლიაჟი“ და დამსვენებელი ქალი, რომელსაც ელინისტური ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის სახელი — კლეოპატრა ჰქვია. მთხრობელი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ კლეოპატრა ყველასგან განსხვავდება, იგი ასე გადმოგვცემს მის პორტრეტს: „შეიძლება დროის ბრალი იყო ესეც: ერთი ახალგაზრდა ქალი, ალბათ, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა, ძალიან გამოირჩეოდა ყველასგან. თითქოს სულ ქარში მოაფრიალებდა ჩახჩახა წითელ და ჩახჩახა ყვითელ აღმოსავლური ყაიდის ძვირფას კაბა-შარვლებს. თვითონაც აშკარად აღმოსავლელი, — ქალის კვალობაზე ცოტა დაბალი, ცოტა ქვედანელმძიმე — მღელვარე, მაგრამ შეკავებული ჯიბრით შემოდიოდა სივრცეში“. კონტრასტია აღმოსავლური გარეგნობის ქალი და მისი რუსი ქმარი; კლეოპატრას სხვებისაგან განსხვავებული გარეგნობა და ჩაცმულობა; პატარა ბიჭი და სხვა ბავშვები; კონტრასტია სულ მცირე დეტალებშიც კი: კლეოპატრას „ვიწროდ გაჭრილი, საფეთქლებამდე გაზიდული“ თვალები („ჩვეულებრივ ასეთი ჭრილის თვალები ქალებს ალერსით უჟიკუიკებთ ხოლმე, ამ ქალს კი მუდმივი დადარაჯებულობისა და რაღაც სროლისწადილის სიმწვანით ჰქონდა სავსე“) და მის საპირისპიროდ, „კეთილთვალებიანი“

ექიმი ქალი. დაბოლოს, რაც მთავარია, კონტრასტი კლეოპატრასა და დამსვენებლებს შორის: ერთი მხრივ — ახალგაზრდა ქალი და მეორე მხრივ — დამსვენებელი შუახნის ქალები და კაცები, რომელებიც ცდილობენ ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ („ეს შუახნის ქალები და კაცები გულმოდგინედ ცდილობდნენ თავიანთი ახალგაზრდული შესაძლებლობების გამოჩინებას“, ან: „ერთ რამეს მაინც ვერ ახერხებდნენ ახალგაზრდულად, ეს ის იყო, რომ გაციებისა ეშინოდათ“).

როგორც უკვე აღვნიშნე, აღწერილობა მოთხრობის არსებითი სტილურ ნიშანს წარმოადგენს, ისევე, როგორც ფსიქოლოგიზმი: აღწერილობა ფსიქოლოგიზმის მიზნებს ემსახურება. მთავარი მაინც ისაა, რომ კონტრასტი ფსიქოლოგიურ პლანშია გადატანილი; დამსვენებლების დამოკიდებულება კლეოპატრას მიმართ ფარული მტრობის მაჩვენებელია; მის აღწერას დიდი ადგილი უკავია. რაც შეეხება სახელს, არც ის დარჩენილა უყურადღებოდ: „ერთმა მოხუცმა ინტელიგენტმა კი, როცა მისი ნამდვილი სახელი გაიგო, გაიცინა და კეთილად თქვა: — „პლიაჟის კლეოპატრა!“ . „კეთილად თქმა“ ვერ ფარავს ირონიას, მაგრამ სახელთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას: ავტორისეული თითქოს სასხვათაშორისო აღწერით „პლიაჟის კლეოპატრას“ „პატარა, მკვრივი ცხვირი“ აქვს, და აქ ასოციაციით აუცილებლად გაგვახსენდება ისტორიული კლეოპატრას საყოველთაოდ ცნობილი „გრძელი“ ცხვირი.

მაგრამ მთავარი კი ისაა, რომ: „ქალებიც და კაცებიც ძალიან დაინტერესებულნი არიან ამ კლეოპატრას წარმომავლობით, — საიდან უნდა ყოფილიყო წამოსული მისი ძირითადი გენი: ვოლგისპირეთიდან, ბაიკალის იქიდან, შუა აზიიდან თუ შუამდინარეთიდან, მაგრამ ვერავინ ვერაფერი დაადგინა ბოლომდის“. კლეოპატრას მტაცებელ ცხოველს ადარებენ: „ყველა გრძნობდა, რომ უდაბნოს რომელიდაც

მტაცებელს ჰგავდა, მზისგან გატრუსულს, ფიცხს. ერთნი, უმეტესნი, პატარა მკვრივი ცხვირითა და მოკლედ ჩამოშვებული მკვრივი თმით, ამსგავსებდნენ აფთარს, ახალგაზრდა აფთარს, სულ წინ წასწრაფებულს, ყნოსვადდამდგარს, ჩუ-მად მონკმუტუნეს, მეორენი — ტრამალის ძუ მგელს, მოქნილსა და საშუალოდ თვალებმონკურულს, მესამენი კი შავ კატუნიას, კმაყოფილებით რომ მიიზნიქება და მიიღოკავს ტუჩებს“. „ახალგაზრდა აფთარი“, „ტრამალის ძუ მგელი“, „შავ კატუნია“, ასევე ბერკუტი ანუ შავი ქორი — ყოველ ამ შედარებაში კლეოპატრას მიმართ დამსვენებელთა მტრული განწყობილება ჩანს.

საგანგებოდ ხაზგასმულია ქალების შური: „აი, ისინი ადარებდნენ ბიჭის დედას აფთარს, მეტსაც — ალმოდებულ აფთარს (പყლაიუჟა გიენა) ჩახჩახა წითელი კაბა-შარვლის გამო თუ. დაინახავდნენ და იტყოდნენ: „მოდის ალმოდებული აფთარი...“ „თავის თეძოებს და მკლავებს უჩვენებს კაცებს ალმოდებული აფთარი“ — როცა იგი შესაშური გატაცებით თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, „უკმაყოფილოდ წკმუტუნებს ალმოდებული აფთარი“ — როცა ქმარი და შვილი არ აკეთებდნენ ისე, როგორც თვითონ სურდა“.

ყოველივე ამის გარდა, კლეოპატრა შესანიშნავად ცურავს და არც მისი პატარა ბიჭუნა უფრთხის წყალს: „დილით, მზის ამოსვლამდეც კი აპანავებდა თავის ბიჭს. რეზინის გასაბერი რგოლი მოჰქონდათ. ბიჭს იმ რგოლს ჩამოაცმევდა, ამოაყოფინებდა ხელებს, შეიყვანდა ზღვაში, მიცურავდა თვითონ და მიიყოლებდა ბიჭსაც. მიდიოდნენ აკრძალვის ხაზამდე, ცოტა ხნით ჩამოეყრდნობოდნენ რკინის ტივტივას და გამობრუნდებოდნენ, გამოვიდოდნენ ნაპირზე“.

კონტრასტი ჩანს კლეოპატრასა და მის ქმარს შორის ურთიერთობაშიც; ისინი იშვიათად ჩნდებიან ერთად პლაჟზე; ის ზღვის პირას, ზემოთ, მდინარის შესართავის იქით თევზაობს

განმარტოებით, თუმცა ერთად დადიოდნენ ბაზარში და ხანდახან სტუმრადაც სხვა დასასვენებელ სახლებში.

მოთხოვთ ძალიან მნიშვნელოვანია პატარა ბიჭუნას ფუნქცია: კონტრასტის პრინციპი ბიჭუნას მიმართაც მოქმედებს: „იყვნენ სხვა ბავშვებიც, გოგონებიც, ბიჭებიც. ბიჭი არც თვითონ მიდიოდა მათთან, არც იმათ უშვებდა თავისთან“. ბიჭუნა სილაში „თავის სახელმწიფოს“ აშენებს, რომელსაც ავტორი ასე აგვინერს: „ბიჭიც სულ განცალკევებული იყო. მთელ დღეს სილაში ჩამუხლულს, აშენებული ჰქონდა თავისი აკოკოლავებული სახელმწიფო, ქვემოთ ამაგრებდა მის საზღვარს, ამწკრივებდა ქალალდის დროშებს, რომლებზედაც ეხატა წითელი ვარსკვლავი და ქვემოთ ეწერა კუთხიანი ასოებით — „სახელმწიფო საზღვარი“. ამ საზღვარზე დგამდა და ასწორებდა ზარბაზნებს — მოკლე, მომსხო ნარიყებს, ტყვიამფრქვევებს — მუყაოში გაყრილ ლერწმის ნატეხებს: თუ ვინმე მიუახლოვდებოდა, მკაცრად ყვიროდა: „შეჩერდი, ვინ მოდის!“ მერე აამუშავებდა ტყვიამრფქვევს: ტა-ტა-ტა-ტა!.. ისროდა ხელყუმბარებსაც, ფიჭვის ხმელ გირჩებს!“.

„აკოკოლავებული სახელმწიფო“, „გამაგრებული სახელმწიფო საზღვრები“, „ზარბაზნები“, „ტყვიამფრქვევები“ და „ჩამწკრივებული ქალალდის დროშები, რომლებზეც ეხატა წითელი ვარსკვლავი“ — ამ დეტალებით ბიჭის სახელმწიფო საბჭოთა კავშირია.

კონტრასტის თვალსაზრისით საინტერესოა ბიჭუნას აღნერა: „ხუთი წლისამ კარგად იცოდა წერა, თვითონვე ხატავდა დროშაზე წითელ ხუთქიმიან ვარსკვლავებს, იცოდა, რა ჩინები არსებობს ჩვენს არმიაში, იცოდა, რას ჰქვია ქვემდებარე და შემასმენელიც“ — ეს არა მხოლოდ ბიჭუნას პირდაპირი, არამედ მისი დედის ირიბი დახასიათებაც არის; ამიტომ ბუნებრივია ავტორისეული შენიშვნა: „სხვა ბავშვების დედებს გული ევსებოდათ სიბრალულით და სიბრაზით“.

ზოგადი შეხედულებით კონტრასტულია დედის დამოკიდებულება ხუთი წლის შვილის მიმართ: „თავის უწყინარ შვილს ყოველთვის ელაპარაკებოდა მკაცრად, მოკლე ფრაზებით“, ასევე: „დედა მზრუნველობით გაამშრალებდა, გამოუცვლიდა საცვალს, ბიჭი თავის სახელმწიფოში შედიოდა“ დედა კი „ისევ ზღვაში შეცურდებოდა, წავიდოდა და დაიკარგებოდა. ზღვიდან ამომავალს დაუფარავი შურით უყურებდნენ ქალებიც და კაცებიც. მოდიოდა მშვიდად, მბრნწყინავი, ოდნავ არ ეტყობოდა დაღლა“; რაც მთავარია, დედას „ბიჭი ზღვაში შეჰყავდა ხოლმე ღელვის დროსაც, ბიჭს ეშინოდა“; ერთმა კეთილთვალებიანზა ექიმმა ქალმა „ერთხელ ასეთი ღელვიდან უკანმობრუნებულს უთხრა: — რატომ აგდებთ ბავშვს ასეთ საფრთხეში? — იმიტომ, რომ ცხოვრებაში უფრო დიდი საფრთხეები მოელის, — მიუგო კლეოპატრამ და პირსახოცი ისე ცუდად გადაგრიხა, ექიმმა ქალმა ველარაფერი თქვა“.

კონტრასტის ხერხით ასახული სინამდვილე პიროვნული — ქვეტექსტურად კი ეროვნული — დაპირისპირების, კლეოპატრას მიმართ გაღიზიანებისა და შურის ასპექტშია წარმოდგენილი, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანია, მაგრამ ქვეტექსტების შესანიშნავი დიდოსტატის, რევაზ ინანიშვილის მიერ საკითხის გადაწყვეტა გაცილებით უფრო რთულ ასპექტს შეიცავს: მთავარი დეტალებშია! კლეოპატრა შვილის გონებრივ და სულიერ განვითარებაზე ზრუნავს, რაც თავისთავად ბუნებრივია: დედა რომ ეტყოდა — „დამიგდე ყური!“ ბავშვი მორჩილად ჯდებოდა ყურის დასაგდებად. და აქ მთავარია ის, თუ რას უკითხავდა დედა ბიჭუნას: „დედა უკითხავდა ტროას ამბებს, სპარტელთა ამბებს, რომაელთა ამბებს, ერთხელ თვითონაც მოუთხრობდა, ცრემლშეკავებულივით, ცხვირჩაჭყლეტილ მოსეს თავგადასავალს. ამან სულ გააბუნდოვნა მისი წარმომავლობა“. ცხადია: წიგნთა ჩამონათვალი სრულიად არ შეესაბამება ხუთი წლის ბავშვისთვის

ჩვეულებრივ მიღებულ საბავშვო ლიტერატურას. ჩამოთვლილი წიგნების ქვეტექსტიდან ჩანს, თუ რისთვის ამზადებდა დედა შვილს, რა სახელმწიფო უნდა აეშენებინა მას და რატომ მოელოდა ცხოვრებაში უფრო დიდი საფრთხეები: ტროელთა დამარცხების მიზეზი, სპარტელთა თავგანწირვა სამშობლოსთვის, დამპყრობელ რომაელთა ამბები გასაგებს ხდის, თუ რატომ ჰქვია ამ პერსონაჟს კლეოპატრა, ხოლო ის, რომ მოსეს — ეპრაელთა ეგვიპტელთა ტყვეობიდან გამომხსნელის — ამბის მოყოლისას ცრემლს ძლივს იკავებს, ამთავრებს მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და ამით კლეოპატრასა და დამსვენებელთა კონტრასტი ყოფითი დაპირისპირებიდან პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადადის. ისიც ცხადი ხდება, რომ მას შემთხვევით არ ჰქვია კლეოპატრა, როგორც ჩანს, მშობლების მიერ იგი ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთებითაა აღზრდილი, რაც მისთვის საგანგებოდ შერჩეულ სახელში გამოჩნდა.

სტილური პრინციპი მეტყველებაში რეალიზებულია კლეოპატრას მიმართ დამსვენებელთა როგორც ირონიულ, ისევე განსაკუთრებით აგრესიულ ლექსიკაში; კლეოპატრას მოკლე, მკაფიო და ერთგვარად მბრძანებლურ რეპლიკებში.

ყოველივე ეს ფსიქოლოგიზმისა და აღწერილობის სტილური ნიშნების დომინანტით არის შექმნილი, ხოლო მთავარი სტილური პრინციპი კონტრასტია. ამრიგად, მოთხრობის მარგანიზებელი სტილური პრინციპი, სტილის კანონზომიერება არის კონტრასტი, რაც ნაწარმოების ყოველ სეგმენტში არის რეალიზებული.

რევაზ ინანიშვილის სტილისთვის ჩვეული ღრმა ფსიქოლოგიზმით არის გაჯერებული მინიატურა „ქიზიყელი ქალი“ (ინანიშვილი 1987: 207), რომელშიც „შინაგანი“ მხატვრული დეტალები ფარავენ „გარეგნულს“. მთხრობელი თავად პერსონაჟია, ერთადერთი ავტორისეული ფრაზა ამ მთხობე-

ლის პორტრეტია: „სიმხნევით სავსე მანანო, კარგი შესახე-დავი სამოცდაათი წლისაც კი“.

ქიზიყელი ქალი შეხედულებას მამაკაცებზე ბებიის მონა-თხრობის მიხედვით გადმოგვცემს, ხოლო თავად მის შეხე-დულებას პირველივე ფრაზიდან ვიტყობთ: „ჯერ კიდევ ბები-აჩემს ეჯავრებოდა ბუტუსურა კაცები...“ რასაც მოსდევს კაცების ბებიასეული აღნერა: „ამათ კაცები ეთქმით, ამათო, — შინ რომ ყრიან დღე და ოამე და კვერცხისმდებელი ქათ-მებივით მოედებიან ოჯახშიო?! ფუი! ფუო!“. აქ ყურადღებას იქცევს ლექსიკა: ბებია „დედალს“ ცვლის სიტყვათშეთან-ხმებით — „კვერცხისმდებელი ქათმები“, კონკრეტული საგ-ნის სახელის მისი აღნერილობით შეცვლა ამ მინიატურაში შემდეგაც გვხვდება. მოთხრობა მთავრდება დასკვნით: „ძი-ლით დასიებული თვალები ვერ გაუხელიათ ეხლანდელ თქვენს კაცებს, ამათ რა სიყვარული უნდა შეიძლონ, ან რა შვილები უნდა ჩამოუვიდეთ ამ ლოხებს!.. ფუი! ფუო!“. ისე ჩანს, რომ ეს ქმარზე შეყვარებული და ქმრით აღტაცებული ქალის სიტყვებია, რომელთანაც კვირაში მხოლოდ ერთ დღე-ლამეს ატარებს, რადგან დანარჩენ დროს „საქონელშია“: „ჩე-მი ქმარიო, ვენაცვალეო, კვირისთავზე მოანათებდა ბადრ მთვარესავითაო“. ბებიის მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ იგი ძალიან ხმაურიანი ყოფილა, არ უყვარდა „ზანტი ბიჭები“ რომელთაც გასაბრაზებლად „ტრიკიანებს“ ეძახდა, მაგრამ ბებიას ყველაფერზე მეტად ღამეები ახსოვს (ქმრის ბადრ მთვარესთან შედარებაც ამის ნიშანია): „ერთ ღამეს დარჩე-ბოდა, არც თვითონ დაიძინებდა, არც მე დამაძინებდა მამლის ყივილამდე ... მესამე ყივილობისას ისევ ფეხზე იყო. ერთხელაც მომეფერებოდა, მომეფერებოდა ახლა პატარასავითო“.

მაგრამ ბებიას განსაკუთრებით ერთი დღე დამახსოვრე-ბია: „ერთხელაც გავბედე, ადრე, პატარძლობისას, ავიცხვი-რე ქალურად. — შენ კი გენაცვალე, რა თმა გაქვს, რა თმაო, გადამისვა თავზე ხელი, დაჰყვა ნაწნავსა, მეორე ხელით

წამოიღო ცხენის კუდი, გადაახვია კუდი და ნაწნავი ერთმანეთს, — რა კოხტად ებმიან კაცოო, რა კოხტადაო! — ხითხითებდა გულიანად. შემომხედა თვალებში, ერთი დამკრაისევ სიცილით წელს ქვევით, შეჯდა ცხენზე და წავიდა ხითხითიანივე ძახილით, ეჰე-ჰეულ!.. — მიაბრჭყვიალებდა თოფსა და ხმალსაო“ (ინანიშვილი 1987: 207).

ცხენის კუდისა და ცოლის ნაწნავის „გადახვევა“ — აი, დეტალი, რომელიც ამ მინიატურის ფსიქოლოგიზმის კულმინაციაა. ცხენის კუდს ჩვეულებრივ ძუას უწოდებენ, მაგრამ ბებია ამ სიტყვას არ ახსენებს, ცხენის ძუაზე თმის „გადახვევას“ ანუ გამობმას კი თავისი ფართოდ ცნობილი მნიშვნელობა აქვს: „ცხენის ძუაზე გამოაბით; ათრევინეთ!“ (ვ. ბარნოვი) (განმარტებითი 1964: 781). აქ ირკვევა, რას ფარავს ბების მონათხობი: დღისით ქმარმა იგი ცხენის ძუაზე გამობმული ათრია. ამ დეტალში ჩანს ბების ქვეცნობიერში ღრმად ჩამარხული შიში ქმრის წინაშე, ყოველდღე მასთან ურთიერთობისა: ამიტომაც აღიზიანებს ის კაცები, „შინ რომ ყრიან დღე და ღამე“.

მოთხობაში ქმრის ხასიათიც ჩანს: მას უყვარს სხვების დამცირება, მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას, ამასთან მზაკვრობაც ახასიათებს: ფერება-ფერებით ცოლს საშინელ და სამარცხევინო სასჯელს უმზადებს და თან ხითხითებს.

მინიატურის სტილური კატეგორია სუბიექტურობაა, სტილური ნიშნები — ფსიქოლოგიზმი და აღნერილობა.

რევაზ ინანიშვილის ზოგიერთი მოთხობის არსებითი სტილური ნიშანი სიუჟეტურობა და ფსიქოლოგიზმია, მაგალითად, „ძალიან უბრალო სიმღერა“ (ინანიშვილი 1987: 42-59). მოთხობა იწყება სასაცილო სცენის აღნერით: ერთი შავი, დიდპირა, ცხვირმოლრეცილი, ფოლადისკბილებიანი მძღოლი მეორე ასეთივე მძღოლს შეხვედრისას „ანგელოზს“ ეძახის — ორივე გულიანად იცინის და მათთან ერთად მთხობელიც, რომელმაც ამ სიცილ-სიცილში რაღაც და-

ინახა, რაღაც გაახსენდა, რაღაც წარმოუდგა თვალწინ. ამით მწერალი მკითხველს ერთგვარ გამოცანასაც სთავაზობს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველის ინტერესს. სწორედ ის, თუ რა დაინახა მთხოვნელმა, გვაგებინებს, რა იმალება მძლოლის ამგვარ, ერთი შეხედვით თითქოს შეუსაბამო, მიმართვაში. მოთხოვნელის სიუჟეტი დაძაბულია, სავსეა ღრმა განცდებითა და ფსიქოლოგიური ნიუანსებით: მკითხველმა ბოლომდე არ იცის, რით დასრულდება ის ამბავი, რომ ახალგაზრდა ქალს, ქმარ-შვილის პატრონს, სასკოლო ასაკის ორი ვაჟიშვილის დედას კიბოთი დასწეულების განცდა აქვს. ტრაგიკული დასასრულის ეჭვი და შიში იპყრობს არა მხოლოდ ოჯახს, არამედ ნათესავებს, ახლობლებს და მეგობრებსაც. სიუჟეტი ჯერ თბილისში ექიმებთან სიარული, ბოლოს კი ლენინგრადში ცნობილ სპეციალისტთან წასვლაა, რაც ხელმოკლე ოჯახმა ასევე ხელმოკლე ნათესავების, ახლობლების და მეგობრების უანგარო დახმარებით შეძლო. ლენინგრადელმა ექიმმა ეჭვები გაფანტა — ქალი ჯანმრთელი აღმოჩნდა. სწორედ ამის შემდეგ იგებს მკითხველი მთავარს: „მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. მთავარი იყო, რომ ჩვენს მაღლა ცა წრიულად იყო გახსნილი. მისი კიდეებიდან, როგორც ქვევრის პირიდან, თავები გადმოეყოთ ანგელოზებს და ეს ანგელოზები სულ ჩვენი ნათესავები, მახლობლები და მეგობრები იყვნენ“. მფარველი ანგელოზი ოჯახს ნათესავების, ახლობლების, მეგობრების სახით მოევლინა. იგულისხმება, რომ ასეთივე მფარველ ანგელოზად გამოუჩნდა ოდესლაც ტრაგიკულ სიტუაციაში ერთი მძღოლი მეორეს.

რევაზ ინანიშვილის პროზის არსებითი სტილური ნიშნებია აღწერილობა, სიუჟეტურობა, ფსიქოლოგიზმი სხვადასხვა შეფარდებით: ერთი მხრივ, მუღავნდება ფსიქოლოგიზმი და აღწერა („პლიაჟის კლეოპატრა“, „ქიზიყელი ქალი“, „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“, „მთვარის ასული“, „უფსკრული ქალაქში“ და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ ფსი-

ქოლოგიზმი და სიუჟეტურობა („ძალიან უბრალო სიმღერა“, „დავითის ხმალი“, „ქრისტეს პერანგი“, „ქარბუქი“, „მირანდუხტი“, „წიგნი“ და სხვ.).

რევაზ ინანიშვილის თხრობის სტილი ძირითადად ნომინატურია, მაგრამ მისთვის ასევე დამახასიათებელია მდიდარი ლექსიკა. რევაზ ინანიშვილის უაღრესად ინდივიდუალური მხატვრული სტილი სინატიფით და მხატვრული სრულყოფილებით გამოირჩევა.

დამონიტივის:

განმარტებითი 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII. თბ.: „მეცნიერება“, 1964.

ინანიშვილი 1987: ინანიშვილი რ. მთვარის ასული. თბ.: „მერანი“, 1987.

ესინი 1999: ესინ ა. ბ. სტილ // Введение в литературоведение. Литературное произведение: основные понятия и термины. М.: “Высшая школа”, 1999.

ტინიანოვი 1977: ტინიანოვი იუ. ნ. პოეтика. История литературыю Лино. М.: 1977.

უანრის კლასიკოსი

რევაზ ინანიშვილს ურთულეს ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ფესვგამდგარი და წელგამართული საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო მაღალი რანგის ლიტერატურის შექმნა. და მაინც, მწერალმა გაიმარჯვა ყველაფერზე — სტალინურ დიქტატურაზე, მოჩვენებით „დათბობაზე“, „უძრაობის ხანაზე“, ათასგვარ მახეებსა და საფრთხეებზე, და ქართველ მკითხველს შეაგრძნობინა ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობებისა და განცდების სიდიადე. მისი პერსონაჟები ერთნაირად გაუხუნარი ლირსებით დააბიჯებენ ქუჩებსა და ორლობებში, ფიქრიანები, კაცობრივარენი, თან დაატარებენ სამყაროს ინტელექტუალური შემეცნების სურვილს, სამშობლოს ტკივილიან განცდას, რაინდულ სიყვარულს, სევდას, მარტოობას, გულუბრყვილო ოცნებებს და კიდევ: მზეს, მთებს, მოწმენდილ ცას, წყალ-ჭალის ხმებსა და ზამთრისპირა ბინდს...

„...ბავშვს მშვიდად სძინავს და უთუოდ კუდაპრეხილ ციფვსა და ლამაზად მოფარფატე თოვლის ფანტელებს ხედავს. რომ ელიმება, ვარდი გადასდის პირზე. / დედ-მამას სიხარულის ცრემლებით უბრწყინავს თვალები. / ოთახში ნელ-ნელა შემოდის ზამთრისპირის ლბილი, ლბილი ბინდი... / — ღმერთო, ულხინე ყველა ბავშვს ქვეყანაზე!“ („ზამთრისპირა ბინდი“);

„ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ოცდაექვს წოებერს წელში მოხრილი ქალიშვილი მიდის ვაჟის სანახავად. ნახავს ერთი წუთით და მერე კმაყოფილი იქნება კიდევ ერთ თვეს... მერე... მერე აღარ ვიცი. მე ჯერ ეს მჭირდება მხო-

ლოდ. მაჩვენეთ ერთი წუთით და ნაიყვანეთ მაშინვე. და-არქიტექტორი ამას, რაც გინდოდეთ, ის. მე კი ერთი წუთით მაჩვენეთ და ნაიყვანეთ მაშინვე. თქვენი იყოს დიდ-დიდი სი-ამენი ამა ქვეყნისა. მე მარტო ეს პანანინა სურვილი ამისრულეთ. დაარქიზოთ ამას, რაც თქვენ გინდათ ის, ოღონდ ეს პანანინა სურვილი ამისრულეთ ეხლა...“ („ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“).

„აყეფდება ძალლი. / ვილაც ცხრა მთის გადაღმა ხმელ ხეს შემოჰკრავს ცულს და აქ ყვითელ ფოთლებზე დახუჭავენ ცვრის წვეთები თვალებს... / საღამოობით ნისლი დაბლა ჩამოდის. ცრას იწყებს. სოფლის ბოლოზე ნახირი გამოჩნდება. ზანტი ნაბიჯებით ამოვლენ ტანდაბალი შავი ძროხები და თავთავიანთ ბაკებს მიაბლავლებენ. / ჩემი მეგობარი აივანზე გადმოდგება და მისი ეზო-ყურესკენ შემობრუნებულ ძროხას და ბოროლას ალერსით ეხმაურება: / — ო, დედო! ოო, დედო!“ („ჩემი მეგობარი“);

„მიდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო მატარებელს ჩამორჩენოდეს და ფეხით დასდგომოდეს სწორ, ერთ-ფეროვან, მტკრიან, სიცხის ალმურში გახვეულ გზას, სადაც არაფერი არ ჩანს, არავისი შეხვედრის იმედი არ არის, არასოდეს გამოჩნდება ბოლო. / ბევრჯერ დამართია ასე, მაგრამ დღევანდელი დღის ეს წუთები მაინც მეტისმეტად ემძიმა. / და, ვინ იცის, რომ მართლაც ეს არ იყო იმ გზის დასაწყისი, რომელზედაც ბოლოს ყველა ადამიანი უნდა შედგეს და სადღაც სევდიან გორაკზე დატოვოს ძონძებში გამოხვეული საკუთარი ძვლები“ („ფასანაური“);

„უცებ მოეჩვენა, რომ მათ გარდა ოთახში სხვა ვილაცაც იყო და შეშინებულმა მიმოიხედა. კედელზე ძველებური შავი საათი ეკიდა და ბებერი ბუღალტერივით გამწყრალი ანგარიშობდა რაღაცას... უყურებდა ამ საათს და ელიმებოდა.

მაგრამ მაინც ვეღარ დაეშოშმინებინა გული. / — აი, ჩემი დიდი სიმშვიდე... რისა შემებინდა ასე? ქურდისა, თუ იმისა, რომ სხვას არ გაეგონა ჩვენი ნალაპარაკევი?. . რატომ გავურბივართ მოყვარული გულის გამოჩენას სხვების თანდასწრებით?. . რატომ გავურბივართ საკუთარ სიყვარულზე ლაპარაჯს სხვებთან?. . / მთის ჩაბნელებულ ხეობიდან რომ ამოდიან ხოლმე ნისლები — ისე ამოდიოდნენ ფიქრები საიდანაც და პირთამდე ავსებდნენ პატარა ოთახის მყუდროებას „ერთი ბოთლი შამპანური“...

სითბო, თანაგრძნობა (ლესინგისეული), სიყვარული (თუნდაც უპასუხო), ყოველდღიურობის რუტინაში პატარ-პატარა სიხარულების აღმოჩენისა და გაზიარების სურვილი უშურველად იღვრება რევაზ ინანიშვილის ყოველი ტექსტიდან. მისი მწერლობა ორიენტირებულია საზოგადოების არა მარტო სულიერ-ინტელექტუალურ თუ ფსიქოლოგიურ, არამედ ყოფით-სოციალურ პრობლემებსა და ცვლილებებზე. ორდინარული, თუმცა, ხშირად არაორდინარული სიტუაციებიც, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემები, ეთიკური დილემები, ღირსეული გამოსავლის მუდმივი ძიება — ამ თემების რეალიზაციისათვის მწერალი წარმატებით იყენებს მცირეპროზაულ ფორმატს — მოთხოვთ და, უპირატესად, ნოველის ჟანრს. ინანიშვილი ვირტუოზულად ფლობს ნოველის ტექნოლოგიას, სრულად შეიგრძნობს ჟანრის კანონს და ქმნის შეუდარებელი მწერლური ალლოთი და გემოვნებით გამორჩეულ ქართულ შედევრებს — იქნება ეს „დავითის ხმალი“, „კაცი და ქალი“, „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“, „უკულმა დაჭედილი“, თუ სხვა. წერის მანერა ძალზე დინამიურია, ხშირად — აღსავსე იუმორით და პაროდიითაც კი, თემები — ჰუმანური, სიუჟეტები — დახვეწილი, მორგებული ნოველის საუკუნოებან ტრადიციებს.

ნოველისტობა არასოდეს ყოფილა მარტივი საქმე. მსოფლიოს პირველ ნოველისტს, ჯოვანი ბოკაჩიოს მისი კრებულის „დეკამერონის“ გამო არაერთი უსიამოვნების გადალახვა მოუხდა, მაგრამ, კულტურული თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო (გარკვეულწილად, უარყოფითი) მაინც ის დამოკიდებულება იყო, რომელიც ჟანრის მიმართ ჩამოყალიბდა: თითქმის მე-19 საუკუნემდე კლასიკურ ნოველას აღარც მიმდევრები ჰყოლია და აღარც გულშემატკივრები (გუარდატის, ბანდელოსა და რამდენიმე ინგლისელი ავტორის ტექსტებს ჟანრულად რომანსეს ან ემბრიონულ რომანებს უფრო აკუთვნებენ, ვიდრე ნოველას). კითხვაზე — რატომ? — სხვადასხვაგვარი პასუხი შეიძლება გაეცეს, თუმცა, დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ პასუხი ასახვის რეალისტური მანერის მკვეთრ დეფიციტში უნდა ვეძიოთ. ბოკაჩიო რენესანსის ეპოქის მწერალია, იმ ეპოქისა, რომელმაც ბევრ სხვა სიკეთეს-თან ერთად*, ადამიანი იძულებით დააყენა გამადიდებელ სარკესთან და თავისი ნამდვილი სახე დაანახა (ხშირად რადიკალური სატირის ფონზე). რენესანსის მომდევნო ლიტერატურულ ეპოქებში — ნეოკლასიციზმის, სენტიმენტალიზმის, რომანტიზმისა — რეალისტური მეთოდი აღარ წარმოადგენდა კულტურულ და ესთეტიკურ პრიორიტეტს, შესაბამისად, აღარც ნოველის საჭიროება იყო, ჟანრისა, რომელსაც ესოდენი ეფექტურობით ეხერხებოდა მოლოდინების გაცრუება ან სულაც — გამათრახება. ნოველის აღორძინება მე-19 საუკუნიდან შეინიშნება, როდესაც ასახვის რეალისტური მეთოდი დაუინებით ეძებს ჟანრულ სიახლეებს და ნარჩუნდება მაღალი მოდერნიზმის პირობებში, სადაც უმაღლესი ღირებულებების ძიება გარდაუვალად იკვეთება კონტექსტთან. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, ერთ-ერთი წამყვანი თეორი-

* იხ. პ. ბურკი, რენესანსი. თბ., 2000 (თარგმანი გაგა ლომიძისა).

ული სკოლის — რუსული ფორმალიზმის ფუძემდებლებმა, გაააქტიურეს რა მოტივის როლი ლიტერატურული სიუჟეტის ფორმირებაში, ხოველა რომანის უანრის საპაზისო მოდელადაც კი მიიჩნიეს. ამ მიზნით, ვიქტორ შეკლოვსკის ყურადღების ცენტრში ექცევა მოტივის პრინციპული კავშირი სტილისტურ ხერხთან: ტექსტების ანალიზი ხორციელდება სპეციფიკური მეთოდოლოგიური მოდელით — **ფაბულა** (*მასალა*) განიხილება, როგორც **სიუჟეტის** (*კონსტრუქცია*) შესწავლისა და დადგენის პირველწყარო. მაგალითად, „დონ კიხოტი განიხილება როგორც **გარდამავალი** მომენტი ნოველების **კრებულიდან** (*„დეკამერონის“ ტიპის*) ერთი ვძირის რომანამდე, რომელიც აგებულია **აკინძვის, ანკობის (հանչաւանիւ)** ხერხზე, რის მოტივაციასაც, თავის მხრივ, მოგზაურობა წარმოადგენს“ (ეიხენბაუმი: http://www.opojaz.ru/method/method_intro.htm). მოდელის მექანიზმი ასეთია: მოგზაურობის მოტივი, რომელსაც ეფუძნება ფაბულა (*მასალა*), აკინძვის სტილისტური ხერხის მეშვეობით, ტრანსფორმირდება სიუჟეტის (*კონსტრუქციის*) სტრუქტურულ ქარგაში; ტექსტის აგების ნოველისტური პრინციპი ტრანსფორმირდება რომანისტულში. ფორმალისტების თეორიის აღნიშნულმა მუხლმა მწვავე კამათი გამოიწვია. მიხაილ ბახტინმა მკაცრად და, ვფიქრობთ, სამართლიანადაც, გააკრიტიკა ფორმალისტების პოზიცია*, არ გაიზიარა იგი, თუმცა, მი-

* ბახტინის უანრის თეორია დაეფუძნა ტრანსმისიურ კავშირს სოციალურ და ლინგვისტურ სტრუქტურებს შორის. მან, ტრადიციის წინააღმდეგ, უანრები განიხილა არა ლიტერატურულ-მხატვრული სპეციფიკის ჭრილში დიფერენციალურ განსხვავებათა (ლიტერატურის ფარგლებში) თვალსაზრისით, არამედ როგორც გამოთქმათა გარკვეული ტიპები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ინარჩუნებს საერთო სიტყვიერ (ენობრივ) სივრცეს (იხ. ი. რატიანა, მიხალ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დალოგური კრიტიკა // ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბ.: 2008).

უხედავად დავის თეორიული შედეგებისა, აკადემიური პოლემიკის უკვე არსებობის ფაქტი თავისთავად, ხაზს უსვამს მე-20 საუკუნის კულტურული სივრცის ძალზე სერიოზულ დამოკიდებულებას ნოველისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდისათვის ნოველა ორგანულად არის დამკვიდრებული ისეთი სახელოვანი ავტორების მხატვრულ არსენალში, როგორებიც არიან — გოეთე, კლეისტი, ჰოფმანი, ტოლსტიო, ზოშჩენკო, ო'შენრი, ჰესსე, თომას მანი; ქართველი ავტორები — ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი და სხვანი.

ამრიგად, „განსაცვიფრებელი“ და „მოულოდნელი“ დასასრულისაკენ მიმართული დინამიური სიუჟეტი და ასახვის რეალისტური მანერა ნოველის ჟანრის უმთავრესი მახასიათებელია: ამბავი უნდა იყოს ძალზე კომპაქტური და დამაჯერებელი, რათა არამარტო წარმოაჩინოს თხრობის დინამიურობა, არამედ გაამართლოს ფინალის მოულოდნელობაც. „ლიტერატურათმცოდნების ცნებათა“ თანამედროვე ლექსიკონში ვკითხულობთ: „ნოველა მცირე ფორმატის ჟანრია, ორიენტირებული ერთ კონკრეტულ მოვლენაზე, სიტუაციასა ან კონფლიქტზე, რომლის წიაღშიც იქმნება ინტრიგა. ინტრიგის ამოხსნა მოულოდნელობის ეფექტით ხასიათდება: ნოველის დასასრული ყოველთვის მოულოდნელია, როგორი ლოგიკურიც არ უნდა იყოს იგი“ (ქადონი 1999: 600-601). ნოველა უნიკალური ლიტერატურული მოდელია, რომელიც იმთავითვე მიისწრაფვის, დასკვნით ნაწილში კი სრულად წარმოაჩენს მკითხველის მოლოდინის შეუსაბამობას ტექსტის დასასრულთან. მკითხველი, რომელსაც გზადაგზა აღეძვრება „კარგად ნაცნობი ამბის“ განცდა, საბოლოო ჯამში, სრულიად სხვა ფინანსურული პირისპირ აღმოჩნდება, იმდენად, რომ დასკვნის გამოტანაც შეიძლება გაჭირდეს. ნოველის სწორედ ამ ოქროს წესს იცავენ მე-19-მე-20 საუკუნეების უდიდესი

ნოველისტები, რომელთა რიგს უდაოდ განეკუთვნება რევაზ ინანიშვილი.

ძნელად თუ მოიძებნება მწერალი, რომელიც ისეთი სიზუსტით ათავსებდეს ტექსტს ჟანრის განმარტებაში, როგორც ამას „აკეთებს“ რევაზ ინანიშვილი. მისი ნოველების სიუჟეტებიცა და ფინალებიც ჟანრისათვის ნიშანდობლივი მოქნილობით, მაღალი კონცენტრაციით, თხრობის დინამიური მანერითა და, რასაკვირველია, მოულოდნელი დასასრულებით არის გამორჩეული. რად ლირს თუნდაც ნოველა „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“, რომლის ინტერპრეტაციის არაერთი ვერსია შეიძლება ჩამოვაყალიბოთ.

რატომ იჭრება ნოველის სიუჟეტის დასკვნით ეტაპზე მწერლის ქალიშვილი შეკითხვით — „ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“? სად გადაჰყავს ახალგაზრდა ვიტგენშტეინის სიკვდილზე დაფიქრებული მკითხველი მწერალს? რას ელოდა მკითხველი და რა მიიღო?

ამ შესანიშნავი ნოველის ფინალის წაკითხვა, თუნდაც წინააღმდეგობრივ ჭრილში, სიუჟეტთან უშუალო კონტაქტში უნდა წარიმართოს. სიუჟეტური მინიშნებანი ერთ (და მხოლოდ ერთ) შესაძლებლობას იძლევა ტექსტის დასასრულისა — ვიტგენშტეინი უნდა მოკვდეს:

„ვიტგენშტეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა (გენერალს). / — პირველსავე სადგურში ჩავალთ და ვესვრით ერთმანეთს... — ნაუმოვი ვარ, **ტყვიას ტყვიაში ვსვამ / — მე თქვენ უთუოდ მოგვლავთ.** / ვიტგენშტეინმა აღარაფერი უპასუხა. თავისი კუპისკენ წავიდა. / — რენკონტრ? — იკითხა გენერალმა. / — რენკონტრ“.

სიუჟეტური კვანძის მოსალოდნელი გახსნის მიუხედავად, განსხვავებულია პერსონაჟის სიკვდილის მოტივაციები. რატომ გააწნა სილა გენერალს ახალგაზრდა კაცმა? საკუთარი მამაკაცური თავმოყვარეობა დაიცვა, გენერლის თანმხლები

ქალის ღირსება თუ სრულიად უტაქტოდ ჩაერია სხვის საქმეში? ეს კითხვები არსებითა.

ვერსია პირველი:

ვიტგენშტეინმა „შეამჩნია, გენერალმა ჩახრილ ქალს უადგილო ადგილას მიუწყაპუნა ხელი... / უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეტი თავშეკავებულობა გამოგეჩინათ, გენერალო? / ... — **მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენ გვერდით.** / გენერალმა ვიტგენშტეინის თვალებს ვერ გაუძლო. / — **მამაკაცი?** — **გაედიმა დაბნეულს.**“ სავსებით სავარაუდოა, რომ ვიტგენშტეინი გენერლის ცინიკურმა შეკითხვამ აღაშფოთა და შელახული მამაკაცური თავმოყვარეობის დასაკმაყოფილად „სტკიცა სილა“ ჩინოსანს. მისი საქციელი გასაგები და მოტივირებულია.

ვერსია მეორე:

ვიტგენშტეინმა „შეამჩნია, გენერალმა ჩახრილ ქალს უადგილო ადგილას მიუწყაპუნა ხელი. ქალი შეკრთა, გასწორდა. ჯერ ვერ გაბედა, მერე **შეშფოთებული** მზერა გამოაპარა ვიტგენშტეინისკენ“. შესაძლოა, ვიტგენშტეინს ქალის „შეშფოთებულმა მზერამ“ დააკარგინა წონასწორობა და ქალის დასაცავად „სტკიცა სილა“ თავგასულ მამაკაცს. მაგრამ, „შეშფოთებული“ თანაბარი წარმატებით შეიძლება ნიშნავდეს „შეურაცხყოფილსაც“ და „დარცხვენილსაც“ — გააჩნია, როგორ აღიქვამს ამას, ერთი მხრივ, ვიტგენშტეინის პერსონაჟი და, მეორე მხრივ, მკითხველი. გამომდინარე აქედან, პერსონაჟის მოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც: ა) მამაკაცური ღირსებისა და ქალისადმი პატივისცემის დადასტურება (მიუხედავად იმისა, ღირს თუ არა „იმ ქალის გულისთვის“ თავის გამოდება); ბ) არამკითხე მოამბეობა (მეტიჩრობა, სხვის ცხოვრებაში დაუკითხავად ჩარევა). (ცხადია, რომ ამ ორი წაკითხვიდან თავად პერსონაჟისათვის მხოლოდ პირველი მნიშვნელობს — ქალის პატივისცემა, ღირსება, ზოგადად, მაღალი ეთიკური სტანდარტი (ამ ვერსიას ადას-

ტურებს ახალგაზრდა კაცის ბოლო სურვილიც: „თვითონ ამოიღო უბიდან გენერლის სავიზიტო ბარათი, მუხლთან და-იდო, აკანკალებული ხელით დაწერა: „ძვირფასო ნიკ! ყველა-ფერი წესის ფარგლებში მოხდა. ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, არ დაისაჯოს გენ...“ ხელი დაუდუნდა, ძირს ჩამოუვარდა“). მეორე წაკითხვა ნიპილისტი მკითხველის დამატებაა, რო-მელსაც არ ესმის, რატომ ამწვავებს ვითარებას პერსონაჟი და, მიუხედავად მეტოქის — გენერლის — გაფრთხილებისა, რატომ ეძებს სიკვდილს ასე მონდომებით (ამ ვერსიას ამყა-რებს დრამატიზმით აღსავსე მუნჯი სცენა: ვიტგენშტეინის ცხედართან, „დარბაზში უძრავად“ მდგომი გაოგნებული და თავზარდაცემული გენერალი, რომელსაც „ტყვიით გახვრე-ტილი ქუდი ორივე ხელით ეჭირა წინ“).

ასე თუ ისე, ერთი თუ მეორე ვერსიით, ვიტგენშტეინი კვდება: „ვიტგენშტეინი შეტორტმანდა, მარცხენა ხელი მკერდზე მიიკრა, დავარდა, მაგრამ არ წაქცეულა, მუხლებზე დადგა. მუხლებზე მდგარმავე ასწია დამბაჩა. გენერალმა თავი აიღო, თითქოს ცას მიაჩერდა. ვიტგენშტეინმა ესრო-ლა. გენერალს ქუდი გადაუვარდა. **ვიტგენშტეინი იდაყვებით ჩაემხო თოვლში. / — მოჰკლეს! მოჰკლეს! — იძახდნენ ვიდაცეები.**“

ვიტგენშტეინი კვდება, მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ტექსტი აქ არ მთავრდება! სიუჟეტის ფინალის ბედს წყვეტს არა ვიტგენშტეინისა და გენერლის დუელი, როგორც კვანძის გახსნის ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი, არამედ — მწერლის ქალიშვილის მიერ შემოთავაზებული ახალი გამო-სავალი: უნებლიერ შეკითხვა. ქალიშვილის შეკითხვის ორივე კომპონენტი — **დამბაჩა/ყვავები** — ნოველის ძირითადი ტექსტიდან გადმოდის ფინალურ კონტექსტში („გენერალმა დამბაჩა ნელა დაუშვა ძირს და ისროლა. ხეებზე ყვავები აფათქუნდნენ, აჩხავლდნენ“), რომელიც არც ერთი სხვა ნიშნით აღარ ენათესავება ძირითად ტექსტს.

შეკითხვა — „ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“ — ერთი მხრივ, ამართლებს ნოველის კლასიკურ კომპოზიციურ ჩარჩოს: სახეზეა გარკვეული ემოციებით დატვირთული მკითხველის გაოცება (თუ გაოგნება არა). მაგრამ, მეორე მხრივ, შეკითხვა, შესაძლოა, ნაკარნახევი იყოს ინტერპრეტაციული დილემით: ნოველაში გადმოცემული ამბის მნიშვნელოსმიერი ინტერპრეტაციის შეუძლებლობით — მნერალი ვერ ადგენს (თუ ვერ ირჩევს) ვიტგენშტეინის სიკვდილის მოტივაციის სწორ ვერსიას და ფინალური შეკითხვით თავს აღწევს ამ დილემას. შედეგად, ნოველის მთავარი მოლოდინი აღარ არის პერსონაჟის სიკვდილი ან არ სიკვდილი, არამედ — მისი შეფასების შეუძლებლობა. მსგავსი ფინალი მხოლოდ ნოველის ჟანრის კლასიკოსის პრივილეგიაა.

„ეგ იყოდა ეგ“:

ვინ იცის, ეგებ მომავალში, რომელიმე დაკვირვებული რეჟისორი (სავარაუდოდ, ახალგაზრდა) სულ სხვაგვარად დაამონტაჟებს ამ ნოველის ფრაგმენტებს — რაღაცას წინ გადაახვევს, რაღაცას უკან დააბრუნებს, დასვამს პროვოკაციულ შეკითხვებს... მთავარი კი ისაა, რომ ტექსტი ყველაფერს გაუძლებს — ინანიშვილი ხომ ყვება და ადუღაბებს, ყვება და ადუღაბებს... უმაღლეს ღირებულებებს.

დამოწმებანი:

ეიხენბაუმი: ეйхენბაუმ ბ. *Теория «формального метода»* // http://www.opojaz.ru/method/method_intro.htm

ქადონი 1999: Cudon, J. A. (revised by C.E.Preston) *Dictionary of Literary Terms and Literary Theory*. Penguin Books, 1999.

ორი ეტიუდი რევაზ ინანიშვილზე

ორი ფინალი

მე, ალბათ, ვერასოდეს ჩავწედები რევაზ ინანიშვილის პროზის მომხიბვლელობის საიდუმლოს. მრავალგზის მიცდია ეს, მაგრამ უშედეგოდ. წინამდებარე წერილი მორიგი წარუმატებელი მცდელობაა, და თუ მაინც ვაქვეყნებ მას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, ჩემი აზრით, ერთ საგულისხმო დაკვირვებას შეიცავს.

* * *

„საღამო ხანის ჩანაწერებში“ (1971 წ.) მრავალი სევდიანი ამბავია მოთხრობილი (ამაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამავე წიგნის ბოლოსიტყვაობაში აკაკი ბაქრაძე). ერთ-ერთი მათგანის სათაურია „შავი ალაყაფი“. მასში აღნერილია ორი პატარა გოგონას მამის ვიზიტი ექიმ-ონკოლოგთან და მისი ფიქრები, განცდები და ქმედებანი, როცა იქიდან შინ ბრუნდება დანაღვლიანებულ-შეფიქრიანებული (ექიმმა გული გაუკეთა, გაამხნევა და... ოპერაციის გაკეთება ურჩია). ფინალი გულსაკლავია: „ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოს უკანა ეზოს შავ ალაყაფთან, წელში მოხრილი მოხუცი ქალის წინ, ორი პატარა გოგონა იდგა და ტიროდა. ალაყაფში საბარგო მანქანა გამოდიოდა. ზედ ნახმარი კუბო იდო, აქეთ-იქიდან ორი მოღუმული მამაკაცი ამოსდგომოდა. გოგონებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იმ კუბოში მათი საყვარელი მამიკო იწვა“.

ეს პატარა მოთხრობა (ისევე, როგორც თითქმის ყველა-ფერი, რაც რევაზ ინანიშვილის ხელიდან გამოსულა) წარუშ-

ლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ამის მიზეზი, ცხადია, ის არის, რომ მკითხველს ძლიერი თანაგანცდა უჩნდება პერსონაჟის მიმართ; ისიც ნათელია, ეს თანაგანცდა მწერლის მიერ ადამიანთა ბუნების ღრმა ცოდნას რომ ეფუძნება; ხოლო საკუთრივ მწერლური ნიჭი და ოსტატობა კი იმაში მდგომარეობს, რომ პერსონაჟის სულის მოძრაობა უზუსტესი სიტყვებით არის მოტანილი ჩვენამდე.

მაგრამ ამის თქმა ბევრს არაფერს ნიშნავს — ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას ეს ყოველივე რომ უნდა ახასიათებდეს, ოდითგანვე ცნობილია; სპეციფიკურზე, ინდივიდუალურზე, განუმეორებელზე მწერლის შემოქმედებაში ეს ზოგადი ღირსებები ვერაფერს გვეტყვის, რევაზ ინანიშვილი კი უაღრესად თვითმყოფადი ტალანტია.

თეატრის ხალხს პროფესიულ უარგონში ერთი ასეთი სიტყვა აქვს — „შეფასება“. — შეაფასე პარტნიორის რეპლიკა (ან ქმედება), — ეტყვის რეპეტიციაზე რეჟისორი მსახიობს და ამით მისგან ადეკვატურ უესტსა და მიმიკას მოითხოვს, ადეკვატურს, ანუ — არამარტო შექმნილი ვითარებიდან, არამედ (და ეს უმთავრესია!) პერსონაჟის ბუნებიდან გამომდინარესაც ამავდროულად.

ამგვარი „შეფასებისას“ რევაზ ინანიშვილის პერსონაჟებს არაფერი ეშლებათ. საიდან ვიცით ეს? იქიდან, რომ კითხვისას მიღებული შთაბეჭდილება არის მთლიანი, გაუბზარავი, რაც იმის ნიშანია, რომ პერსონაჟთა ქმედება, როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, მართალია, ფსიქოლოგიური სიმართლით არის შეთხზული.

მაგრამ „მართალი“ ამ შემთხვევაში ერთადერთსაც ნიშნავს? განვმარტავ, რას ვგულისხმობ:

ჩვენი მოთხრობის პერსონაჟს, დადარდიანებული რომ მიუყვება გზას, უეცრად სიკეთის, თუნდაც სულ მცირე სიკეთის გაკეთების სურვილი მოეძალა და ორ უცნობ პატარა გოგონას ბლომად არაქისი უყიდა (მას შემდეგ, რაც ერთმა

მათგანმა გამყიდველისაგან შეუმჩნევლად ამოიღო კალათი-დან რამდენიმე ცალი, მაგრამ ვიღაც ქალბატონმა უკანვე ჩააყრევინა). გოგონებმა იუკადრისეს უცნობისაგან ასეთი ყურადღება და, ცოტა რომ გაიარეს, ერთ-ერთმა ნაჩუქარი არაქისი მის დასანახად გადაუძახა სანავვეში.

გოგონების ეს რეაქცია მთავარი პერსონაჟის ქმედების ერთადერთი მხატვრულად სწორი „შეფასებაა“? კითხვისას გიჩნდებათ ილუზია, რომ შექმნილ ვითარებაში ერთადერთი მხატვრულად გამართლებული განვითარება ამბისა სწორედ ის არის, რასაც ინანიშვილის პერსონაჟები აკეთებენ ან რაც ინანიშვილის პერსონაჟებს ემართებათ. ამ ილუზის შექნის ჯადოსნური უნარი აქვს მას. სინამდვილეში ეს ხომ არ შეიძლება ასე იყოს! გოგონას არაქისი რომ არ გადაეყარა, მოთხრობა აღარ დაიწერებოდა? ან სუსტი მოთხრობა გამოვიდოდა?

ბევრი დიდი მწერლისგან განსხვავებით, რევაზ ინანიშვილისთვის ამბავი და ამბის განვითარება როდია მთავარი, მთავარია რაღაც სხვა, იდუმალი და მოუხელთებელი. ასეთ შემოქმედზე ამბობენ, რასაც მისი ხელი შეეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევაო.

შეიძლებოდა თუ არა ეს მოთხრობა „ჰეფი ენდით“ დამთავრებულიყო? შეიძლებოდა თუ არა პერსონაჟი ჯანმრთელი დაბრუნებოდა ოჯახს? ვიცი, ამის წარმოდგენისას მხატვრული ლიტერატურის გემოვნებიან დამფასებელს ტანში გააურიალებს, მაგრამ ჩვენ რევაზ ინანიშვილთან გვაქვს საქმე, მისთვის კი ამ თვალსაზრისით შეუძლებელი არაფერია. თითქოს ამის დასტურად დაუწერია მას არაჩვეულებრივი მოთხრობა, რომელსაც „ძალიან უბრალო სიმღერა“ ჰქვია (კრებულში „მთვარის ასული“, 1987 წ.).

აქ ონკოლოგს ამჯერად ქალი მიაკითხავს (ორი პატარა ბიჭის დედა), იღლიაში თხილისოდენა სიმსივნით, რომელიც კეთილთვისებიანი აღმოჩნდება. მოთხრობის ბოლოს ვკი-

თხულობთ (ქმარი ჰესენი): „მოვდიოდით მთლად მოულოდნელად დასაჩუქრებულებივით, წინწამოხრილნი, გამოჩეარებულნი, თითქოს მოშიშარნი, რომ ის საჩუქარი უკან არ გამოერთია ვინმეს. გვიხაროდა, რომ ისევ ერთად, წყვილად მივადგამდით ნაბიჯებს“.

მაშასადამე, ყბადალებული „ჰეფი ენდი“?

სწორედაც! მაგრამ არათუ დახვენილი გემოვნების შეურაცხმყოფელი, არამედ დრამატული განცდებით გაჯერებული მოთხრობის ღირსეულად დამაგვირგვინებელი ფინალი.

ერთი და იგივე ამბავი ჯერ ტრაგიკულად დაასრულო, მერე კი ბედნიერად და ორივე შედევრი გამოდგეს — ამაზე მეტი ჯადოქრობა რაღა უნდა იყოს მწერლობაში!

* * *

ისე აქვს სახელი გატეხილი ბედნიერ დასასრულს, რომ ვიცი, არცთუ ადვილი დასაჯერებელია, რაც ამ „ჰეფი ენდი“ მოთხრობის მხატვრული ღირსებების შესახებ ვთქვი. ამიტომ რევაზ ინანიშვილის მწერლურ ჯადოქრობაში დასარწმუნებლად გთხოვთ წაიკითხოთ მარტო, აი, ეს ნაწყვეტი მოთხრობიდან, მე კი განზე გავდგები და სიტყვასაც აღარ დავძრავ:

„გოლდინის ასისტენტმა თინა წინ გაუშვა და თვითონაც შეჰვევა. გოლდინი პატარა ტანის მოხუცი აღმოჩნდა. თეთრი ესპანური წვერი ჰქონდა, მაგიდაზე დახრილი რაღაცას წერდა. ამოიხედა. ასისტენტმა კინოკადრებივით ჩაგრძელებული სურათები მიაწოდა. გოლდინმა ერთი შეხედა თინას და მერე სურათებს ჩააცქერდა. ასისტენტი სურათზე თითს უდებდა და ლათინურ რაღაცებს ეუბნებოდა, გოლდინი თავს უქნევდა და ტუჩებს ბუსხავდა. — რამდენი წლისა ხართ? — ჰკითხა გოლდინმა თინას. თინამ უთხრა, რომ ოცდათვრამეტი წლისა იყო. — შვილი რამდენი გყავთ? — ორი. — გოლდინი თინას მიაცქერდა, — რატომ ხუთი არა, რატომ ექვსი არა,

შვიდი?! — თინას კბილების კანკანი აუტყდა. გოლდინმა სურათები ასისტენტს დაუბრუნა, — თავისუფლები ხართო, — და წერა განაგრძო. ასისტენტს გაელიმა, თინას თავის გადაქნევით ანიშნა, — წავიდეთო. კართან მისულებს გოლდინის ხმა მოესმათ, — თქვენს ამხანაგებსაც გადაეცით, თუ უნდათ, რომ ეგრე არ იკანკალონ იმათაც, ბევრი შვილები იყოლიონ — ექვსი, რვა, ათი, გესმით?! — თინამ დამფრთხალმა მიიხედა და გამოლებულ კარს როგორლაც ცუდად შეეჯახა. გოლდინი წამოხტა, მოირბინა. — გეტკინათ? — შესცექეროდა თინას შეწუხებული. თინას თან ცრემლი მოსდიოდა, თან იღიმებოდა. — სიცილი გიხდებათ! რაც შეიძლება ბევრი უნდა იცინოთ ცხოვრებაში! და კიდევ — მოერიდეთ ამოდენა მანძილებზე ფრენას ოჯახის პატრონი ქალებიო. — გოლდინი თავის მაგიდისკენ წავიდა. იცინოდა მისი ასისტენტიც...“.

„ჯარგვალეს“ გამო

ერთი უცნაური ნაწარმოები აქვს რევაზ ინანიშვილს — „ჯარგვალე“, რომელსაც ვერც ნოველას ვუწოდებ და ვერც მოთხოვბას, თუმცა ნოველებისა და მოთხოვბების კრებულშია შეტანილი („სალამო ხანის ჩანაწერები“, 1971). უფრო ესეის ჰქონდა, მაგრამ წმინდა წყლის ესეი ეს, ცხადია, არ არის. იგი ასე იწყება:

„გადაშლილი მაქვს ეგნატე ნინოშვილის ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის უკვე გაყვითლებული მესამე ტომი და სიტყვასიტყვით ვიწერ ესმა თოთიბაძის მოგონებას“.

თავის ამ ქმედებას მწერალი „ჩვენი დროისათვის უცნაურ საქციელს“ უწოდებს და მის ასახსნელად ასეთ მოტივაციას გვთავაზობს:

„სტრიქონები, რომლებსაც მე ამ წიგნიდან ვიწერ, ყრუ, განმნენდელ ტკივილებად შემოდის ჩემში. მინდა ასეთი ყოფნა გაგრძელდეს რაც შეიძლება დიდხანს, მინდა ხელები გავშალო, მივაწვდინო სხვებს და ეს ტკივილები ელექტრო-დენივით გადავცე მათაც“.

მოკლე ექპოზიციიდან საგულისხმოა ავტორის ეს განცხა-დებაც: „რა ხასიათის ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქ-მე (თავის ამ ქმედებას — გადაწერას — გულისხმობს), მე ეს არ მადარდებს, ამ კატეგორიების დამდგენთა წინაშე მე შე-მიძლია ძალიან გულმშვიდად წარვდგე“.

ამას მოსდევს უბრალო სოფლელი ქალის, ესმა თოთიბა-ძის, მოგონება ეგნატე ნინოშვილზე, რომელიც მოცულობით სამჯერ დიდია, ვიდრე ავტორისეული შესავალი და ფინალი ერთად აღებული.

მოკლედ, „ჯარგვალეს“ არქიტექტონიკა ასეთია: ავტორის ოცსტრიქონიანი შესავალი, რვასტრიქონიანი ფინალი და ამათ შორის ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა მესამე ტომი-დან თავიდან ბოლომდე გადმოწერილი მოგონება ეგნატეზე.

ეს მოგონება, რომელსაც რევაზ ინანიშვილი ამ უცნაური თხზულების შესაქმნელად წაუქეზებია, თავის მხრივ ნაივუ-რი პროზის ჩინებული ნიმუში გახლავთ (შეგახსენებთ: ნა-ივური პროზა, რომლის მიმართ ჩვენს ეპოქაში ძალიან გა-იზარდა ინტერესი, ეს არის არაპროფესიონალი ავტორის თხზულება, რომელშიც გულწრფელად, მართლად, შეულამა-ზებლად და, ცხადია, სტილისტიკურად დაუხვენავი ფორმით გადმოცემულია მკითხველთა ფართო წრისთვის საინტერე-სო ფაქტი ან მოვლენა). ნაივური პროზის ჭაშნიკად წავიკი-თხოთ ნაწყვეტი ამ მოგონებიდან:

„არც ფეხსაცმელი ჰქონდა (ეგნატეს. — ლ. ბ.). ერთი წე-ვიდა შინ და შინაურებს ქალამანი შიეკერენ მისდა. ზამთარში ფეხშიშველი ჩამევიდა, ქალამანი ხელით ჩამეიტანა, გზაზე დაგჯებოდაო.

რაც გიეწყობოდა, სუფთა ბიჭი იყო საწყალი. გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როიცხა ძაან სიცივე არ იყო, წევიდოდა ნატანების წყლის პირზე, გეიხთიდა ტანზე, გარეცხვიდა ყველაფერს და ტანსაც დეიბანდა. საქამდე ტანისამოსი შეშრებოდა, მიიმალებოდა ჟვეროში და წიგნს კითხულობდა. ჩეიცვამდა მერე ნახევრათ მშრალს და მევიდოდა შინ...

წიგნსავით ეგნატეს არაფერი არ უყვარდა.... ღამე შვალა-მემდი კითხულობდა, დღეი მეიმზადებდა ფიჩხებს და იმით ინათებდა სინათლეს, რის გამო ხშირათ თმაიც კი ქონდა შერუჯული. აბრიალდებოდა ფიჩხის ცეცხლი. წეიკითხავდა ცოტას და ჩოუქრობოდა. კიდომ შეურთავდა ფიჩხს და ამასობაში წაკითხულს მოყობოდა, რაც ბევჯელ გამიგონია, რომ დამიტანებია ყური იქითკენ მიმავალს... სახლიდანაც რომ გევიხედვიდით, განათლდებოდა მისი ჯარგვალე უცბათ და დაბნელდებოდა. კი ჩანდა, ნუ გეშინია, დალრიოვებულ კედლებიდან. კიდომ განათლდებოდა და მიბნელდებოდა, ასე იყო ზამთარშიც...“.

ჩვენ უკვე გავეცანით ავტორის განცხადებას: „რა ხასიათის ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქმე, მე ეს არ მადარდებს...“.

მაინც, რა ხასიათის ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქმე რევაზ ინანიშვილის ამ ტექსტის სახით?

ჩვენ წინაშეა ტიპური პოსტმოდერნისტული ოპუსი. მასში გამოყენებულია პოსტმოდერნისტთა საყვარელი ლიტერატურული ხერხი — უკვე არსებულ ტექსტთა „მოხმარება“ საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის. მაგრამ რევაზ ინანიშვილზე შორს ამ ხერხის გამოყენებისას, მგონი, არცერთი ნაფიცი პოსტმოდერნისტი არ წასულა — რევაზ ინანიშვილმა თავიდან ბოლომდე გადაწერა არსებული ტექსტი და მისთვის თავსა და ბოლოში მცირე კომენტარების დართვით ახალი მხატვრული ღირებულება შექმნა.

და ბარემ ფინალიც წავიკითხოთ — ტიპური პოსტმოდერნისტული ფინალი:

„ეგნატე ნინოშვილი ოცდათოთხმეტი წლის გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით. სოფელში კუბოსთვის ფიც-რები ვერ იშოვეს, მთლიანი მორი ამოგულეს, შიგ ჩაასვენეს და ისე დამარხეს. მის კალამს ეკუთვნის: „პალიასტომის ტბა“, „ჯანყი გურიაში“, „გოგია უიშვილი“, „ქრისტინე“, „სიმონა“, „პარტაზი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა მოთხოვნები“.

სულ ბოლო ფრაზით კი უშუალოდ მიმართავს მკითხველს:

„თუმცა, სულ დამავიწყდა მეკითხა, გიყვართ, საერთოდ, მოთხოვნები თუ არა?“.

ამ უცნაურად ჭკვიანური და ოდნავ ნაღვლიანი ირონიით შეფერილი დამაგვირგვინებელი ფრაზის წყალობით ეს უჩვეულო ტექსტი ერთბაშად იქცა ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებად.

„ჯარგვალეში“ გამოყენებულმა მხატვრულმა ხერხმა შეიძლება ხორხე ლუის ბორხესის „პიერ მენარი, ავტორი „დონ კიხოტისა“ გაგვახსენოს. მაგრამ მსგავსება მათ შორის მხოლოდ გარეგნულია, ზედაპირული — არგენტინელი მწერლის ამ პოსტმოდერნისტულ შედევრს სულ სხვა მხატვრული იდეა უდევს საფუძვლად. ბორხესის გამოგონილი პერსონაჟი გადაწერს სერვანტესის „დონ კიხოტს“ და ამტკიცებს, რომ თუ ცნობილ ტექსტს სხვა ავტორის, სხვა ბიოგრაფიის მქონე ადამიანის სახელს მოვაწერთ და სხვა ეპოქაში შექმნილად გავასაღებთ, ის სხვაგვარად წაიკითხება, სულ სხვა ნაწარმოებად გადაიქცევა, სხვა იქნება მისი მხატვრული იდეა.

„ჯარგვალეს“ ასეთი ექსტრავაგანტური მხატვრული იდეა არ უდევს საფუძვლად, თუმცა მისი იდეაც ერთობ ორიგინალურია, რაც კარგად ჩანს ექსპოზიციის ამ ფრაზიდან: „მგონია, ამით (ეგნატე ნინოშვილზე მოგონების გადაწერით. — ლ. ბ.) ნაწილობრივ მაინც მოვიხდით სასჯელს, რაიც გვეკუთვნის დიდი, პატიოსანი ადამიანების წამებული სულების

ნინაშე თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი გულგრილობის გამო“.

„ჯარგვალემ“ თავის დროზე ოტია პაჭკორიას ყურადღებაც მიიპყრო. კრიტიკოსი მასზე ლაპარაკობს რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში „ოსტატი“. აქ ასეა დახასიათებული „ჯარგვალეს“ თავისებურებანი:

„რ. ინანიშვილმა (ესმა თოთიბაძის მოგონებას) წინ დაურთო უფრო პუბლიცისტიკის, ვიდრე პელეტრისტიკის, ნიმუში და ყველივე ამის სინთეზმა (ქალის მონათხრობი, ავტორისეული დანართი, დასკვნა — უაღრესად საინტერესო რიტორიკული რემარკა — „თუმცა, სულ დამავიწყდა მეკითხა, გიყვართ, საერთოდ, მოთხრობები თუ არა?“) მოგვცა **თავისებური** მოთხრობა, რომლის ზემოქმედების ძალა საკმაოდ მნიშვნელოვანია და ნათელი მოქალაქეობრივი პოზიცია და ეთიკური მრწამსი ახასიათებს“.

ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ:

„ავტორს მაინც „ადარდებს“ მოთხრობის **უჩვეულო** ფორმა და „ლიტერატურული ფაქტის“ რაობა...“ (ხაზგასმა ორივე ციტატაში ჩვენია. — ლ. ბ.).

რევაზ ინანიშვილის ამ „ლიტერატურული ფაქტის“ რაობა, მისი თავისებურება, მისი ფორმის უჩვეულობა პოსტმოდერნისტული წერის მანერის **თავისებურებითა** და **უჩვეულობითა** აისნება.

და კიდევ: „ჯარგვალე“ ეგნატე ნინოშვილის თვითმყოფადი შემოქმედების ახლებურად გააზრებისთვისაც განგვაწყობს...

ემზარ კვიტაიშვილი

ზოგი რამ უფროს მეგობარზე

არაერთხელ გამომიხატავს აღფრთოვანება რევაზ ინანიშვილის მოთხობებისა და ჩანაწერების გამო და შემიძლია ვთქვა — ყოველივე ეს (წერილი, დღიური, მოგონება, ლექსი) მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს წარუშლელ შთაბეჭდილებებს, რაც ჩემზე, სხვადასხვა დროს, სიტყვის ამ უაღრესად თავისებურ დიდოსტატს მოუხდენია. ბევრჯერ მომიწურავს თვალთაგან ცრემლი მისი კითხვისას და ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მწერლის ლვთიური მადლით ცხებული ნიჭია.

რეზო უნივერსიტეტში სწავლის დროს, სამოციანი წლების დამდეგს გავიცანი და მალე კიდევაც დავმეგობრდით. სტუდენტობის დროსვე, ლიტერატურულ წრეზე ლექსები წამაკითხეს (იგი მარჯვედ ხატავდა სახეებსა და მიმზიდველ სოფლურ პეიზაჟებს) და იმ დღეს თაბახის თეთრ ფურცელზე დავეხატე, გამხდარი, შავპიჯაკიანი. განხილვის მერე გაღიმებულმა გადმომცა, სამახსოვროდ გქონდესო. მადლობა გადავუხადე, სახლშიც წავიღე ის ნახატი, მაგრამ, ჩემი მოუწერიგებელი ყოფის გამო, საიმედოდ ვერ შევინახე და დავკარგე. ასეთი რამ სხვა დროსაც დამმართნია.

უზომოდ გამიხარდა, როცა წლების შემდგომ, კანდელაკის № 65-ში, ჩემთვის ორმა უსაყვარლესმა ადამიანმა — რევაზ ინანიშვილმა და გივი გეგეჭკორმა, ერთმანეთის გვერდიგვერდ მიიღო ბინა. მათთან სტუმრობა ნამდვილი ნეტარება იყო. საათობით ვისხედით, რაზე აღარ გვისაუბრია. ბევრჯერ შემისვამს რეზოს დაწურული ხაშმური საფერავი და გივის გამოხდილი სურნელოვანი ჭანჭურის არაყი. გივი ხშირად მეუბნებოდა — რა ბედნიერებაა, როცა სართულზე რეზო ინანიშვილისთანა კაცი გყავსო (ორი საუკეთესო ლექსი უძღვნა „კარის მეზობელს“).

ახლა მწარე ნაღველი მეძალება, რომ ისინი ერთად განისვენებენ დიდუბის მდუმარ სავანეში.

სწორედ კანდელაკის ქუჩაზე ცხოვრებისას ედგა რეზო ინანიშვილს შემოქმედებითი სიმწიფის ჟამი და ზედიზედ ქმნიდა თავის პატარ-პატარა, ცინცხალ შედევრებს. „ცისკარს“ ჯანსულ ჩარკვიანი რედაქტორობდა, მისი კურსის მეგობარი, მე პროზის განყოფილება მებარა, გივიც იქვე პოეზიის გამგე იყო და მასზე უკეთესს ვის ვიპოვნიდით, რომ რეზოს მოთხრობები მოგვეპოვებინა. გივის შეხსენება არ სჭირდებოდა, პირველი ის კითხულობდა „კარის მეზობლის“ ნახელავს და მეორე დღესვე გახარებული გამოაქანებდა რედაქტიაში. „ცისკრის“ ნომრებში თანმიმდევრობით დაიბეჭდა — „დათია და გოგია“, „განთავისუფლებული წყალი“, „ჩვენი ფურდედო მაისო“, „დედა მარიამი“, „შორი თეთრი მწვერვალი“, „შავი ალაყაფი“, „სიკვდილი ბარბარე ბადიაურისა“, „ჯარგვალე“, „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მალე წიგნად შეიკრა მთელი ციკლი, სათაურიც შესაფერისი შეურჩია ავტორმა („საღამო ხანის ჩანაწერები“) და გამომცემლობა „ნაკადულიდან“ გამოუგზავნეს „ცისკრის“ პასუხისმგებელ მდივანს, დიდად განათლებულ, დახვენილი გემოვნების მწერალსა და კრიტიკოსს ოტია პაჭკორიას — წაიკითხეთ და ბოლოსიტყვაობა დაურთეთო.

ოტიამ შინ წაიღო საქაღალდე, დილით მოიტანა, მაგიდაზე დადო და გვითხრა — მე ამ წიგნზე, ძმებო, ვერაფერს დავწერ, გამომცემლობას უკანვე უნდა დავუბრუნო. გაგვიკვირდა, შევეკითხეთ რა არ მოეწონა. მომენტია კი არა ვერ მოწყდი, ღამე გავათენე, მაგრამ ასეთი უცნაური ხასიათი მაქვს — როცა ვინმეს წიგნზე რამეს ვწერ, ყოველთვის ვცდილობ, ავტორს ვაჯობო. რევაზ ინანიშვილის ამ კრებულზე კი ამას ვერ შევძლებო. მერე დაატანა — სხვებზე რომ არაფერი ვთქვა, მარტო ეგნატე ნინოშვილზე დაწერილი „ჯარგვალე“ — ლიტერატურული აპლიკაციის უბრნყინვალესი მაგალითი

— იკმარებს, მისი დიდი, განსაკუთრებული ნიჭიერება რომ იწამო.

ის საქალალდე ასევე სახელგანთქმულ, პირდაპირობით ცნობილ კრიტიკოსს, აკაკი ბაქრაძეს გადაუგზავნეს. იგი წუ- თითაც არ შეყოვნებულა, რეზო ინანიშვილის ჯობნა ფიქ- რშიც არ გაუვლია და სასწრაფოდ, ორიოდე დღეში დაწერა მშვენიერი, სადა წერილი „სულის პური“, უმაღ იგრძნო ავ- ტორის „პუნებრიობა და უშუალობა“, მკითხველისკენ ალა- ლად დაულოცა გზა „საღამო ხანის ჩანაწერებს“, რომლებ- საც ისეთივე გამორჩეული ადგილი უკავია რევაზ ინანიშვი- ლის შემოქმედებაში, როგორც გალაკტიონის პოეზიაში — „არტისტულ ყვავილებს.“

ჩვენი საამაყო მხატვრის, თენგიზ მირზაშვილის მიერ უნაკლოდ, განუმეორებელი ხელწერითა და სიყვარულით გა- ფორმებული „საღამო ხანის ჩანაწერები“ 1971 წელს გამოსცა „ნაკადულმა“ (რედაქტორი გახლავთ რეზოს მწერლობისა და კაცობის თაყვანისმცემელი ლოლა ქადაგიშვილი) და ბედნი- ერად ვთვლი თავს, რომ ამ წიგნს, რომელზედაც თავად წამი- წერა ავტორმა — „ჩემი საღამოების ერთ-ერთ საამო პოეტს“ — საგანგებო ადგილას ვინახავ. რომელ გვერდზედაც არ უნდა გადაშალო, სასწაულებრივი, სხვებისგან შეუმჩნეველი სილამაზე შემოგეფეთება. როგორ არ შეგეცვლება და გაგი- ნათდება გუნება და იმწამსვე არ გადასახლდები სრულიად სხვა სამყაროში, როცა უცებედად, ასეთ ფრაზას წაიკითხავ: „დიდი ტყიდან მომავალი მოწყენილი ურემი“... წამიერად და- ვაკვირდეთ რანაირი, ყველაფრის შემსრუტავი თვალი აქვს, როგორ ხატავს გარემოს, სადაც უნდა შეგვიძლვეს: „ტალახი აქ გამხვალ საპონს ჰეგავდა, შიშველი ფეხები შემაზრზენი სიმსუბუქით ჩადიოდა შიგ, ჰაერი სქელი იყო — კვერცხის ცილასავით, ოღონდ უფრო ლურჯი, და ისე ირხეოდა, რო- გორც მედუზა პორტის ნავთობიან წყალში“. ასეთი მაგალი- თები კი აურაცხელია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რევაზ

ინანიშვილის პროზის ენა, პოეტიკა, გულმოდგინედ უნდა იქნეს შესწავლილი.

მახსოვს, რეზოსთან ერთად, კინოთეატრ „აპოლოში“ ვნახებ სახელოვანი იაპონელი რეჟისორის კუროსავას არცთუ იოლად საყურებელი ფილმი „შიშველი კუნძული“, არსებობისთვის უკაცრიელ სამოსახლოსთან, გავეშებულ სტიქიონურ ძალებთან ადამიანის უშეღავათო ბრძოლა. ვუმზერდით, ოფლში გაწურული გლეხკაცი, ცოლთან ერთად, როგორ ცდილობდა თითქმის კლდოვან ადგილზე უმნეო, სუსტი ჩითილის გახარებას და სიმბოლოდ ქცეულმა ამ დრამატულმა ეპიზოდმა ორივენი ძირფესვიანად შეგვძრა. რეზო თავადაც მეურნე კაცი, გაოგნებული გამოვიდა დარბაზიდან, სახეს ნაჯაფარი ხელებით ისრესდა, ასეთი ზემოქმედება ჩემზე კარგა ხანია, არაფერს მოუხდენიაო, ჩაილაპარაკა.

რევაზ ინანიშვილს, გიორგი ლეონიძის მხარდამხარ (მხოლოდ მას შეეძლო დაეწერა „ნატვრის ხის“ იდეალური სცენარი) ვაჟა-ფშაველას თავანკარა პროზის პირდაპირ მემკვიდრეს, ბუნების ცოდნა არავისგან ესწავლებოდა და მე მუდამ განცვიფრებული ვიყავი, საიდან იცოდა ამდენი მცენარის, ბალახის, ფრინველისა თუ ცხოველის სახელები. ერთხელ მითხრა — ვერ ნარმოიდგენ, როგორ გავწვალდი, სკვინჩას მოძრაობა რომ გადმომეცა, როცა იგი ფრენისას ფრთებს კუმშავს, წურავს და თან ნაღვლიანად, წყვეტილ-წყვეტილ ბგერებს გამოსცემსო.

რომელილაც მისი მოთხრობა სტამბაში უნდა გაეგზავნათ ასაწყობად და მორიდებულად ვუთხარი: რეზო, აქ გინერია „თრევით მიჰქონდა“. ხომ არ აჯობებდა, ქართულის თვალსაზრისით და მოქმედების ხანგრძლივობის გამოსახატავადაც, „თრევა-თრევით“ იყოს-მეთქი. უყოყმანოდ დამეთანხმა და ჩაასწორა. ეს, რა თქმა უნდა, შენიშვნა არ ყოფილა. საერთოდაც, რეზო ინანიშვილს იოლად ვერაფერზე დაიყოლიებდი. იმავე „ცისკარში“ პოეზიაზე დაწერილი რამდენიმეგვერ-

დიანი თავისი შეხედულება როცა მოიტანა (მე ვთხოვე, საან-კეტო კითხვები გადავეცი), ბოლოში ნათქვამი ჰქონდა, რომ სიყმაწვილეში უსახურ, ურითმო, თავისუფალ ლექსებს წერ-და და სანიმუშოდ ერთი მათგანი, საკმაოდ გაჭიანურებული, იქვე იყო მოყოლებული. მე გადავწყვიტე ლექსი შემეკვეცა, რადგან ყველაფერი ისედაც გასაგები იქნებოდა. გივიმ გა-მაფრთხილა, ნუ გააკეთებ ასეთ რამეს, ენყინებაო. მართლაც დავურეკე და შეუვალი კილოთი მითხრა — ხელი არ ახლო, როგორც არის ისე დატოვე.

თავისი სულისკვეთებით, ფრაზის სიმსუბუქითა და გამ-ჭვირვალობით, ნახევარტონებით, სტილის სიფაქიზით რევაზ ინანიშვილი ყველაზე მეტად ქართველი მწერლებიდან, ნიკო ლორთქიფანიძეს ჰგავდა და შემთხვევითი არ არის, ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას — „სიკვდილი ბარბალე ბადი-აურისა“ — ეპიგრაფიად რომ წააწერა: „ვუძღვნი ნ. ლორთქი-ფანიძის თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას“, მოთხრობის პერსონაჟი რეალურ პიროვნებად მიაჩნია. სავსებით მართა-ლი იყო აკაკი ბაქრაძე, როცა აღნიშნავდა, ამ მიძღვნაში ფა-მილარობის, ლიტერატურული კეკლუცობის ნატამალიც არ ჩანსო.

თუ რა ძალისა და მასშტაბის მხატვარია რეზო ინანიშ-ვილი, ამის ნათელსაყოფად ორიოდე სახელდახელო მაგა-ლითს მოვიხილავ. ერთია დოკუმენტურ სიზუსტეზე დამყა-რებული (ამ ნაცად ხერხს იგი ხშირად და მუდამ წარმატებით იყენებს) მცირე მოთხრობა „პანი“, გასაოცარი ცხოველმყო-ფობით, რომ წარმოგვიდგენს გალაკტიონ ტაბიძის ღვთაებ-რივ, მოკვდავთათვის ძნელად მისაწვდომ ბუნებას. ხელმოკ-ლე მწერალს, ავადმყოფი ბავშვის გამოსაჯანმრთელებლად, წაკლებად პრესტიულ ქვემო წყნებში (თარიღიც მითითე-ბულია — 1957 წლის ივლისი) ლარიბული ოთახი უქირავებია. რადგანაც იქ არავითარი პირობები არ გააჩნია, თვითონ მაღლა, ტყეში ადიოდა და სამუშაოდ პატარა გამოქვაბულის

მსგავსი რაღაც უპოვია. ჩამოთვლილია იმ ქვაბში დაწერილი რამდენიმე მოთხოვა „ლხინი კახელებთან“, „შენს ირგვლივ“ და სხვები. მზვერვალისკენ მიმავალს ტყის მყუდროება, ბროლივით კრიალა ჰაერის სიწმინდე, წვიმის დროსაც შენარჩუნებული სისუფთავე იზიდავდა („ტყეში ტალახი არ იყო, ტალახს ადამიანი ქმნის“). ერთ-ერთი გასეირნებისას, ტყის სილრმეში, წრედ შეკრული ქალ-ვაჟთა მცირე კრებული უნახავს, ულამაზეს გნომებად მოლანდებული და მას მერე იმათ დაეძებს, მაგრამ ვერსად პოულობს, თითქოს ისინი ცამ ჩაყლაპაო.

ბოლო ძებნისას კი, შეგულებული გამოქვაბულისკენ მიმავალი, ნამდვილ სასახლს გადაეყრება, მითოსურ ხილვად გაცხადებულს. აქ თვით მას უნდა დავუგდოთ ყური. რეზო ინანიშვილი ორ აბზაცში ამბობს იმას, რასაც სხვა ალბათ მოზრდილ ტომშიაც ვერ დაატევდა. ეს ადგილი მთლიანად ამოსაწერია. ჩვენ ხსენებული ხილვის მონაწილენი ვხდებით:

„სამაგიეროდ ამ ძებნაში წავაწყდი პანს.

ის იჯდა ჩაშავებულ ლოდთან, ჩაცუცქული, თმა-წვერ გაბურდული, ორივე ხელით ხავსს ჩაჭიდებული. თითქოს რაღაც ლოცვას ამბობდა, ნელ-ნელა აქანებდა თავს. დავაყურადე, მომესმა კიდეც რაღაც დუდუნი, რაღაც ლექსისა თუ სიმღერის უკანასკნელი აკორდი. მიმოვიხედე, მომეჩვენა, რომ ძალზე ბნელოდა, ხეებიდანაც ცვიოდა შავი წვეთები. უჩვეულო შიშმა მომიცვა, მოვბრუნდი და თითქმის გამოვიქცი, სულ წამოვედი ტყიდან.“

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩახჩახა მზეში, გავბედე და ავედი იქ, იმ შავ ლოდთან. არავინ არ იყო. მიწაზე თამაშობდნენ მზის ბრტყელ-ბრტყელი ხალები. ხელი შევახე ლოდს, დავიხარე და თვალი გავაყოლე რაღაც მახვილი საგნით (ალბათ დანის წვერით) გაკაწრულ წარწერას — გალაკტიონი.“

მოთხოვას მძაფრი სინანული აბოლოვებს. ავტორი წერს, რომ იმ დღის მერე, დარსა თუ ავდარში, ერთი სტრი-

ქონიც ველარ დაწერა. კაცმა რომ თქვას, არაფერია დასანანი — იმ მოულოდნელმა გამოცხადებამ, გონის დამბინდავმა ელდამ უმაღლეს შთაგონებას აზიარა, იმაზე უკეთესი, რაც ზემოთ მოვიტანე, რაღა უნდა დაეწერა?!

ასეთივე მაგიური ძალისა და იდუმალებით აღსავსე, ამას-თანავე უკიდურესად გამჭირვალეა მეორე, გვიანდელი მო-თხრობა „ეშმაკები“, ღმერთის საპრძანებელივით გარინდე-ბული თუშეთის ყოფას რომ წარმოგვიდგენს. უმაღ თვალწინ წამოიმართება ზვიადად აზიდული „მთები, ფიჭვნარები, სი-პით ნაშენი სახლები“..., ზღაპრული გარემო, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ფანატიკური გატაცებით ხატავდა ჩვენი განუმეორებელი თერგიზ მირზაშვილი, ვის მომნუს-ხველ პალიტრაშიც მწიფე ზღმარტლის სიმსუსე, ფიქალის სიშავე, ასკილის სინითლე, ღილილოს სილურჯე, აგრეთვე, მწვერვალებზე ახალდაგებული თოვლის სისპეტაკე ჭარბობ-და. რეზოც და ჩუბჩიკაც ფერების სინოყივრით, სითამამით, აშკარად ენათესავებოდნენ ნიკო ფიროსმანს, რაც მათ შე-მოქმედებაში, სიტყვიერსა და ფერწერულში, არაერთგან მუღავნდება.

„ეშმაკებს“ წერილის ფორმა აქვს, ლალად იკითხება. სა-ქართველოს მთიანეთში და ჩრდილო კავკასიის, უმეტესად ლეკათა აულებში წლობით ნავალი მეცნიერი ქალი, ფოლ-კლორისტი, თავის მეგობარს წერილს უგზავნის, აცნობს თუ-შეთის ჩუმ, სევდიან ცხოვრებას, სადაც პატარა გოგოებიც კი მდუმარედ სხედან და ქსოვენ, მოწყენას იქარვებენ. ერთგან ისიც ჩანს ხაზგასმული, რომ ზამთრობით, მთაში გამოკეტი-ლი თუშის ქალები, შებინდებისას, ნიადაგ სტუმრის მომლო-დინენი არიან. კინოკადრების სიცხადითა და თანმიმდევრო-ბით აღწერილია, თუ რა ხდება „საღამოობით სოფლის მო-ედანზე, ბეხვნეზე“. გვესმის მკლავის სიგანეზე გაწელილი თუშური გარმონის ხმა, სიმღერა, რასაც, დროდადრო, ცეკ-ვაც მოსდევს.

მანამდე ჩართულია ერთი პატარა ადგილი, ზღაპრის ცა-სავით კამკამა და დაუჯერებელი, წაკითხვისას შეუძლებე-ლია ტანში ურუანტელმა არ დაგიაროს: „სულ დაბლა, მაღალ ბალახებში, ტბორია, ორიოდე მეტრის სიგანე, მაგრამ ღრმა და ნმინდა, ნმინდა. შიგ ერთი დიდი, მდუმარე კალმახი ცხოვ-რობს, მოდის ხოლმე ერთი თითქოსდა იმქვეყნად გადასული დედაბერი, მიუჯდება ტბორს და პურის ნამცეცებს უყრის კალ-მახს. კალმახიც დინჯად, თითქოს ნებიერი ზმორებით ჭამს.“

და ამ სოფელს, ერთ თოვლჭყაპიან დღეს შემოეხიზნა ლეკი ქალ-ვაჟი, ალი და ფატმა: ბიჭი თვრამეტი წლისაა, გო-გო — თექვსმეტისა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ ძველებური ყაიდის უჯიათ მშობლებს შეუღლების ნება არ დაურთავთ და თუშთა სოფელს მიაშურეს.

ბეხვნეზე შეკრებილებში გამოირჩევა ეშხიანი თუში გოგო — ლელა, ვინც უკვე კარგად იცნობს ფატმას (გოგოებმა იცი-ან ერთურთის ფასი, ჯადო-თილისმა). ლელა გარმონს აუდე-რებს, ზედიზედ, მომხიბვლებლად, გულში ჩამწვდომად მღე-რის („ნეტავ ფრინველად მაქცია, შენსკენ გამოვყვე ნიავ-სა“...); ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა და მონუსხული ალი ჯი-უტად ანიშნებს, მერე სულაც აიძულებს ფატმას, მანაც იმ-ღეროს (ისიც არანაკლებ გრძნეული აღმოჩნდება). ეს არის ჩუმი, ფარული ჯიბრი ორ, ღვთის მადლით ცხებულ ნიჭს შო-რის. ჩვენ თითქოს მთვარის შუქზე აელვარებული მარგალი-ტების წკრიალი გვესმის: „მაშინ აიღო ფატმამ თავი მაღლა, დახუჭა თვალები და წამღერა, რა წაამღერა, რომ შემეძლოს გადმოცემა! სად ჰქონდა, სად იტევდა ეს ერთი ბეწო, სიფრი-ფანა გოგო იმოდენა სევდას — დის სევდას, ცოლის სევდას, დედის სევდას. როგორ ახერხებდა თექვსმეტი წლის გოგო ყოველივე ამას ბრძენი ქალის სიმშვიდითა და ყუჩი ხავერ-დოვანი ხმით თქმას!

აი, ლაპ-ლაპ-ლა-ლა ლაი...

შეწუხებული ცხენებივით ტოკავდნენ კაცები იქით.

მორჩა, თვალები გაახილა. გარმონი ღიმილითა და დაუძლურებული მკლავებით გამოსწინა წინ. — კიდევ, კიდევ. — ვეხვენებოდით ჩვენ. არაო შეიბუდა ტყაპუჭჭი.“

ყველაზე მძაფრად ლელამ შეიგრძნო იმ სიმღერის ძალა, დაუჩოქა, შუბლზე ეამბორა ფატმას, ნეტარი წუთების გამო. ახლა ისევ ლელას ჯერი დადგა, იგი თავიდან უგუნებოდაა, ამის მერე ჩემი სიმღერა რაღა იქნებაო და უწადინოდ აამოძრავებს კლავიშებზე თითებს, სადღაც შორიდან იწყებს, თანდათანობოთ შეენთება ცეცხლი, ამოსთქვამს გულის ვარამს, მოტანილია ერთი სტროფი ამ სიმღერისა:

ვაიმე, ჩემო დედაო,
რა ჯანდი მაწევს ზედაო,
ჩემი საკინძის ლილები
მადნება ზედიზედაო.

ის რაც ამ ოთხ მწუხარე სტრიქონს მოსდევს, იმდენად გამაოგნებელია, ერთიანად უნდა ამოვწერო, რათა ამ გასაოცარ მოთხოვნას სიღრმე, უნაზესი ლირიზმი, ფერადოვნება, ალაგ-ალაგ ლაგამანყვეტილი ქარიშხლის სიბობოქრე არ დააკლდეს. რამეს დართვა სრულიად ზედმეტი იქნებოდა. არსებობს თვალისმომჭრელი, დიდი შემოქმედის ენით გამოთქმული სიცხადე, რასაც არავითარი განმარტება არ ესაჭიროება:

„ეს იყო ქმარყოფამოშლილი ქალის მოთქმა. ქარში, დელგმაში, სიბნელეში მამის სახლისკენ მომავალი ქალის მოთქმა, რომელიც საკინძის ლილებს ადნობს ღვარად ჩამომავალი ცრემლი.

ბევრი ჩვენი მომღერალი ქალისთვის მომისმენია, ჩემო დაო, მაგრამ იმ საღამოს ლელამ ყველანი მოსპო. მე მარტო ფატმასლა ვუყურებდი. ჩაჭიდებული ჰქონდა ტყაპუჭის სახელოში ორივე ხელი, შემოეჭდო ყელზე თითქოს სიცივე აძაგძაგებდა, უძაგძაგებდა თვალებიც. მორჩა ლელა. თვითონაც ამოიძრო სული და ჩვენც ამოგვიცარიელა სასულე-

თი. ფატმამ კი იცი? გადააგდო ტყაპუჭი უკან, წამოდგა და წავიდა ბეხვნებზე ქალაქელ გოგოსავით ნაბიჯგაშლილი, ამაყი. ათიოდ ნაბიჯზე წასული მობრუნდა და რაღაც სიტყვები დაიძახა. აუტყდა ხარხარი ალის. მერე გვითარგმნა: ეშმაკიაო ლელა, ეშმაკიო. და ჩაიკარგა ბეხვნეს იქით ფატმა. ლელა კი იჯდა და მართლა ეშმაკივით აკრეჭდა კბილებს, — მაგან დამასწროო, მე უნდა მეთქვა მაგისტვის, მე ვერ გავუბედე და მაგან დამასწროო.

კაცები თავგზააბნეული ბორიალებდნენ ერთმანეთში.

.....

.....

იმ ღამეს თითქმის არ მეძინა. შენ იცი, რაზეც ვიფიქრებდი იმ სიმღერების შემდეგ. დილით თითქმის უთენია ავდექი. გავედი გადასახედთან და უცნაური რამ დავინახე: მწვანიან ბალახზე მოგორავდნენ ერთმანეთს ჩახუტებული ქალი და კაცი. კაცი — რუხი, ქალი — ცისფერი. იგორეს, იგორეს, ჩამოგორდნენ დაბლა, იქ გაჩერდნენ, იყვნენ იქაც ჩახვეულნი ერთხანს, მერე წამოსხდნენ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ და იცინოდნენ. კაცი იყო ალი, ქალი — ფატმა.

მინაზე ჩვენი არსებობა თუ ლირს, ალბათ ასეთი სანახაობებისთვის ლირს, ჩემო საყვარელო დაო!“

„ეშმაკები“ და მასში წარმოდგენილი მღელვარე ვნებები სწორედ ის სიტყვიერად აუხსნელი, ზეგარდმო ძალებით წილნაყარი მოვლენაა, რასაც დიდი ესპანელი პოეტი ფედე-რიკო გარსია ლორკა „დუენდეს“ უწოდებდა.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებასა და მის განუმეორებელ ადამიანურ თვისებებზე, შესაშურ თავმდაბლობასა და კლასიკურ სისადავეზე განუზომლად ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ დანარჩენი სხვა დროისთვის უნდა გადავდო. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს გაცნობიერებული, რევაზ ინანიშვილმა რამდენი სულიერი სიმდიდრე დაგვიტოვა, რა ფასდაუდებელი საუნჯის პატრონები ვართ.

შარლოტა პვენტალიანი

როგორ იქცა ერთი ჩვეულებრივი ალმანახი ძვირფას წიგნად

1986 წლის 9 იანვარი იყო. ეს თარიღი არასოდეს გამახსენდებოდა, რომ არა ერთი ამბავი: ამ დღეს რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში დიდი ლიტერატურული საბამო ჩატარდა, რომელიც რუსთავში წელიწადში ერთხელ გამომავალი ალმანახის „რუსთავის ჩირალდნების“ დაბეჭვდას მიეძღვნა. ალმანახს მწერალი კარპე მუმლაძე რედაქტორობდა, ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელი და მწერლობის დიდი პროპაგანდისტი. საღამო პომპეზური იყო, საქალაქო კომიტეტის მდივნებით და რუსთაველი ინტელიგენციით „დამშვენებული“. ასეთი ღონისძიებები მწერალთა კავშირის მონაწილეობის გარეშე ვერ ჩატარდებოდა, თავმჯდომარე თუ არა, რომელიმე მდივანი აუცილებლად უნდა მიგენვია. იმ ხანად საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი გახლდათ რეზო ინანიშვილი, უხმაურო, უპრეტენზიონ, უკონფლიქტო, ზნეკეთილი, სათნო ადამიანი, როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. კაცი უჩინარი, მაგრამ საჩინო თავისი პიროვნული და მწერლური ღირსებებით, სწორედ ბატონი რეზო მოიწვია ამ საღამოზე ბატონმა კარპემ... დარბაზი სავსე იყო. ასეთი საღამოები არც ისე ხშირად იმართებოდა მეტალურგთა ქალაქში და ხალხი დანატრებული იყო. კრებულში ძირითადად რუსთავში მცხოვრები მწერლების ნაწარმოებები და დონეცკელი პოეტების თარგმანები იყო დაბეჭდილი (რუსთაველი და დონეცკელი ლიტერატორები მეგობრობდნენ).

მობრძანდა რეზო ინანიშვილი. მოიწვიეს პრეზდიუმში. თავდალუნული, მძიმე ნაბიჯით ამოვიდა სცენაზე, სადაც ყვავილებით მორთული მაგიდა იდგა. ოვაციებით შეხვდა

დარბაზი. მაგიდასთან ახალგაზრდა პოეტები ისხდნენ, ბატონი რეზო ჩემ გვერდით დაჯდა, რითაც დიდად გამახარა. დაიწყო საღამო. ბატონმა კარპემ ძალიან შორიდან დაიწყო და იმდენ ხანს ილაპარაკა, რომ აქა-იქ დარბაზში ტაშით შეახსენეს რეგლამენტი. ბატონმა რეზომ ალმანახი მთხოვა, — ჩავხედავ, რაიმე ხომ უნდა ვთქვაო. ორიოდე ლექსი წაიკითხა, სარჩევს გადახედა და მერე დიდხანს თავჩარგული იყო წიგნში; ცნობისმოყვარეობა მკლავდა, — ნეტა, რა მოეწონა, ასე თვალმოუცილებლად რომ კითხულობს-მეთქი. კარპეს შემდეგ ახალგაზრდა პოეტებს დაგვითმეს ადგილი. დავით მჭედლურმა მშვენიერი პატრიოტული ლექსები წაიკითხა, მე — ლირიკული; როცა ჩემს ადგილას დავჯექი, ბატონმა რეზომ მითხრა, — მშვენიერი იყო, შეინარჩუნეთ ეს გულწრფელობა და ქალურობა, ნუ დაწერ „ვაჟკაცურ“ ლექსებს. შემდეგ ალმანახი დამიბრუნა და მორიდებით ჩაიდუღუნა — ისეთი ქათქათა ყდები ჰქონდა, თავი ვერ შევიკავე და მგონი წიგნი დაგიმახინჯეო...

დავხედე. ყდის პირველ გვერდზე ახალგაზრდა ქალის პორტრეტი დაეხატა, ბოლო გვერდზე — მთის ფერდობზე, ხის ძირში მდგარი ჩაფიქრებული მოხუცი ქალი. ლაკონური და მრავლისმთქმელი იაპონური მინიატურის მსგავსად. ქვეშ კი ეწერა: „1986 წლის 9 იანვარი, რუსთავი, რ. ინანიშვილი“. ამიტომ დამამახ-სოვრდა ეს თარიღი. ასე მექცა ერთი ჩვეულებრივი ალმანახი ძვირფას წიგნად.